

CALDERÓN
DE LA BARCA
LA VIDA ES SUEÑO

Traducida DEL VERSO Castellano
por Dali Intskirveli

Tbilisi "Merani"
1999

კედრო კალდერონი

ცხოვრება სიხშირითა


ესპანურიდან თარგმნა
დადი ინჭკირველმა

თბილისი „მერანი“

1999

84.4 ИСП
860-2
ქ. 18

რედაქტორი: *ზვიად რატიანი*
მხატვარი: *ჯემალ ზენაიშვილი*
სპეცრედაქტორი: *მაია ნათაძე*



ISBN 99928-16-23-6

მოქმედი

პირნი

როსაურა	—	მშვენიერი	ასული
სეხისმუნდო	—	პრინცი	
კლოტალდო	—	მოხუცი	
ესტრელა	—	ინფანტა	
ჯარისკაცები			
კლარინი	—	მასხარა	
ბასილიო	—	მეფე	
ასტოლფო	—	ჰერცოგი	
მხლებლები			
ქმუსიკოსები			

(მოგზაურ ჭაბუკად გადაცმული როსაურა კლდის მწვერვალიდან ეშეება.)

როსაურა

ჩემო მერანო, გიჟური ლტოლვით
 ტოლს არ უღებდი გრიგალის ქროლვას.
 აწ საით, ჩიტო, ფრთამოტეხილო,
 კალმახო, ფარფლებშემოფლეთილო,
 უწვრთნელო მხეცო, დაუგეშავო,
 გზადახლართულო სულო ბედშავო?
 ამ პიტალო კლდეს რა ენაღვლება
 შენი დაცემა და დამარცხება?
 გზა დაასრულე ამ ღარტაფებით,
 ვით ფაეთონტმა ცეცხლის რაშებით.
 ახლა ციკაბო, უღრანი გზებით,
 წილად რომ მერგო განგების ნებით,
 უიმედობით სხივდაშრეტილი,
 ძირს დავეშვები ამ მთაგრეხილით,
 კუშტ მწვერვალიდან შუბლზე ღარებად
 რომ შერჩენია მზის მცხუნვარება.
 შენ პოლონეთო, ვაგლახად შემხვდი,
 სისხლის და ცრემლის ზღვა მიდგას ფერხითთ,
 რაწამს შევიცან შენი საზღვარი,
 გულზე დამესო სევდის ლახვარი.
 ცხოვრების სიბრძნე გვასწავლის ყველას,
 ამოდ ელის ბედკრული შველას.
 (შემოდის კლარინი.)

კლარინი (გაქცეა)

ორი ბედკრული... ჭირზე თუ ითქვა,
 მეც შემაწიე მართალი სიტყვა...
 სახლს რომ ვტოვებდით, ერთი მითხარი,
 ვინ გყავდა გვერდით სხვა გამკისხავი?
 შარსა და ხითათს არ დავერიდე,
 ას ხათაბალას გადავეკიდე.
 ჭერ იყო - ეს მთა ამოვიარეთ.
 ახლა ვეშვებით სრიალ-სრიალით -

სულის ამოთქმა აღარ შეცადე...
სხენების ღირსი მაინც გამხადე!

როსა ურა

ნუ გიკვირს, კლარინ, ბედის მოწილე
ჩემს სამღურავში რომ გამოგწირო.

მსურს საკუთარი ტანჯვა იგლოვო
და ამ ჩივილში ნუგეში ჰპოვო.

ონგრანს სხვაგვარი გემო ჰქონია -
ფილოსოფოსებს ასე ჰგონიათ -

და ნეტარებას რომ მიეწიო,
უბედურება უნდა ეძიო.

კლარინი

აღბათ ეგ შენი ფილოსოფოსი
ბებერი თხაა, ცეტი და ლოთი!

მოუხლებოდა ფერღებზე კეტი...

ნუმც ღირსებაა ამაზე მეტი.

ის ვთქვათ, სენიორა, ჩვენ რა ვიღონოთ,

უღაბურ მთაზე ვინ მოგვიგონებს

კლდესა და ღრეში გზადაკარგულებს?

ნახე, მზე უკვე საით წასულა!

როსა ურა

ხედავ, ფერღობზე შუქი რომ ფეთქავს?

ჯადოსნურია უთუოდ ეს მთა!

გონი მერევა, მატყუებს თვალი:

თითქოს ბინდ-ბუნდში ინთება აღი

და საოცარი მოჩანს კედელი...

კლარინი

ღმერთია ჩვენი ბედის მჭედელი,

ჭერი გვქონია განაღლებული.

როსა ურა

ველურ ბუნებას შეგუებული,

რაღაც კოშკია თვალშესაზარი,

თითქოს მზის სხივიც აღარ აზარებს:

საღ კლდესთან შეზრდილ-შებერებული,
საღ მზეს ეკრძაღვის დარღბელთ კრებული
სიბ ქვაზე ისე დაბუღებულა,
ვით ლოდი, მთიდან დაგორებული

კლარინი

აბა მივიღეთ და გავარკვიოთ;
სასწაულები მართლაც კარგია,
და სასწაულზე მეტიც იქნება,
საღმე ღვთისნიერ კაცის მიგნება,
ვინც შეგიკედლებს.

როსაურა

კარი ღიაა

— თუმცა ურჩხულის ხახას მიაგავს —
და ამ შავბნელი მხეცის წიაღით
მალე იშვება ღამის წყღღიადი.
(ჯაჭვის ჟღარუსია.)

კლარინი

უფაღო ქრისტე! ეს რა ხმა ისმის!

როსაურა

გაგეყნება ძარღვებში სისხლი!

კლარინი

ხომ გაიგონე ჯაჭვის ჟღარუნნი?
პატიმარი ჰყავთ აქ დამაღული!
შიში ვერ გვიხსნის. რა გაეწობა...

სეხისმუნდო (კოშკშია.)

ვაიმე, ბეღკრულს, ვაი ჩემს ყოფას!

როსაურა

რა მწუხარეა მისი სიტყვები!
შიშს აღარ ვეძებ... ცოღვით ვიწვები.

კლარინი

მეც უცნაურად შემოიპყრო შიშმა.

როსაურა
კლარინ...

კლარინი
სენიორა...

როსაურა
თავი დავიხსნათ,
ასლავ დავტოვოთ კოშკი წყული,
ავი სულია აქ დამწყდელი.

კლარინი
თვითონ არ ვიცი რა დამემართა:
აზრი და გრძობა სად გამეფანტა...

როსაურა
ობლად კიაფობს მქრქალი ნათელი...
ფერგაცრეცილი მწირი სანთელი
მიბნედილია და გულსაკლავი,
ვით მოწვეტილი მწუხრის ვარსკვლავი
და მით უფროა ეს სამყოფელი
იღუმალი და შეუცნობელი.
ხედავ? ნახევრად ბნელში დანთქმული
კაცია ცოცხლად შიგ დამარხული.
თუ არ მაცდუნებს შავი ქაოსი,
~~მხეცის ტყავია მისი სამოსი...~~
მძიმე ჯაჭვებით არის შეკრული
და იმ ერთადერთ სანთელს შეჰყურებს.
საღლა წავიდეთ... დავუგდოთ ყური,
რისთვის ისჯება ეს უბედური.
საბრალო! გესმის, რარიგად შფოთავს?
(სუსტად განათებულ საკანში გამოინდება
ჯაჭვებით დაბმული სეხისმუნდო. ნადირის ჩქავით
შემოსილი.)

სეხისმუნდო
ვაიმე ბედკრულს! ვაი ჩემს ყოფას!
მაუწყე, ცაო, შენი განგება:
რად გამიმწარე მე სიჭაწვილე,

ჩემი გაჩენით თუ გაგაწბილე,
მძიმე ცოდვას, ჩანს, დაბადება;
ჩემებრ ცოდვილი თუკი გაჩნდება,
საფლავიც იქვე გაიჩარხება;
მეტი სიმუხთლე რაღა იქნება:
მიტომ ბობოქრობს უფლის მარჯვენა.

რომ ქვეყანაზე კაცად გაჩნდა
მოუტყვებელ - ცოდვად ითვლება.

მე რომ ნათელი გონება მქონდეს,
არას ვიოცებ, მშვიდად ვიძინებ -
მიეხვდები მაინც, რა ჩავიღინე,
- სულ რომ შევეშვით გაჩენის ცოდვებს -

რა დავაშავე, მინდა ვიცოდე,
რადა ვარ ასე გაწამებული?

ზღვა სულიერი დაბადებულა...

რად დამაკელი მე, ღვთის გაჩენილს,
რასაც ფლობს ყველა სხვა დანარჩენი
არსი სიკეთემომადლებული?

რა მზეს იხილავს ნაზი ფრინველი,
ფარჩა-ზავრდებს იცმევს ფრთოსანი,
ყლმოჩითული, თვალსხივოსანი,

ათასფერადი ზმანება ველის,
თვალისმომჭრელი და საკვირველი,
ზეაიჭრება ცისაკენ მყისვე,

ლაჟვარდს შეჰხარის, გულს იხალისებს,
არ უწყის ცრემლი და სინანული:

მე რომ შთამბერე ცხოველი სული,
თავისუფლება რად არ მაღირსე?

ველური მხეცი როცა გაჩნდება,
წყალობის ნიშნად ცის ვარსკვლავები
ქათიბს უმოკბენ უცხო ხალებით!

- ოსტატის ფუნჯი ყველაფერს სწვდება -
მაგრამ ნადირთან ვინ რას გახდება?

ადამიანის უგუნურებამ

დადი დაასვა მხეცის ბუნებას:

მარტო ალესილ გუმანს ენდობა;

მე რომ შთამბერე მხურვალე გრძნობა

თავისუფლება რად არ მაღირსე?

თევენი რა არის - სუნთქვაც არ იცის,

შლამია მისი აკვან-საფარი;
ქერცილით ნაქედი ნავის ამარა,
დაუღევარი, ცივი სიმკვირცხლით
აედევნება ტალღების ციმციმს,
ზღვას შეერევა ზვირთის ძახილზე,
უძირო სიღრმეს გაითავისებს
და სტიქიონიც არ ეურჩება;
მე რომ შთამბერე ურყევი ნება,
თავისუფლება რად არ მაღირსე?
თუ ნაკადული დაიბადება,
ბრძოლის შხეფებით გალაღებული,
შეპხარის იმას ყვეილთ კრებული:
ვერცხლის ზოლივით მიიკლაკნება,
ხან ბალახებში ჩაიკარგება,
ხან თვალს მიაპყრობს გადაშლილ სივრცეს,
მის გაბმულ რაკრაკს მიდამო ისმენს
და ხოტბას უძღვნის თავდავიწყებით;
მე რომ ამავეს უშრეტი ვნებით,
თავისუფლება რად არ მაღირსე?
სიმწარე მახრჩობს... თითქოს მეღება
ვულკანის ცეცხლი... ამ ყოფას მიჯობს
მკერდიდან გული ამოვიგლიჯო,
ბოლმით დაფშენილი სისხლ-ნათლეთებად.
მძიმე სასჯელი რისთვის გვეღება,
რა მიზეზია, ასე რომ ვწვალობთ,
რად არის კაცი ასე საბრალო,
ზეცამ რა ნიშნით გამოარჩია?
ანდა ისეთი რა გააჩნია
ტყის ნადირს, ფრინველს, თევზსა და წყაროს?

როსა ურა

ამ აღსარებამ ჩამწყვითა გული
და ამიშალა ათასი დარდი.

სეხისმუნდო

ყურს ვინ მიგდებდა? შენ ხარ, კლოტალდო?

კლარინი (როსაურას.)

მე გახლავარ-თქო...

როსაურა

ტანჯული სული,
მგზავრი, საწუთრომოდულებული!
წამით ჩავფიქრდი ამ ქვა-ლოდებთან
და შემომესმა კაცის გოდება.

სეხისმუნდო (ხელს სტაცებხს.)
ჩემზე სიტყვა რომ არ დაგცდეს სადმე,
ახლავ სიცოცხლეს გამოგასალმებ
და საიდუმლოც შენთან მოკვდება.
სხვა საფიქრალი შემოგელია
და ჩემი ჭირის გახდი მკითხველი?
შუაზე გაგვლეჯ ჩემივე ხელით.

კლარინი

ყრუ ვარ და სიტყვაც არა მსმენია,
თუ დამიჭერებ...

როსაურა

კაცი თუ გქვია,
მზადა ვარ შენს წინ დავემხო რილით;
თუ რამ შეგცოდე, გამოვისყიდი.

სეხისმუნდო

გული მომიღბო ტკბილმა პასუხმა,
შენმა იერმა გამიქრო რისხვა
და სათნო ქცევით მეც დამამშვიდე.
ვინ ხარ? თუმცა ვარ ბელით წიქული,
ქვეყნის ავ-კარგი მე არ მახარებს,
უმზყო აკვნად და ბნელ სამარედ
ჩემთვის ეს კოშკი გადაქცეულა;
გაჩენის დღიდან — ან იქნებ სულაც
არ გავჩენილვარ — ამ კლდეს გავცქერი
და არ მინახავს სხვა არაფერი.
ვათენ-უდაძმებ გმინვით და ოხვრისით
სულდგმული მკვდარი, სნეული ჩონჩხი,
კაცი კი არა — ცოცხალი მტკვრი.
არავინაა, რომ შემესიტყვოს: ა.რ.

მარტო მოხუცი, წარბეუხრელი,
ჩემი წამების მოწმე უცვლელი,
დამხედავს ხოლმე... და ის მომითხრობს
ცასა და ხმელზე; მგონია, თითქოს
დაფარული ვარ საზარი ქერცლით.
ან ვარ აჩრდილი სახეშეშლილი,
ადამიანი, მსეტთან შეზრდილი
და კაცთა შორის ველური მხეცი.

თურმე ეჩვევი უბედურებას:

საკნიდან ვუმზერ დედა-სამყაროს,
ამ სილამაზით ვცოცხლობ და ვხარობ;
მინდა შევიცნო მხეცის ბუნება,
ჩაეწვდე ვარსკვლავის დიდებულებას,
ცის საიდუმლოს, ჩიტის გაფრენას...
ფიქრით შექმარი მიწა და ზენა,
შენ ერთს გადელეგებს ჩემი ჩივილი,
შენ გამიქარვე გულისტკივილი,
დამიტკბე თვალი და ყურთასმენა.
შენთან შეხვედრამ ამაესო შეებით...
მაგრამ წამისწამ უფრო ცხადია,
რომ შენი ცქერა გულით მწაღია,
რაც მეტად გიმზერ და გაკვირდები.
სიკვდილს და ნუგეშს ერთად მპირდება
ეს ავბედითი, უცხო სასმელი,
თუმც ვარ ულვეი სიმწრის მნახველი;
და აღსასრულმა თუ დამაცალა,
ბოლომდე შევსვამ მე ამ სამსალას,
რაკი მწყურვალსაც სიკვდილი მელის..
ლამის ცქერაში სული დავლიო,
აღარ დავეძებ სიმართლის ცოდნას:
თუ ეს ხილვაა სიკვდილის ცოდვა,
განშორებაში რაღა მადლია?
ან სიკვდილამდე როგორ დავძლიო
რისზეა, ელდა და გულისტკივილი?
სიკვდილი მიჯობს... მკაცრი სიფრთხილით
აგიწონია ხვედრი, უფალო!
ველა უბედურს სიცოცხლით წყალობ
და ქუდბედიანს ებრძვი სიკვდილით.

როსაურა

რაც თვალით ვნახე და გავიგონე,
საოცარია და გულსახეთქი...

არაფერს ვკითხავ... აბა რა მეთქმის:
რით შეგეწიო, ან რა ვიღონო!

ადამიანი განგებას მონებს
და შიჩანს, როგორც ზეცის ნუგეში
ჩვენი შეხვედრა ამ ულრან ტყეში.

ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება -
უბედურს ტანჯვა უნახვევრდება,
სხვას თუ იხილავს უმძიმეს დღეში.
ერთი ბრძენკაცი, ბედს შემომწყვალა,
გაბეზრებულა წუთისოფელით:

დასწვია სარჩო - საბადებელი...

ბალახი გახდა მისი საგზალი,

ჩიოდა თურმე სასოვაშქრალი:

თუო ქვეყნად კაცი ისეთი,

საზრდო არ ქონდეს ბალახის მეტი?

გზად მოისროლა ბლუჯა ბალახი,

მაგრამ მოვიდა ვილაც გლახაკი

და აიტაცა საზრდო იმედით...

სოფლის სიკეთე არც მე მიგრძენია.

ვყვედრი განგებას, მარტოშთენილი,

ბედის სიმუხთლით გზასაცდენილი;

ჩემს სამღურავშიც იგივე სიბრძნეა:

ჩემებრ ბედკრული ვერვინ მიცვნია.

შენ დამიბრუნე აზრის სიცხადე,

ლხინი ყოფილა, რაც განვიცადე,

ძმურად იტვირთე ჩემი სასჯელი,

შენ უმწარესი გერგო სასმელი

და ჭირთა თმენაც შენ დაიქადე.

ჩემი წუხილი თუ განუგეშებს,

ყური დამიგდე, და რაც ერთისთვის

მეტი სმეტია, შენ გიწილადებ.

სახელად მქვია...

კლოტალდო (სცენის მიღმა.)

აქეთ, გუშაგნო,

მხდალნო, ძილქუშმა როგორ წაგილოთ...

თქვენი წყალობით ორი ჯაშუში
ციხეში მალეით შემოპარულა!

როსაურა
ესეც ახალი უბედურება!

სეხისმუნდო
ეგ კლოტალდოა, ციხის უფროსი.
ახალ სატანჯეულს თუ მიმზადებენ...

კლოტალდო (სცენის მიღმა.)
ჩქარა, ხელიდან არ გაგვიფრინდნენ!
ვიდრე გაქცევით თავს უშველიდნენ,
მოკვალით, ანდა ცოცხლად მომგვარეთ.

ყველანი (სცენის სიღრმიდან.)
ღალატი, ძმებო!

კლარინი (მცველებს მიმართავს.)
დალოცვილებო,
თუ შემოგვიშვით, ახლა მოდით და
დაგვაპატიმრეთ! რაღას უდგებართ,
ამას რა დიდი ფიქრი სჭირდება.
(შემოდის კლოტალდო დამბანით ხელში და
პირშებურული ჯარისკაცები.)

კლოტალდო
სახე არაეინ გამოაჩინოს:
რაც მთავარია, კარგად გახსოვდეთ,
ვიდრე აქა ვართ, ძე ხორციელი
არ უნდა მიხვდეს ჩვენს ვინაობას.

კლარინი
რა კარნავალი გაუმართიათ?

კლოტალდო
გესმით, რეგვენო, ფარულ ზონაში
ალაღბელზე რომ შემოეხეტეთ,
შელახეთ ჩვენი ზღუდე-საზღვრები,

მეფის სიტყვასაც არ დაერიდეთ,
რომლის თანახმად აკრძალულია
იმ საოცრების პირისპირ ხილვა,
რომელსაც ეს კლდე წლობით იმარხავს!
ახლავ დაგვებდით, განიარაღდით,
არა და ჩემი დამბაჩის ლულა
რკინის ვეღლივით გამოაფურთხებს
შხამით გაჟღენთილ ორ საშიშ ტყვიას
და ელვა ჰაერს შეაზანზარებს.

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

მტარვალო, საკნის სულთამხუთავო,
ამათ თუ დასჯი, ან შეურაცხყოფ,
ამ უბადრუკი ჭურღმულის ლუკმად
იქცევა მაშინ ჩემი სიცოცხლეც:
ღმერთს გეფიცები, კბილებით დავღრღნი
საკუთარ სხეულს, ფრჩხილით დავიგლეჯ,
მაგ ორის მოკვლას არ დაგანებებ,
დაეხსენ, ვიღრე შენც არ გაგწირე!

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

შენ საკუთარი უბედურებაც

ვერ შეგიტყვია ჯერ, სეხისმუნდო.

ისიც არ იცი, ზეცის კანონით

დაბადებამდე რომ მიიცვალე.

იმდენს თუ ზედები, ეს საპატიმრო

მაგ თავგასული გულზვიადობის

ასალაგმავად რომ მოგისაჯეს,

თუ იცი, ასე რისთვის გაგკოჭეს,

რადას ბობოქრობ? ჰეი, გუშაგნო,

კარი ჩარაზეთ; ვიწრო საკანში

შეაგდეთ ისევ.

(საკნის კარს კეტავენ, შიგნიდან სეხისმუნდოს ხმა ისმის.)

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ვფიცავარ ზეცას,
სწორად იქცევით თავისუფლებას
რომ არ მანიჭებთ; გოლიათივით
დაგერეოდით, ქვის საძირკველზე

იასპისაგან მოებს აღმართაედი,
ეშმას ქვისაგან გათლილი შუბით
მზეზე სარკეებს მივლევ-მოვლევდი.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

ჰოდა, ეგ მთები რომ არ აღმართო,
შავი ღღეები უნდა ითმინო.

რ ო ს ა უ რ ა

ამაჟი კაცი არ გყვარებია.
რად არ გეახელ მუხლმოდრეკილი
და მორჩილებით რად არ შეგთხოვე
ჩემთვის სიცოცხლე გებოძებინა.
ქვისგან თუ არ ხარ გამოკვეთილი,
გულმოწყალებას მოვუხმობ შენსას
და სიამაყეს თუ არ დაინდობ,
თვინიერებამ მაინც მოგაღბოს.

კ ლ ა რ ი ნ ი

თუ სიამაყე არ გაპრის შენზე
და არც სიმდაბლე — ამ ჰერსონაეებს
მისტერიაში ხან მოიხმობენ,
ჩანაც უკანვე მიაბრძანებენ —
არც ამაჟი ვარ, არც თავმდაბალი,
ორიგ თვისებას ვეღობ სანახევროდ,
შუა კიბე ვარ კაცურ ხნეობის,
გთხოვ გვიმფარველო და შეგვიწყალო.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

ოჰო!

ჭ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი

უფროსო...

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

ორთავე ახლავე

განიარაღდეს და გაარიღეს
აქაურობას თვალახვეულნი,
გზა-კვალი რომ არ დაიმახსოვრონ.

როსაურა

გნებდები... დაშნაც შენ გამომართვი,
მხოლოდ შენა გაქვს ამის უფლება,
რადგან ამათში ჩანხარ ყველაზე
აღმატებული; დავაშაგებდი,
| უღირსისათვის რომ გადამეცა.

კლარინი

სულ უკანასკნელ ნაძირალასაც
დავუთმობ ჩემსას... აჰა, წაილე!

როსაურა

თუ უნდა მოვეკდე, შენ გისახსოვრებ,
ჯილდოს მოგაგებ სიკეთისათვის,
ასე მგონია, ეს იარაღი
ღირსეულ პატრონს შევნოდა ერთ დროს;
შენც გაუფრთხილდი თვალისჩინივით,
| თუმცა ვერ გეტყვი დანამდვილებით
| რა მისწობაა აქ დაფარული.
მაგრამ ეს დაშნა უცხოდ ნაქედი
იმარხავს რალაც იღუმალებას
და პოლონეთში როცა მომქონდა,
მწამდა, მახვილით შურს ვიძიებდი
დამცირებისთვის.

კლოტალდო

ღმერთო, დამიხსენ,
სასწაულია! რა არ გადამხდა,
რამდენ ვაებას შემყარა ბედმა,
ჭირი და შფოთი აღარ მეღევა.
ვის გამოართვი?

როსაურა

ქალმა მაჩუქა.

კლოტალდო

რა კქვია იმ ქალს?

როსაურა

არ შემიძლია

ამის გამხელა.

კლოტალდო

მაშის მითხარი,

საიდან იცი, რომ ეს მახვილი

საიდუმლოთი არის მოცული?

როსაურა

ვინც ეს გადმომცა, პოლონეთის გზაც

მან მომასწავლა და თან მირჩია:

„იქ გონივრული, მარჯვე საბაბით

ეცადე, დაშნას თვალი შეველონ

სამეფო კარის დიდებულებმა;

მათგან ერთ-ერთი დანამდვილებით

ხელს გამოგიწვდის და გიმფარველებს”

ცოცხალი თუა, ისიც არ ვიცი,

რადგან სახელი არ დასცდენია.

კლოტალდო

(ღმერთო. ძლიერო, ამას რას ვისმენ!

ჯერაც ბოლომდე ვერ შემიგნია,

საშინელება, თავს რომ დამატყდა,

მოლანდებაა, თუ სინამდვილე.

ეს ის დაშნაა, ნაზ ვიოლანტეს

რომ ვუსანსოვრე ერთი პირობით:

ვინც იმას წელზე შემოირტყამდა,

მოვალე ვიყავ, შეგებებოდე

ვით საყვარელ ძეს ღვიძლი მშობელი

და ვით ძე — მამას თავანისცემით.

რა გზას დავადგე მე უბედური,

როდესაც თავზე ცა ჩამომემხო,

საბედნიეროდ ნაპოვნმა დაშნამ

უნდა მზის ნათელს გამოასაღმოს.

რას იფიქრებდა. სიკვდილმისჯილი

თუ წარდგებოდა მამის წინაშე?

ლ. რა მწარეა ბედის დაცონვა!

რა მუხთალია წუთისოფელი!

ჩემია შვილიც და ეს ნიშანიც,
 და გულიც ამას შემომლაღებებს;
 მისი შემყურე, განწირულივით
 ფრთებს აფართქალებს, რა კი არ ძალუძს
 ეს საკეტები რომ დაამსხვროს;
 როგორც ტუსადი გამომწვდელი,
 ქუჩიდან მომსკდარ ევილ-ხივილზე
 გაცეცებული სარკმელს ეცემა,
 საბრალო გულიც, დატყვევებული,
 უცხო ხმაურის გაგონებაზე,
 სიმწრით აწყდება თვალის ბუდეებს,
 მკერდის სარკმლიდან ამოფრენილი
 ცრემლის ტალღად რომ გადმოიდვაროს.
 რა ჯენა? უფალო, შენ გამიკითხე!
 როგორ მოვიქცე? მეფეს გადავცე,
 ჩემივე ხელით სიკვდილს მივგვარო?
 არა და მეფეს როგორ ვუმტყუნო?
 თუ არ გაეამხელ, აქ რაც შემემთხვა,
 ფიცის მგმობელი უნდა დაშერქვას!
 მძიმე ტვირთია მშობლის ვარამი
 და ერთგულება მეფის წინაშე.
 ან აქ საეჭვო რა უნდა იყოს?
 ხელმწიფის ერთგულს არაფრად უღირს
 სიცოცხლე, გინდაც პატიოსნება.
~~ერთგულება სჯობს ყოველ ღირსებას!~~
 აქ ჩამოსულა, მოძალადეზე
 შურისძიება რომ აღასრულოს:
 ჩანს, უღირსია, თუ დაამცირეს.
 ჩემი არ არის, არაა სცხია
 სახელოვანი წინაპრებისა.
 მაგრამ ჭირი თუ გარდუვალია,
 ვის შეუძლია იმის აცდენა?
 ობობას ქსელით არის ნაგები
 კაცურ ღირსების მჩატე ხუხულა,
 სულის შებერვით ჩაიფუშება,
 წამში გაქრება, კვამლის სვეტით.
 სხვა რას იზამდა, ამაზე უფრო
 კეთილშობილი რომ ყოფილიყო?
 უცხო მხარეში გადმოიხვეწა

და დასდო თავი სახელისათვის.
ჩემი შეილია, ჩემი სისხლ-ხორცი,
თუკი ასეთი გამბედავია.
ათასნაირად აეწონე, მაგრამ
მანტ-ერთია გამოსავალი:
ვეტყვი მეფეს, რომ ჩემი ვაჟია,
და რომ სიკვდილით უნდა დასაჯონ.
იქნებ ინებოს და შეიწყლოს,
რაკი პირნათლად ვემსახურები;
და თუ სიცოცხლე შევუნარჩუნე,
დავეხმარები, შეურაცხმყოფელს
რომ გაუსწორდეს; მაგრამ თუ მეფე
სიკვდილს მიუხჯის, რადგან შენდობა
მას არ სჩვევია, ისე მოკვდება,
მშობლის სახელსაც ველარ შეიტყობს.)
უცხოელებო, მე გამომყვით!
გულს ნუ გაიტებთ, გაპირებაში
თქვენც გამოგიჩნდეთ ეგებ მშველელი;
მაგრამ ცხოვრება ბეწვის ხილია:

სიკვდილ-სიცოცხლის ამ ბრმა ჭიდილში
ვინ იცის, ძლევა რაიმელს დარჩება.
(ყველანი გადიან.)

(ხელმწიფის სასახლე. ერთი კარიდან შემოდის ასტოლფო, ჯარისკაცების თანხლებით, სხვა კარიდან - სეფექალებით გარშემორტყმული ესტრელა; უკრავენ მუსიკას.)

ასტოლფო

ორმა კომეტამ ოქროს თასებით
შემოგვაფრქვია ღვთიური შუქი.
ჩვენც შევეგებოთ მათ აღტაცებით,
ჟღერს ათას ხმაზე დაფდაფი, ბუკი,
ბროლ-შადრევნები, ფრინველთ დასები;
გვირგვინო მთელი მანდილოსნების,
ყველა სულდგმული შენ გემონება,
შენ გიგალობენ ზეცის მგოსნები,
ჟღმოვერცხილი იადონები
და ხმაწყრილა რკინის ფროთონები;
ჰქუხს ზარბაზნები, ჩემო სენიორა,
დედოფლის გულის გასახარადა,
ცის ფრინველთათვის შენ ხარ ავრორა,

საყვირი გვამცნობს, რომ ხარ პალადა,
ყავილთა ჭარი გიწოდებს თლორას;
შენს წინ თერს იცელის დღე სხინათელი,
უკუნი ღამის შუქით მძლეველი,
ცისკრის ღვთაებავ, ყავილო ველის,
ხარ, ვიო პალადა, შეურყველი
და ჩემი გულის მეფე უცვლელი.

ესტრელა

უკუნი სიტყვა და მისი მეობა,
ერთი რომ იყოს, არ ირჩეოდეს,
მაშინ წაღწაღწა ენამზეობით
ამაოდ აღარ დაიღვებოდით.
მიკვირს, უაზრო პირმოთნეობა
რატომ სჩვევიათ ადამიანებს?
დაუფარავად გამოგიტყდებით –
მე ეს სასტიკად მალიზიანებს:
ხან გულს მიწუხებთ ქება-დიდებით,
ხან გულცივობით მანადვლიანებთ.
განა იქნება მეტი ღალატი?
მარტო ღვთისმგმობელს, ურცხვს თუ შეშენის,
ვინც მზაკვარია კუბოს კარამდე,
დაშაქრულ სიტყვებს აფრქვევდეს ენით,
გულში კი ჩუმად დანას მალავდეს.

ასტოლფო

ვიდრე სიმართლე არ გაირკვევა,
გულუბრყვილობით ნუ აჩქარდებით;
თვითონ უამია ახლა თავდები,
რომ ჩემი სიტყვა საქმედ იქცევა.
მაშინ, როდესაც მეფე ამ მიწის,
ეუსტორხიო მესამე მოკვდა
და ბასილიო გახდა მპყრობელი,
ორი და ესვა სამეფო მოდგმას:
ჩემი და თქვენი ღვიძლი მშობელი.
ღმერთმა აცხონოს, ის და, რომელიც
აწ განისვენებს, კლორილენეა,
ღვთათქვენი და ჩემი სიღედრი,
ვარსკვლავთა რიღედ ვის მოჰფენია

შარავანდელი მისი წილხვედრი...
სამეფო შტოში, როგორც მსმენია,
უფროსი ქალის თქვენ ხართ ასული,
უმრწემესი კი — სიბრძნით ცნობილი
რებისუნდაა, სიტურფით სრული,
დეიდათქვენი კეთილშობილი,
დღეგრძელიც იყოს და კურთხეული.
მოსკოვიაში გათხოვდა იგი:
იქ დავიბადე. თუ გავიხსენებთ,
რაკილა ითხოვს მსჯელობის რიგი,
რომ ~~ბასილიო~~ ხელმწიფე ჩვენი
განწირულია ჟამის სიფლიდით,
თანაც გადაჰყვა მეცნიერებას,
ქალები ახლოს არ გაიკარა,
ქერივად დაბერდა, გადაშენება
ელის უძეოდ... და ჩვენ რომ არა,
ტახტს და სამეფოს რა ეშველება?
ცხადია, თქვენ ხართ აღმატებული,
როგორც უფრანსი—დისგან—შობილი,—
მაგრამ კაცად ვარ დაბადებული,
მითა ვარ ბედზე გულდანდობილი,
მშობლის ასაკით გაწბილებული.
ერთი ფიქრით ვართ დღეს შეპყრობილი;
მეფეს ვაუწყე ჩვენი სათქმელი...
ხელმწიფე, ჩვენი ბიძა — მშობელი
დარბაზისაგან რჩევას მოელის,
ამისთვისა ვართ აქ მოხმობილი.
საკუთარ ქერქვეშ არ დავიცადე,
მოსკოვიიდან გამოვეშურე;
თქვენ კი აქ ომი გამომიცხადეთ
და იმედები გადამიწურეთ,
სიკეთე ასე გადამიხადეთ.
რაკი ამურმა ასე ინება,
ღმერთსაც და ერსაც დაე, ეს სურდეს,
ჩვენი სვე-ბედი დღეს გადაებას
და მით კურთხევა დღესვე აღსრულდეს;
მალე გახდება ჩემი ღვთაება
დედოფალი და თანამზრახველი...
ამას მკარნახობს გულიც და ტვინიც:

დაგელოცავს ბიძა საკუთარ ხელით,
ტრფობას უკვდავყოფს ძღვევის გვირგვინი
და იმპერიას – თქვენი სახელი.

ეს ტ რ ე ლ ა

სიკეთისათვის გიზღავეთ ბუნება...
მადლის გადახდა ჩემი ჭერია;
მე თქვენს სულიერ დიდებულებას
შემოვწირავდი მთელ იმპერიას,
დავამტკიცებდი ჩემს ერთგულებას...
მაგრამ ეს ფიცი მე არ მახარებს!
დიდი ხანია კითხვა მწაღია,
ექვიანობით რისთვის მამწარებთ...
ერთი მიბრძანეთ: ვისი ხატია,
გამუდმებით რომ გულზე ატარებთ?

ას ტ ო ლ ფ ო

არც მიფიქრია, რომ დამემალა...
საჯირი არღვევს ჩვენს მუჟღროებას
– შერჩევა უნდა დროსა და ალაგს –
თავისას ითხოვს გარემოება:
აგერ, მეფე და მისი ამაღაც!
(უკრავენ მუსიკას, შემოდის მოხუცი მეფე ბასილიო ამალის
თანხლებით.)

ეს ტ რ ე ლ ა

ბრძენო თალესო...¹

ას ტ ო ლ ფ ო

დიდო ეკლიდე...²

ეს ტ რ ე ლ ა

ღვთიურ ნიშნებით...

ას ტ ო ლ ფ ო

ცის ვარსკვლავებით...

1 თალესი ბერძენი ფილოსოფოსი (639-548 ძვ.წ.)

2 ეკლიდე ბერძენი მათემატიკოსი (III ს.ძვ.წ.)

ესტრელა
პლანეტას მართავ...

ასტოლფო
კილითი კიდე...

ესტრელა
ელვის გზაც იცი...

ასტოლფო
და ნაკვალევიც...

ესტრელა
ხელისგულზე გაქვს..

ასტოლფო
სამყაროს ბედი.

ესტრელა
ნება მიბოძე, კრძალვით გემთხვიო...

ასტოლფო
შენთვის სიცოცხლე გამოვიმეტო...

ესტრელა
ვით ალვას – სურო, შემოგეხვიო.

ასტოლფო
დავემხო შენს წინ, ქვეყნის იმედო.

ბასილიო
მოდით, შეიღებო, საქმეს ვეწიოთ:
პატროსნება გიდგათ თავღებად,
ლმობიერების მადლი გფენიათ,
მორჩილად იცავს მამების ცნებას,
ჩივილი არც ერთს არ დაგცდენიათ,
მოყრის გატანა არ გესწავლებათ.
უსამართლობას არ გაგრძნობინებთ:

ნულარ დაშვრებით ამო კითხვით —
 ჭერ მოისძინეთ, რასაც მე ვიტყვი,
 აწონ-დაწონეთ, რას ამჯობინებთ,
 აზრი კი ბოლოს შემატყობინეთ.
 კარგად მისმინეთ: მოგეხსენებათ,
 ძვირფასო შვილნო, თქვენც, პოლონეთის
 სამეფო კარის დიდებულებო,
 ნათესავებო და მეგობარნო —
 მოგეხსენებათ, რომ გაუაკვირვე
 ქვეყანა ჩემი განსწავლულობით
 და ამისათვის „ბრძენი“ შემარქვეს;
 და თუმცა დრონი გულმავიწყობენ,
 გაუხუნარი ფუნჯი ტიმანტოა¹
 და ლისიპეთა² მარმარილონი
 დიდ ბასილიოს მქუხარე სახელს
 ოთხივე კუთხით განადიდებენ.
 თქვენ კარგად უწყით, მოძღვრებათაგან
 ყველაზე მეტად ერთი მიტაცებს —
 შორსგამხედვარი მათემატიკა;
 მისი წყალობით დაესტყუე დრო-ყამს
 წარვსტაცე დიად მარადისობას
 ყველა უფლება-დანისწულება
 და დღე სიახლით აღარ მარცებს:
 საკმარისია ნუსხას დავხედო,
 რომ გამოვიცნო ყველა ცელილება
 თვითონ მომავალ საუკუნეთა;
 დროს აღარ შესწევს იმის უნარი,
 რაც ადრე მითქვამს, ის გამიმხილოს.
 თოვლით დაფარულ დისკოთა წყება,
 ეს გამჭვირვალე მარმამა სიერცე,
 განათებული მზის ბრწყინვალეობით,
 ნამგალა მთვარით გადასერილი;
 აღმასისაგან თლილი სფერონი,
 ეს მოკამკამე ბროლის თაღები
 შემოჯარული ვარსკელაუთა გუნდით
 და მოკიაფე ცეცხლის ნიშნებით, —
 ეს არის ჩემი მეცნიერება,

1 ტიმანტე - გამოჩენილი ბერძენი მხატვარი (IV ს.ძვ.წ.)

2 ლისიპე - გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკე (IV ს.ძვ.წ.)

უბერებელი სიბრძნე ცხოვრების;
და ამ აღმასის წიგნის ფურცლებზე,
ამ ვარსკვლავეთის ცისფერ დათრებში
ოქროს ხაზებით ამოტიფრულა
კაცის ბედ-იღბლის საფეხურები —
მარტო ცამ უწყის ჩვენი წილხვედრი
სიკეთე, ანდა უბედურება.

მე მათ კვითხულობ ელვის სისწრაფით
და სულის ქროლვით ავედევნები
იმათ უჩინარ დინება-ციმციმს,
იმათ გეზსა თუ ფარულ ნაკვალევს!
თავიდან ასე განსაზღვრა ზეცამ
ჩემი გონების დანიშნულება:

მაღალი სიერცე უნდა მეკვლია
და ამომეხსნა ყველა წერილი.
რატომ აღრევე არ შეიწირა
განგების რისხვამ ჩემი სიცოცხლე...
არ გავხდებოდი მრავალტანჯული
მოწმე ათასი საშინელების;

რადგან ღირსება უბედურთათვის
სახიფათოა, როგორც მახვილი,
ისევე, როგორც განსწავლულობა
დამღუპველია სწავლულისათვის!
რა გავაგრძელო... საკმარისია,
გიაბბოთ ჩემი მწარე ცხოვრება,
მაშინ ირწმუნებთ საკვირველებას...

ახლა კი ისევ სიჩუმეს ვითხოვ.
ჩემმა მეუღლემ კლორიდენემ რომ
გაუხარელი ვაჟი დაბადა,

თუკი რამ სჭირდა ცას საოცრება,
იმ ძეობაზე გადმოაფრქვია.

ჯერ არ ეხილა ყმაწვილს მზის სხივი,
არც კი გაპყროდა მშობლის წიაღის
ცოცხალ სამარკს — რადგან სიკვდილი
და დაბადება მსგავსნი არიან, —
როდესაც დედას ერთი ჩვენება
აეკვიტა ცხადად თუ სიზმრად.
ამას ბოდავდა დაუსრულებლად:
თითქოს საზარი ბავშვი-ურჩხული

გაათრებული წილს უფლეთდა
და ერთიანად სისხლში დანთქმული
მშობელს სიკვდილით აზღვევინებდა
ჯოჯობეთური გველის გაჩენას.
მშობიარობამ რომ მოაწია,
ასრულდა ავი წინასაგრძობანი
— რადგან ამქვეყნად არაფერია
სისასტიკეზე უფრო ნამდვილი —
და ჰოროსკოპიც შავ დღეს გვიქადდა:
სისხლში ნაფერი მეწამული მზე
გაავებული იწვევდა მთვარეს
საბედისწერო ორთაბრძოლაში;
საომარ ლელოდ აქცია მიწა
ამ ღეთაებრივმა ორმა მნათობმა,
მაგრამ პირისპირ კი არ შებმულან:
ელვას უშენდნენ ერთი მეორეს.
მოხდა ისეთი მზის დაბნელება,
როგორიც ზეცას არ მოსწრებია
მას აქეთ, რაც მან სისხლის ცრემლებით
გამოიგლოვა ქრისტეს სიკვდილი;
ცეცხლის ენები მოედო მნათობს
და ხანძრის ალში იბუგებოდა,
თითქოს ბობოქარ გულზვიადობით
ეშურებოდა სულის ამოხდას.
შაემა ბურუსმა მოიცვა ზეცა.
გრგვინვა და ზათქი არყვდა კედლებს.
ლოდების წვიმად მოსკდნენ ღრუბლები,
მოსჩქედნენ სისხლის მდინარეები.
სიკვდილს უხმობდა მთელი პლანეტა
განკითხვის დღესთან შექადებული...
და სეხისმუნდო, ვით წყველა ზეცის
და უფლის რისხვა, თავზე დაგვარყდა,
სიცოცხლის ფასად უღირდა დედას;
ამ საზარ მსხვერპლით თითქოს გვაუწყა:
არ გადავალო მე ადამის წესს
და გიზღავთ ბოროტს სიკეთისათვის.
მაშინ მოვუხმე საკუთარ ცოდნას
და ყოველივემ დამიდასტურა,
რომ სეხისმუნდო იმ გულზვაობით

ყველა მოკვდავზე ამხედრდებოდა.
 და რომ უწყალო ბატონიშვილი
 გადიქცეოდა სასტიკ მონარქად.
 მის ხელმწიფობას ზედ მოჰყვებოდა
 მუდმივი შუღლი უსამართლობა,
 გაუტანლობას დასთესდა ხალხში,
 ძეგლს დაუდგამდა მანკიერებას.
 მერე კი შმაგი გაბოროტებით,
 შიშით და მსხვერპლით გაბრუებულნი,
 ჩემს სიცოცხლეზეც ხელს აღმართავდა:
 მაიძულებდა, ჭკედამხობილი
 იმის ფერხთაქვეშ ვგდებულისყვი
 — თუმცა მწარეა ამის გამხელა, —
 მოხუცი მამის თეთრი თმა-წვერი
 ხალიჩასავით რომ გაეთელა.
 ვინ არ ირწმუნებს ხიფათის ძალას,
 თუ დაგიმოწმებს უბედურებას
 მეცნიერება, რომელიც საზღვრავს
 შენი ცხოვრების დანიშნულებას?
 და მეც მივიღე ეს გაფრთხილება,
 რაკი განგებამ თვითონ გამანდო
 საბედისწერო გულახდილობით —
 რა სატანჯველიც უნდა მრგებოდა.
 ერთი გზა იყო: გამომეკეტა
 ახლადშობილი ველური მხეცი
 და ჩემი სიბრძნით წინ აღვდგომოდი
 ციურ ვარსკვლავთა გამოცდილებას.
 ხალხს განვუცხადეთ, რომ უფლისწული
 ვერ გამოვგლიჯეთ სიკვდილს ხელიდან...
 მიუვალ კლდეზე ყრმისთვის ფარულად
 მაღალი კოშკი ავაგებინე;
 არა თუ მოკვდავს, თვითონ მზის სხივსაც
 გაუჭირდება იმის მიგნება,
 ისე იცავენ ყველა მისადგომს
 ჭიუხის მკაცრი ობელისკები.
 გამოვაქვეყნეთ განკარგულება
 და განვუწყესეთ მძიმე სასჯელი
 ყველა ხორციელს ვინც კი ოდესმე
 ამ აღთქმულ სამანს გადააბიჯებს.

ასე დაეფარეთ ის საიდუმლო,
რომელსაც დღეს აქ ფარდა ავხადე.
სეხისმუნდო კი იქ არის ახლაც,
გლახაკი, მწირი, დატყვეებული:
კლოტალდოს გარდა სხვა არაეინ ჰყავს
მნახველი, ანდა სიტყვის გამცემი.
განათლებასაც მისგან ლებულობს
— ის აზიარებს კათოლიკური
სარწმუნოების ქეშმარიტებას —
და ეს მოწმელა უქარავებს ტანჯვას.

სამ ამოცანას უნდა გავუძღვე:

ჩერ ერთი, ერი პოლონეთისა,
ჩემგან სიყრმიდან გაღმერთებული,
აუტანელი ჩაგვრისგან ვიხსნა
და ტირანს მონად არ გავუხადო:
არ ეკადრება სვიან ხელმწიფეს,
თვისი მამული და იმპერია
განსაცდელისთვის გამოიმეტოს.

მეორეც, ის, რომ ნებას არ მაძლევს
ქრისტიანული გულმოწყალება,
გავწირო ჩემი სისხლი და ხორცი
და ჩამოვართვა ღვთით და კანონით
მომადლებული ყველა უფლება;
რადგან არც ერთი კანონის ძალით
არ შეიძლება მისი შენდობა,
ვინც მოძალადის ასალაგმავად
თვითვე მიმართავს ძალმომრეობას.
ბოროტი თუა ჩემი მემკვიდრე
მე არ შემშენდის ბოროტებითვე
აღვკვეთო მისი დანაშაული.

და საბოლოო, მესამე სიტყვით
ჩემი შეცდომა უნდა ვამხილო:
თავს ვიტყუებდი, ავი ნიშნები
ქეშმარიტებად როცა მივიღე;
კეთილზნიანი მართლაც არ არის.
მანკიერება მოსდგამს ბუნებით,
მაგრამ ზნე იქნებ სულ გამოცვლოდა,
რადგან ყველაზე უღვთო განგება,
თვით სტიქიონზე მძაფრი ბუნება

და უმკაცრესი ბედის ვარსკვლავი
მიმართულებას შეურყევს ნებას,
მისი შეცვლა კი არ შეუძლია.
ბევრი ვიფიქრე, ეს თავსატეხი
რომ ამომეხსნა, და საბოლოოდ
მოვებნე კიდევ გამოსავალი,
რაც დაგამუნჯებთ და გაგაოცებთ.
ხვალ მოიყვანენ აქ სეზისმუნდოს
— ასე უხმობენ მემკვიდრეს ჩემსას,
რომელსაც დღემდე არ შეუტყვია,
ჩემი ძე თუა ანდა ხელმწიფე, —
ტახტს მას გადავცემ ამიერიდან,
ჩემს პალატებსაც დაისაკუთრებს
და გაუძღვება ქვეყნის ბედ-იღბალს,
თქვენ კი, ერთგულად ყოფილი
და მორჩილება გამოუცხადეთ.

სამი ზრახვია აქ დაფარული
და იმედი მაქვს, ამ ჩანაფიქრით
სამივე კითხვას პასუხს მივაგებ.
ერთია, სიბრძნით თუ გაირჩება,
დინჯად, სიკველით, გონიერებით
თუ გააქარწყლებს ვარსკვლავთა მიერ
საბედისწერო სიყრმის განაჩენს,
თქვენც იამაყბთ კანონიერი
ტახტის მემკვიდრით, რომელსაც აღრე
კლდეები ჰყავდა კარისკაცებად
და ტყის ნადირნი — ტოლ-მეგობრებად.
მეორე: თუ ის ბრმა სითაყხედით,
შეუპოვარი გულზვიადობით
გამოამჟღავნებს ველურ ბუნებას
და ავკაცობას დაეწაფება,
მეცოდინება — მოვალეობა
პატიოსნებით რომ აღვასრულე;
და მეფურ სიტყვას არ ვუღალატებ,
როცა მოვაკლებ ყველა ღირსებას,
რადგან საკანში თუ დავაბრუნებ;
კი არ დავჩაგრავე, არამედ დავსჯი;
მესამე: თუკი ჩემი მემკვიდრე
ამ უკანასკნელ გზას დაადგება, —

ვასალნო, თქვენი სიყვარულისთვის,
ეს ხელმწიფობაც, სკიპტრაც, გვირგვინიც
ღირსეულთათვის დამილოცნია:
ორივე დისწულს მეფედ ვაკურთხებ,
წმიდა კავშირით შეერთებულებს;
მეუღლეობის ურყევი წესით
გავაორკეცებ იმათ უფლებებს
და კუთვნილ პატივს ასე მივუზღავ.
ესაა თქვენი მეფის ბრძანება,
მშობლის მუდარაა შვილის წინაშე,
ბრძენკაცისაგან მოძღვნილი რჩევა,
მოხუცებულის წრფელი ნეგეში;
და — თუ ესპანელ სენეკას სიტყვით,
ყოველი მეფის დანიშნულება
არის ხალხის და ქვეყნის მონება, —
უმორჩილესი მონის ვედრებაც.

ასტოლფო

მე უნდა გაგცეთ ალბათ პასუხი —
ყველას სახელით ვითხოვ, ხელმწიფევ:
ხვალე ეჩვენოს ხალხს სეხისმუნდო.
შენს შვილს თავდები აღარ სჭირდება!

ყველანი

მოგვეცით ჩვენი ტახტის მემკვიდრე
და პოლონეთის მეფედ აკურთხეთ.

ბასილიო

მადლობელი ვარ; კმუნვას მიქარვებს
ეგ თანაჯრძნობა. ახლა კი დროა,
ჩვენი სამეფოს ორივე ბურჯი
პალატებამდე რომ მიაცილოთ.
ხვალ სეხისმუნდოც აქ დაგიხედებათ.

ყველანი

ვაშა ხელმწიფეს, დიდ ბასილიოს!

(ყველანი გადიან.)

(ვიდრე მეფე გაეიდოდეს, შემოდინ კლოტალდო, როსაურა და
კლარინი; მეფე შეყოვნდება.)

კლოტალდო
ნება მომეცით, გითხრათ...

ბასილიო

კლოტალდო!
მართლაც რომ კარგ დროს გამომეცხადე.

კლოტალდო

სასიკეთოა ყოველი წამი
შენი ხილვის და თაყვანისცემის.
მაგრამ ამჯერად ჩემმა იღბალმა,
საბედისწერო შემთხვევითობამ
ფერი უცვალა ამ ჩვეულებას
და სიხარული გლოვად მიქცია.

ბასილიო

რა ამბავია?

კლოტალდო

უბედურება
დამატყდა, სენიორ, ეს რომ მომსვლოდა
სხვა დროს და სხვაგვარ ვითარებაში,
ნეტარებისგან ცას ვეწეოდი.

ბასილიო

განაგრძე.

კლოტალდო

გეტყვით. ეს ახალგაზრდა,
უცნობი თავზე ხელაღებული,
კოშკში შეიჭრა, სენიორ, და ბრიყვმა,
დატყვევებული პრინცი იხილა,
მაშისაღამე...

ბასილიო

არაფერია;
არ დაგიმალავ, სხვა დროს რომ გეთქვა
მსგავსი ამბავი, გულს მომიკლავდი;

უკვე საჭაროდ გამოეცხადე
ეს საიდუმლო და არ დავეძებ,
თუ ამ ჭაბუკსაც ეცოდინება.

მოგვიანებით მომინახულე:
ბევრი სიახლე უნდა გაუწყო
და დაეალებაც მოგცე საშური:
პირდაპირ გეტყვი: შენ უნდა იყო
იმ უდიდესი ამბის მესაქე,
ჯერ რომ სამყაროს არ მოსწრებია.
ამ ტუსალებს კი — რომ არ ეგონოთ,
თითქოს მათ ვსჯიდე შენი შეცდომის
გასასწორებლად — ვათავისუფლებ.
(გადის.)

კ ლ ო ტ ა ლ დ ო
მრავალჟამიერ, ჩემო ხელმწიფევ!
(ცა სასიკეთოდ შემოტრიალდა.
აღარ გავუმხელ ჩემს ვინაობას,
რაკი შევიძელ მისი გამოხსნა.)
მოხეტიალე მოგზაურებო,
მეფემ შეგინდოთ.

რ ო ს ა უ რ ა
თაყვანისცემით
მუხლზე გემთხვევი.

კ ლ ა რ ი ნ ი
თუ არ მიწყენენ
შენი ფეხები, თაყვანისცემას
ჰაეროვანი კოცნა მერჩია.

რ ო ს ა უ რ ა
სენიორ, სიცოცხლე შენ მომანიჭე:
შენი წყალობით მიდგია სული
და სიკვდილამდე შენი ერთგული
მონა კიჟნები.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო
განა იმ ჯილდოს,
მე რომ მოგეცი, სიცოცხლე ეთქმის?

კეთილშობილი სისხლი რომ გქონდეს,
ვერ აიტანდი შეურაცხყოფას;
როგორც თავიდან გამომიცხადე,
აქ იმისათვის გადმოხვეწილხარ,
შეურაცხმყოფელს რომ გაუხწორდე.
თუკი სიცოცხლით დაგასაჩუქრე,
სად დაგრჩა, რატომ თან არ იახლე?
უღირსისათვის ის არ არსებობს.
(იქნება დარდით უფრო გამხნევდეს.)

როსაურა

გამოგიტყდები, არ გამაჩნია
სიცოცხლე, თუმცა შენგან მივიღე;
უნდა სასტიკი შურისძიებით
ჩამოვაშორო ბიწი ღირსებას.
და განსაცდელზე გამარჯვებული
ჩემი სიცოცხლე ისევ იქცევა
შემგან ნაბოძებ ძვირფას საუნჯედ.

კლოტალდო

ეს დაშნა იყოს შენი მეგზური,
გამომიცდია ჭირში და მართლაც
საიმედოა: მტრის ჯაერს არ გაჭმევს,
შეიღებება იმისი სისხლით;
ჩემეულია ეს იარაღი
– იმ საათიდან რალა თქმა უნდა,
დატყვევებულმა რომ ჩამაბარე, –
ეს დაგიფარავს.

როსაურა

შენი სახელით
წელზე შევიბავ მას ხელმეორედ
და ეს მახვილი იყოს მოწამე:
ასჯერ ძლიერიც რომ იყოს მტერი,
არას შეგუნდობ.

კლოტალდო

მაშ ძლიერია?

როსა ურა

უძლიერესი. სახელს არ გეტყვი,
თუმც არ გაკლია ბრძნული სიფრთხილე
და უფრო დიდი საქმეც გაგანდე...
იქნებ მიმტყუნოს ამ აღსარებამ
და სულ დაშენების ნუგეში შენი
გულმოწყალების.

კლოტალდო

სახელს თუ მეტყვი,
ჩემს გულს მით უფრო მოინადირებ;
თორემ გზა-კვალი თუ დამიხლართე,
მტერს შევეწევი ჩემს უნებურად.
(როგორმე უნდა დავაცდენინო!)

როსა ურა

მინდა დარწმუნდე, რომ შენი ნდობა
დასაკარგავად არ მემეტება:

იცოდე: ჩემი მონსტრული მტერი
ანტოლფო არის, თვითონ ჰერცოგი
მოსკოვისა.

კლოტალდო (თავისთვის.)

ლამის დამახრჩოს
ბასრმა ტყვილმა... რას ვიფიქრებდი,
თუ ასე ღრმად ჩემი ჭრილობა.
უმჯობესია საქმეს მივხედო.

(ხმაბაღლა.)

მოსკოვიაში დაბადებულხარ
და კიდევ გიკვირს, შენმა პატრონმა
შეურაცხყოფა როგორ გაკადრა;
როგორც მოსულხარ, ისე გაბრუნდი,
და ეგ სიზმრები, შენ რომ გეწვია,
სამარადეთმოდ გადაივიწყ.

როსა ურა

მერე რა მოხდა, პრინცი თუ არის;
მე მაწყენინა...

კლოტალდო

შენი პრინცია
და შეუძლია თუნდაც სახეში
სილა გაგაწნას. (პოი, ზეცაო!)

როსაურა

ჩემმა მოვალემ მეტი გაბედა.

კლოტალდო

მითხარი... მაგრამ, რასაც მე ვეკვობ,
იმზე მეტი რა უნდა მითხრა.

როსაურა

ველაფერს გეტყვი... ვერ გამიგია,
მონუსხულივით რატომ შეგყურებ,
რისთვის შეგხარი უსაზღვრო ნდობით
და სასოებით გემორჩილები...
მიმიძის და მაინც გამოგიტყდები:
გამოცანაა ჩემი სამოსი,
მე — ის — არა ვარ ვინაც გგონივარ,
ოფიოონ — განსაჯე, ვინ უნდა ვიყო,
თუკი — იერი გამოვიცვალე
და — თუ ასტოლფო, ჩემს სავალალოდ,
აქ ჩამოსულა ესტრელას გულის
მოსაპოვებლად. მეტს ნულარ შეითხავ...
(როსაურა და კლარიხი გადიან.)

კლოტალდო

საით? შეჩერდი, ყური დამიგდე!
შუქშეულწიველ ლაბირინთებში
მოექცა უცებ ჩემი გონება
და აღარ ვიცი რას ჩავეჭიდო.
შელახულია ჩემი ღირსება,
მაგრამ ამ მტერთან რა შემიძლია?
მე — ვასალი ვარ, ეს კი — ქალია!
თვითონ განგებას გაუჭირდება
ასეთი საქმის გამობრუნება.
ჯოჯობეთივით დახლართულია
მთელი ამბავი, ციურ განკითხვამ
თითქოს სამყარო მოაჯადოვა.

მეორე მოქმედება

(დარბაზი სასახლეში. შემოდინან
მეფე ბასილიო და კლოტალდო.)

კლოტალდო

ყველას მოეუხმე და აღვასრულე,
რაც დამავალე.

ბასილიო

რაო, კლოტალდო,
გამაგებინე, რა მოაგვარე.

კლოტალდო

საქმე მართლაც რომ კარგად აეწყა:
ძილის წამალი მოვიშველიე —
ოღონდ წინდაწინ როგორც მიბრძანე,
საგულდაგულოთ შეზავებული
სხვადასხვა ჯურის გრძნეულ ბალახით,
რომელიც კაცზე სწრაფად მოქმედებს
და იღუშალი ძალის წყალობით
ელვისებურად უხშობს გონებას,
აბრუებს ტვინს და თავსაც ავიწყებს,
ისე რომ ცოცხალ გვამად იქცევა —
რადგან სამსალამოკიდებული,
მოკლებულია სიცოცხლის უნარს,
აღარც ღონე აქვს და არც შეგნება...
აზრი არა აქვს იმის მტკიცებას,
სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი —
რადგან ცხოვრების გამოცდილებამ
უკვე მრავალჯერ დაგვიდასტურა,
რომ მედიცინამ ფარდა ახადა
ბუნების ათას საკვირველებას
და არ არსებობს ღედამიწაზე
მცენარე, კენჭი ანდა ცხოველი,
გამორჩეული ნიშან-თვისება
რომ არ მოსდგამდეს; და თუ მოკვდავის
ბილწმა გონებამ აღმოაჩინა
ისეთი შხამი, კაცს რომ სიცოცხლეს
გამოასალმებს, სულ ადვილია

იმ წამლის ძალა ისე შევზღუდოთ,
 რომ სასიკვდილო ნაზავის ნაცვლად
 საძინებელი თხვნილი მივიღოთ.
 ასეთ დროს ეჭვიც რომ დაგებადოს,
 ჯობია, გულთან არ გაიკარო —
 ძველი ხერხია მამაპაპური,
 მრავალჯერ საქმით დამოწმებული..
 თან გავიყოლე მე ის სასმელი —
 ხაშხაშით, ბანგით, თრიაქის წვენით,
 ლენცოფას შხაშით შემზადებული —
 და სეხისმუნდოს საკანში შეველ;
 თბილი საუბრით შევიყოლიე;
 შეხედე — მეთქი, დედაბუნება,
 ენით უთქმელი, გულუხვი სიბრძნით
 როგორ გამდიდრებს ყოველდღიურად;
 რა ღვთაებრივი უბრალოებით
 გაზიარებენ ჭეშმარიტებას
 ლაყვარდი ზეცა, მთის მწვერვალები,
 ტყის ცხოველები და ფრინველები.
 და რომ ამენთო იმისი სული
 მაღალ მიწნისთვის, როგორც მიბრძანე,
 მოეძებნე კიდევ მისი გუნების
 შესაფერისი განსჯის საგანი;
 სულდგმულთა შორის არწივს ვუქვბდი,
 ქარტახილებით გალალეული
 ცას რომ მიაპობს თავაწყვეტილი
 და უზენაეს სამფლობელოში
 ცეცხლის სიმებად აელვებული
 მბრწყინავ კომეტად გადაიქცევა.
 მოვინადირე ამ აღმაფრენით
 და ეს ვუთხარი: „სხვა ზნე სჭირს-მეთქი
 ფრინველთა მეფეს, ტოლი არა ჰყავს,
 ყველა თვისტომი მას ემონება“.
 ვიცოდი მიზანს რომ ვეწეოდი,
 საკმარისია, იმის ღირსებას
 შევეხმიანო, ფერი ეცვლება,
 ზვიადი ფიქრი მოეძალება:
 ეტყობა სისხლი მოსდგამს ისეთი,
 გმირობისავენ რომ მოუწოდებს

და წააქეზებს დიად საქმისთვის.
„მე რა შეთქმისო“ — ასე მომიგო,
„თუკი ბუნებით ლალი ფრთოსნებიც
მორჩილებისთვის იბადებიან!
როცა შევეყურებ იმათ ბედ-იღბალს,
ჩემი ტყივილი არ მაგონდება;
მაგრამ, იცოდე, მოძალადეა,
ვინც დამიმონა; რადგან ამქვეყნად
არ მეგულება ისეთი კაცი,
ნებით დამადგას ჭედზე უღელი“.
მივხვდი, ტყეობის გახსენებაზე
წაჰკიდებოდა მძიმე ნალველი...
არ დავაყოვნე და მივაწოდე
საესე ფილა: შესვა თუ არა,
საღათას ძილმა ხელი დარია
და დაეცვარა მთელი სხეული
მსუსხავი ოფლის ხშირი წვეთებით.
შევძრწუნდი, თუმცა მოჩვენებითი
ნილაბი იყო მისი სიკვდილი.
ამასობაში გაჩნდნენ მსახურნიც,
ვისაც მიანდე საგულდაგულოდ
ამ დიდი საქმის დაგვირგვინება,
მძინარე ეტლით გადმოიყვანეს
და მოათავსეს შენს პალატებში.
იქ ყველაფერი წინდაწინ მორთეს
თვალისმომკრელი დიდებულებით,
როგორც შეპტერის იმის წოდებას.
შენს საწოლზეა მისვენებული,
ვიდრე ის ჯაღო არ განელდება:
თანახმად შენი განკარგულების,
ყველა მზად არის პრინცს ემსახუროს,
როგორც აქამდე შენ გამსახურებდნენ.
და თუ უსიტყო მორჩილებისთვის
წყალობა გინდა შემომთავაზო,
ერთი თხოვნა მაქვს — თავხედობაში
ნუ ჩამომართმევ — გთხოვ გამიმხილო:
რა მიზეზია, რომ სენისმუნდო
დღეს სასახლეში გადმოიყვანე,
ან ეს სიფრთხილე რამ გაიძულა?

ბ ა ს ი ლ ი ო

მესმის, კლოტალდო, შენი წუხილი
და ეგ ეპქები რომ გაგიფანტო,
მეც გულისნადებს გაგიზიარებ.
შენ კარგად გახსოვს, ჩემს სეხისმუნდოს
გაჩენის დღესვე ბედის ვარსკვლავმა
რა საზარელი ხვედრი აღუთქვა:
მსურს შევამოწმო ის ჰოროსკოპი,
თუმცა ნიშნები უტყუარია
და არაერთხელ გვიჩვენა ზეცამ
თავის ურყევი ძალმოსილება
წყული მოდგმის განადგურებით –
იქნებ შეცვალოს ეს განაჩენი,
შეგვიმსუბუქოს მძიმე სასჯელი,
იქნება სიბრძნით, სულის სიმხნევით
ჩვენც გავუმკლავდეთ უბედურებას:
კაცი ვარსკვლავზე ღონიერია.
ჰოდა აქ მსურდა მისი გამოცდა;
მინდა ვიცოდე: მოსდგამს თუ არა
მეფური სისხლი: აქ გამოჩნდება
მისი ნიჭი და მიდრეკილება –
თუ სულგრძელია, დაე იმეფოს:
მაგრამ თუ ცივი განუსჯელობით
თვისტომს ჯალათად მოველინება,
ისევ საკანში ყოფნა მოუწევს.
შენ ალბათ გიკვირს, შვილს თუ ვამოწმებ,
რა შუაშია ძილის წამალი,
ან შენიღბული მოგზაურობა...
გეტყვი რა არის ამის მიზეზი:
ახლა რომ ვუთხრა, ვისი შვილია,
ხვალ რაღას იზამს, ბორკილგაყრილი
ისევ საკანში თუ გაიღვიძებს,
დარდით მიწასთან გასწორებული,
რა მწუხარება ელის საბრალოს,
თუ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდება –
ეცოდინება, პრინცი რომ არის
და რა აცოცხლებს, რა ანუგეშებს?
სხვა ვზა არ არის, ეს ბორბლება
ამ ხერხით უნდა ჩამოვიცილო:

დაე იფიქროს, რომ ყველაფერი
სიზმარში ნანა. ორმაგ საწადელს.
ჟწევი ამით: უფრო ადვილად
ჩავწვდები შვილის ნამდვილ ბუნებას,
როცა უეტრად გაღვიძებული
ის აღარაფერს დაერიდება
და გაამელავნებს თავის ხასიათს:
მეორეც ტანჯვას შეეუმსუბუქებ:
ძალაუფლებით გაღალბებული,
მოულოდნელად საპყრობილეში
გამომწყვდეული თუ აღმოჩნდება,
ეს ყველაფერი დამესიზმრაო,
ასე იფიქრებს, და არც შეცდება:
რადგან ამ სოფლად ჩუნი ცხოვრება
ცრუ სიზმარია, ჩემო კლოტალდო.

კლოტალდო

დაგარწმუნებდი, რა ამოა
ეგ შენი გარჯა, მაგრამ რაღა დროს,
უკვე ამ საქმეს აღარაფერი
არ ეშველება! რა ხდება იქით,
რა ამბავია? გაღვიძებია,
სენიორ, და ჩვენკენ მოეშურება.

ბასილიო

მე ახლა წავალ. შენ ვით მოძღვარი,
წინ შეეგებე, — დაბნეულობამ
არ შეიწიროს: დააძლივინე
მტანჯველი შიში და შეეცადე
ქეშმარიტება ჰყავდეს მეგზურად.

კლოტალდო

მაშ, შემიძლია დაუფარავად
ეუთხრა სიმართლე?

ბასილიო

ნუ დაუმალაე, ხელს არ შეგიშლი:
რა დღეც მოელის:

აწონ-დაწონოს საშიშროება —
იქნება აცდეს უბედურებას.
(გადის. შემოდის კლარინი.)

კლარინი

(ვიდრე ხელიდან დავუსხლტებოდი,
ოთხჯერ გადამკრა წკეპლა დარაჯმა!
იარალითაც მემუქრებოდა
და ქურთუკიდან ამოქაჩული
წითური წვერით გულს მიღონებდა.
საქმეს ადგილზე უნდა მივხედო —
სათადარიგო დაზვერვისათვის
ყელაზე სანდო ის სარკმელია,
რომელსაც კაცი თან დაატარებს,
უფასო ზეიმს რომ არ დააკლდეს.
ვინ რა უნდა თქვას, დღესასწაულზე
ხალხს სასეიროდ თუ ეჩვენება
ლატაკი, თავზე ხელაღებული.)

კლოტალდო

(აგერ, კლარინი, ჩემი ბედკრული
ქალის მსახური! ღმერთო, მიხსენი!
მთელს პოლონეთში გამომაქენა.)
კლარინ, რა არის თქვენკენ ახალი?

კლარინი

სენიორ, მითხრეს, რომ შენს მოწყალებას
განზრახული აქვს, შური იძიოს...
ესეც გავიგე, როსაურასთვის
კაბის ტარება გიბრძანებია.

კლოტალდო

ეგრე აჯობებს, მაგისი ქცევა
ქარაფშუტობად რომ არ ჩათვალოს.

კლარინი

სოლომონ ბრძენმა, ახლა სახელიც
გამოიცვალა: მთელს პოლონეთში
როგორც შენს ამისწულს, ისე იცნობენ.

სასახლის კარზეც მიღებულია:
ბრწყინავს ესტრელას სეფექალებში.

კლოტალდო
და იმედია, რომ მომავალშიც
ჩემს ხარჯზე პატივს აღარ მოიკლებს.

კლარინი
რაც მართალია იმედს არ კარგავს,
რომ გამოიხსნის იმის ღირსებას,
შესაფერისი დრო რომ დადგება.

კლოტალდო
წინდახედული არაფერს კარგავს...
ასეთ საქმეში დროა მსაჭული —
გულმოდგინებას ის გამოაჩენს.

კლარინი
ესეც იცოდე: დღეს როსაურა
დედოფალივით მოკაზმულია,
როგორც შენს ძმისწულს შეეფერება.
მე კი, იმისი თანაგრძნობისთვის,
შემშლით სული უნდა ამომძერეს
და აღარავის არ ვაგონდები.
ერთიც ვნახოთ და ხმა ამოვიღე,
ვთქვათ, ჩემს სეხნიას — კლარნეტს¹ მივბაძე:
წაუხდებოდათ მაშინ გუნება
მაგ თქვენს ხელმწიფეს, პერცოგს, ესტრელას...
როგორც მსახური, ისე კლარნეტიც,
საიდუმლოსთან მწყრალად არიან;
თევზივით ჩუმად კი არ ვიქნები —
ქვეყანას შევეძრავ და ეს სიმღერა
ზედგამოჭრილი იქნება ჩემზე:
„მწყემსმა საყვრი ააწყრიალა,
გამხიარულდა მთელი სოფელი“.

1. „კლარინი“ — ესპანურად „საყვრის“ ნიშნავს.

კლოტალდო

ბუნებრივია შენი მოთხოვნა:

მაგ საჩივარსაც მოვუვლი, მაგრამ

ჯერ სამაგისოდ არა მცალია.

კლარინი

ვინ მოდის? მგონი, სეხისმუნდოა.

(მუსიკას უკრავენ, გაისმის სავალაობლები. სცენაზე გამოიჩნება გაოგნებული სეხისმუნდო მსახურთა თანხლებით, რომლებიც საშოსს აწვდიან.)

სეხისმუნდო

ღმერთო, მომხედე და დამიხსენი!

ღმერთო მაღალო, ამას რას ვხედავ!

თუ მირაჟია, გაგრძელდეს ნეტავ!

სხვა ამბავია... ველარ ვიხსენებ...

მე და — მდიდრული ციხე-დარბაზი?

მე და — ზღაპრული ფარჩის სამოსი?

ნუთუ მსახურთა ბრწყინვალე რაზმი

მე გავაოცე ჩემი გამოსვლით?

ეს მე ვიყავი, თავდავიწყებით

ყურთბალიშებზე მისვენებული?

მე შემომცქერის ამდენი სული?

მე მრთავენ ასე ღრმა მოწიწებით?

რომ აღარ მძინავს, უკვე ცხადია:

დიდიხანია, გამოვიღვიძე.

სეხისმუნდო ვარ, გინდ დავიფიცებ —

მაშ რა ჯადოა, ან რა ზღართია?

ამ პალატებში ვინ დამაწვინა,

რა ძალა ჰქონდა ჩემს ფანტაზიას,

ძილში ფანტომად გადამაქცია

და სასახლეში გადმომაფრინა.

მაგრამ ამითი რა დამაკლდება,

საქმის გარჩევას ვინ მეკითხება?

მომემსახურონ რა მენადვლება,

სულ არ დავეძებ, ხვალ რა იქნება.

პირველი მსახური

მგონი, ქეიფზე ვერ უნდა იყოს!

მეორე მსახური
მიკვირს ჭკუიდან არ გადავიდა —
ამას რომელი კაცი აიტანს!

კლარინი
მე ავიტანდი.

მეორე მსახური (პირველს.)
ხმა ამოიღე.

პირველი მსახური
ისევ დაიწუნ სიმღერა?

სეხისმუნდო
არა.

მსურს დაითხოვოთ მთელი კრებული.

მეორე მსახური
ისე იყავით დაფიქრებული,
გავართობ-მეთქი, სიმღერით...

სეხისმუნდო
კმარა,

ქნავილით დილა რაც ჩამამწარეთ;
თანაც გართობა სულ არ მიტაცებს —
პანგი არა სჯობს ღედამიწაზე
საომარ მარშებს, სამხედრო პარადს.

კლოტალდო
სალამი, თქვენო უმაღლესობაე,
ხელზე პირველი მინდა გემთხვიოთ,
ნება მიბოძეთ, პატივს ვუწიო,
რომელიც სხვისთვის აღარ მეთმობა.

სეხისმუნდო
(კლოტალდო ნახე რა ამბავშია,
ციხეში სული რომ ამომართვა?
დილაადრიან რა დაემართა?
რა მზაკერობაა, რა თამაშია?)

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

აჯანყდა შენი მშვიდი ბუნება:
ამდენმა უცხო შთაბეჭდილებამ
სულ მოგიწამლა გრძნობა-გუნება
და შეგიცვალა განწყობილება.
სენიორ, ისეთი ბედი მოგელის,
უნდა სწირავდე უფალს მადლობას —
მეთესწული ხარ ჩამომავლობით
და პოლონეთის ტახტის მფლობელი.
და თუ ამდენი წელი დაჰყავი
გაძევებულმა უდაბურ ტყეში,
— განუკითხავად და უნუგეშოდ —
ამას ითხოვდა ბედის ვარსკვლავი,
რომლის თანახმად, არ ასცდებოდა
ჩვენს იმპერიას შფოთი და შუღლი
იმ შემთხვევაში, თუ შენი შუბლი
დათვის გვირგვინით გაბრწყინდებოდა.
ქეშმარიტებას არ დაგიმალავ:
შენ თუ კაცური კაცი დადგები,
გადააქარბებ ვარსკვლავის ძალას
და ბედისწერას გაუმკლავდები.
საპყრობილეში, შიშველ მიწაზე
ჩაძინებული რომ დაგინახე,
სამეფო ეტლი გამოვიძახე
და სასახლეში გამოგიტაცე.
დღეს მამაშენი ხელმწიფე ჩვენი
აქ მობრძანდება, შენ რომ გიხილოს,
და რაც დავფარე, მან გაგიმხილოს.

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ვერაგო მონავ, მხდალო გამცემო,
მეტს რაღას მეტყვის, რაღას წუხდება?
ძლივს არ გავიგე, ვინ გამაჩინა?
კაცს არ დავინდობ! მე თქვენ გიჩვენება
სიამაყს და ძალაუფლებას.
ხალხმა და მეფემ ეს დაგაუალა?
რად დამამწყვდიე? რომ მოგეკალი?
ტახტიც ხელიდან გამომაცალე...
ვინ გაპატიებს კანონის ღალატს,
ქკუა სად გქონდა?

კლოტალდო
რად ვარ ცოცხალი!

სეხისმუნდო
მართლმსაჯულება ურცხვად გაყოფე,
მეფე გაწირე და გადამკიდე.
გაჩენის დღიდან დამადგი თვალი...
სისხლისმსმელი ხარ... სხვა რაღა ეთქმის
ამდენ სიმხეცეს, უბედურებას –
ხელმწიფეს მე და მართლმსაჯულებას
გვსურს აქვე მოკვდე.

მეორე მსახური
სენიორ...

სეხისმუნდო
ხმა-მეთქი,
ხომ არ გგონიათ, ვინმეს ვუხატოებ!
ღმერთმანი სულაც არ მეცინება –
ვინც აქ ხელს მიშლის და მეცილება,
ფანჯრიდან კისრით გადავუძახებ.

მეორე მსახური
რალას უდგებარ კლოტალდო!

კლოტალდო
ნეტავ
რამ გაგამხეცა და გაგაცოფა!
ჯერ სიზმარში ხარ... ვაი, შენს ყოფას!
(გადის.)

მეორე მსახური
გონს მოდით, სენიორ....

სეხისმუნდო
წადი აქედან.

მეორე მსახური
ეგ ხომ ხელმწიფეს დაემორჩილა.

სეხისმუნდო

როცა კანონი ჩემკენ იხრება,
ხელმწიფეს ჰკუას ვინ ეკითხება?
მაშ, პრინცი თქვენი მონა ყოფილა!

მეორე მსახური

ჩვენ იმის განსჯა არ გვევალება,
კარგად მოიქცა მეფე თუ ცუდად.

სეხისმუნდო

მგონია, ტვინი გადაგიბრუნდა,
ისე დამიწყჷ ჰკუის სწავლება.

კლარინი

პრინცი სწორია, რომ ვუკვირდები:
კაცი ვერაფერს გაგაგებინებთ.

პირველი მსახური

რა უფლება გაქვს, რომ აწყვეტინებ?

კლარინი

ვიღებ უფლებას, როცა მქირდება.

სეხისმუნდო

ვინა ხარ შენა?

კლარინი

მაჰანკალი ვარ.

მიჯარს ყოჩობა, ოინბაზობა,
სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა,
ყელგან დაკქრივარ ბუზანკალივით.

სეხისმუნდო

ერთადერთი ხარ ამ ბნელ სულებში,
ვინც დამამშვიდა და გამახარა.

კლარინი

სეხისმუნდოთა გართობა გახლავთ
ჩემი მთავარი დანიშნულება.
(შემოდის ასტოლფო.)

ასტოლფო

რა დიდებული წამი გველირსა,
სამგზის ნანატრი დილა გათენდა.
გამხიარულდა, გადასხვაფერდა
ცა და მთა-ბარი პოლონეთისა!
განათდა ჩვენი ქერიც და ფუქსეც
მეწამულ სხივით, ღვთაებრივ ფერით:
პრინცი, მთებიდან ნათლის ჩანჩქერი
ცხოველ მზესავით გადმოაშუქეთ!
ძღვევით იმეფეთ აწ და მარადის
და თუ აქამდე გღვენიდათ ბედი,
ღღვიდან დაფნის შარავანდელი
ნუ მოგკლებოდეთ.

სეხისმუნდო

ღმერთი გფარავდეთ.

ასტოლფო

ერთად არა ვართ, პრინცი, აღზრდილი,
მიტომ არა მთვლით პატივის ღირსად.
მე ვარ ჰერცოგი მოსკოვისაა,
ასტოლფო, თქვენი მამიდაშვილი:
— მოკვთენი ვართ და ერთმანეთი
ღვიძლი ძმებივით უნდა გვიყვარდეს.

სეხისმუნდო

თქვენი თავი რომ უფალს მივანდე,
რა მოხდა, ვითომ? უყურე ერთი,
მამაზეციერს თავს არ უყადრებს!
რით ვერ გაამეთ რა დაგაკელით?
ვისაც არ უნდა შემწე, მფარველი,
იმას უფალიც არ გაუმართლებს.

მეორე მსახური

ხომ ხედავთ, თქვენო უმაღლესობავ,
სულ გაველურდა მთაში ყმაწვილი!
თავს ველარ იქერს. სენიორ, ეგ კილო
ასტოლფოს გულზე ეკლად ესობა...

სეხისმუნდო

მაგას ზრდილობის რა გაეგება,
არ მომწონხარო, გამომიცხადა,
დამტანჯა... ქუდიც არ მომიხადა.

პირველი მსახური

ეგეც პრინცია.

სეხისმუნდო

მე ნუ მედრება.

მეორე მსახური

თქვენ გევალებათ ყველაზე მეტად
ერთიმეორის პატივისცემა
და სიყვარული.

სეხისმუნდო

ჩუმაღ, თავხედო!

რჩევას არაფერ არ გეკითხება...
(შემოდის ესტრელა.)

ესტრელა

ბატონო ჩემო, კურთხეულია,
ვინც დაგაბრუნათ ამ თბილ ბუდეში,
ჩვენი მხსნელი ხართ, ერის ნუგეში,
თქვენი საფანე – ჩვენი გულია...
დატკბით სახელით, მხედრულ დიდებით,
სევდა გაშორეთ დედაბუნებამ,
ას წელს კი არა – საუკუნეებს
უნდა ითვლიდეთ გულდამშვიდებით.

სეხისმუნდო

ეს რა ჩიტია, კლარინ, მითხარი,
ეს ანგელოსი ნუკრისთვალემა,
ვინ არის-მეთქი ეს ქალ-ღვთაება,
ფეხქვეშ რომ უფენს სხივებს ცისკარი
და დასდგომია თავს ცისარტყლა,
სამოთხის ვარდი ახლად გაშლილი?

კლარინი
ესტრელა, თქვენი მამიდაშვილი.

სეხისმუნდო

მზე უნდა ერქვას მაგას სახელად.
კეთილ სურვილებს უამი გამოცდის...
ჩემი მთავარი მონაპოვარი
თქვენი სახეა ტკბილსახსოვარი,
ღვთის წყალობაა – თქვენი დალოცვა:
რით არის ეს დღე შესანიშნავი,
ან მოსალოცი რაა ისეთი,
მაგრამ ამშვენებს მადლი სიკეთეს.
ესტრელა, თქვენ ხართ ცისკრის ვარსკვლავი.
კალმით ნახატი ეგ სილამაზე
ატყვევებს თვალს და გულს ახალისებს.
მზე აღარ მზეობს და აღბათ ისევ
თქვენ იციმციმეთ ცის კამარაზეც,
გეამბორებიო, მომეციოთ ხელი,
ჰაეროვანი ბროლის თასებით
ღვთაებრივ ნექტარს დავეწაფები.

ესტრელა

რა უნაკლოა, რა მომხიბვლელი!

ასტოლფო

(ხელი რომ ახლოს, დავიღუპები.)

მეორე მსახური

(უნდა ვიჩქარო. ასტოლფო ცხარობს.
ოდონდაც სინხლი არ დაიდვაროს.)
პრინცს არ შეშვენის მსგავსი ხუმრობა,
ნახეთ, ასტოლფოს რა ემართება!
დამშვიდდით, სენიორ, იწამეთ ღმერთი.

სეხისმუნდო

მე ვის ვუთხარი, გაჩუმდი-მეთქი?

მეორე მსახური

არც მიფიქრია შეკამათება...

სეხისმუნდო

არ ამომხადეს სული წამებით?

ჭკვიან კაცს უთქვამს: თუ მე არ მაწყობს,
ქოთანს ქვას და მაწონს ძაღლსო.

მეორე მსახური

ახლა არ იყო, თქვენ რომ ბრძანებდით,
უკანონობა არ იქნებო.

კანონის დამრღვევს თვითონ არ სჯიდით?

სეხისმუნდო

ის აღარ გახსოვს, რასაც დაგპირდი?

ერთხელ კიდევ რომ შემომედავო,
ბურთივით გისერი ზღვაში აქედან.

მეორე მსახური

რამდენჯერაც კი გული მოგივათ,

ეს უნდა მკადროთ? ვინა გგონივართ?

სეხისმუნდო

ახლავე ნახავ, თუ ვერ გავბედავ!

(ხელს სტაცებს და ძალით გააყავს, სხეებიც გააყუყუბიან და
შასთან ერთად ბრუნდებიან სცენაზე.)

ასტოლფო

გამაგებინეთ, რა ყვირილია?

ესტრელა

ჩქარა, უშველეთ, ჩაუშვით ნავი!

(გადის.)

სეხისმუნდო

ზღვაში ისკუბა დიდი ამბავი,

და, როგორც იქნა კმაყოფილია!

ასტოლფო

ნუთუ არასდროს არ შეიცვლებით!

თუ არ მოიშლით ველურ სიმკაცრეს,

დღესვე ციხეში გადაინაცლებთ

და კაცი – ისევ მხეცად იქცევით.

სეხისმუნდო

რალაც ძალიან ცუდად ირჯება:
ყველა საქმეში უშნოდ მეჩრება!
მხრებზე თავი რომ აღარ შერჩება,
სომბრეროს მოხდაც არ დასჭირდება.
(ასტოლოფო გადის. შექმნილი ბასილიო.)

ბასილიო

რა ამბავია?

სეხისმუნდო

ვერ დავაწვწარე
ერთი სულდგმული! ნერვებს მიშლიდა
და ძირს ჩაუშვი ამ აივნიდან...

კლარინი

ეგ ხელმწიფეა, ნუ გაამწარებ.

ბასილიო

ნუთუ მოყვასი აღარ დაზოგე!
ჩერ არ მოსულხარ... რა დაგიშავა?

სეხისმუნდო

ვერ მაჯობებო, დამენაძლევა
და ვერ მივართვი... მაინც ვაჯობე.

ბასილიო

პრინცი, დაემხო ჩემი იმედი;
მეგონა, ტახტი რომ წაგაქეზე,
ამაღლდებოდი საკუთარ ხვედრზე
და ცის განაჩენს აირიდებდი.
გნატრობდი, ფიქრით თავს გველებოდი.
რა გამოვიდა... უფრო გამხეცდი!
წომკედარიყავი, გულს თუ ჩამწვეტდი
და აქ კაცის მკვლელს შევეყრებოდი.
~~ვერც სვალს გისწორებ~~ და ვერც გეხვევი,
რადგან სიკვდილთან ნაზიარები,
მზარავს ეგ შენი ცივი ბრკყალები, —
ნუ მიწყნ მაგრამ ვერ შეგეხები.
ვინ არ შედრკება, უკმეხად, ურჩად

თუ შეაგებეს ყოვლისმსახვერელი
სისხლში ნაფერი ბასრი მახვილი,
წარბშეუხრელად მკერდს ვინ მიუშვერს!
ისეთი კაცი თუ გეგულება,
ვინც შოგიწონებს სასტიკ ღრეობას,
ფეხქვეშ გათელავს კაცურ ბუნებას
და ქედს მოუხრის ძალმომრეობას?
ველარც მე გიტან, ღვიძლი მშობელი,
ჯალათს შეპფერის, რაც შენ იკადრე.
სადმე შორს უნდა გადავიკარგო,
ისე შებილწე ეს სამყოფელი;
მამაშვილური ხვევნა-ალერსით
გულს ჩაგიკრავდი, განუგეშებდი...
მაგრამ ვერ ვპოვე რასაც ვეძებდი:
შიშით კვანკალებ და რალა მეთქმის.

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ჯერ არ მინახავს მშობლის ალერსი
და მადლობა ღმერთს, მაინც გაეძელი:
სამაგიეროდ არ დამაკელი
გაჩენის დღიდან მტრობა და გესლი.

შენ დამიკარგე კაცური სახე,
დაამხე ჩემი ფესვი და ძირი,
ტყეში გამაგდე, როგორც ნადირი
და ურჩხულივით კლდეში დამმარხე
ღვთის ანაბარად როცა მიმაგდე,
მაშინ წამართვი ყველა ღირსება!
ხვევნა და კოცნა რაში მკვირდება,
ადამიანად თუ არ ვივარგე!

ბ ა ს ი ლ ი ო

ნეტავი სულაც არ გამჩენოდი,
ეს უტიფარი ხმა არ მსმენოდა —
ღმერთის წყალობას შევეუკრებოდი
და ჯოჯოხეთი ამცილდებოდა.

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ან ამ სიცოცხლეს რალას მაძლევდი,
თუკი მაშინვე უკან მიგქონდა?

ერთ სამღურავსაც აღარ ვიტყვოდი,
რომ არ მოგეცა... არც ვინაღვლებდი...
ცად აგამაღლებს ეგ საჩუქარი,
სხვისთვის სიცოცხლე თუ გაიმეტე,
მაგრამ რად მინდა შენი სიკეთე,
იქვე სამარე თუ გამითხარე?

ბ ა ს ი ლ ი ო

ბოგანო ტყვე რომ პრინცი გაგხადე,
მეტის ღირსი ვარ შენი მშობელი.

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

იმაზეც გითხრა სამადლობელი,
ცოცხალი მკედრად რომ გამომაცხადე?
ახლა დაბერდი, გამოჩერჩეტდი
და სიკვდილის წინ მაძლევ უფლებას,
დავეპატრონო ჩემს საკუთრებას.
ჩემი არ არის ტახტიც და კვერთხიც?
მამაც ხარ, მეფეც, ჩემი ბატონიც,
მით უარესი, თუ გავიწყდება,
რომ ეს სიმდიდრეც, ძალაუფლებაც
მემკვიდრეს რჩება ყველა კანონით.
მიკვირს სული არ გაგაცხებინე,
ვალის გადახდა კიდევ გადროვე –
დამიწებული ახალგაზრდობა
სისხლით და ცრემლით არ გაზღვევინე!

ბ ა ს ი ლ ი ო

თაყვებლობაში არ გყავს ბადალი!
ველოდი კიდევ, გამამწარებდი:
ასრულდა ზეცის დანაბარები:
გულბოროტი ხარ და ჭედმაღალი.
გაიგე, ვინც ხარ, და ბედის ჩარხი
უკუღმა მაშინ შემოგიბრუნდა,
როცა ცის თაღი მოირგე ქუდად
და უნდობლობით მოწამლე ხალხი.
გიჭობს ახლავე მოუხმო ცნობას
და მორჩილებით თავი დახარო:

დღეს რომ გავცეხ, ხვალ ეს სამყარო
ზღაპრად და სიზმრად მოგაგონდება.
(გაღის.)

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ვითომ ძილში ვარ და მეღანდება
ამ სასახლეში რასაც ვუცქერი?
მაშ რას განვიცდი, რილასი მჭერა?
აშკარად მესმის, ირგვლივ რა ხდება!
გინდაც ინანო მთელი ცხოვრება,
რა შეიცვლება? აღარაფერი.

თუნდ დაიგლიჯო ბრაზით თმა-წვერი —
ვინა ვარ, მტკიცედ მემახსოვრება:
დაბადებიდან მირონცხებული,
გვირგვინოსანი ციურ განგებით!
და თუ აქამდე შენი ბრძანებით
საკანში ვიყავ დატყვევებული,
მაინც ვერ მოსპე სიმართლის კვალი:
გარკვეულია ჩემთვის საესებით,
გაორებული რომ ვარ არსებით,
კაცის და მხეცის შთამომავალი.
(შემოდის როსაურა ქალის ტანსაცმელში.)

როსაურა

(ესტრელას ვეძებ... მუხლი მეჭრება —
ალბათ ასტოლფოს გადავეყრები...
კლოტალდრს არ სურს მან რომ გაიგოს,
ახლავე ეჭვი რომ არ აიღოს.
რომ არ გაქარწყლდეს ზრახვა ყოველი...
კლოტალდოსაგან შევლას მოველი,
ის არის ჭირში ჩემი მხლებელი.
ღირსების, რწმენის მომნიჭებელი.)

კლარინი

რაც აქ იხილე და მოისმინე,
ველაზე მეტად რით მოილხინე?

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

არაფერია აქ საკვირველი,
ფიქრითაც ვიყავ ამის მხილველი:

მე ამ სასახლეს, თავის სვეტებით,

ერთ ლამაზ ქალში გავიმეტებდი.

ქმშმარტივად მწამდა აქამდე,

— სუყველა წიგნი ამას ლაღადებს —

ვინც კაცი შექმნა ღვთიურ გვირგვინად,

წამიერებაც მან მოგვივლინა:

ქალო ეი გაჩნდა ციურ ხატებად,

ღვთიურ ხილვათა გამოცხადებად

და კაცზე უფრო ნაზი სული აქვს,

რადგან სამოთხის მოციქულია;

სხვა რა ეუწოდო ასეთ მშვენებას...

როსა უ რ ა

(პრინცი აქ არის... რა მემველება...)

სეხისმუნდო

შესდევქ, ლამაზო, საით იჩქარი,

ჩააგე მწუხრი, თუ ხარ ცისკარი!

წარბს ნუ შეიკრავ, ნუ გაბრუნდები,

დაცხრება მზე და ცა გახუნდება,

დაიბურება ბინდით სოფელი,

ობლად დარჩება ეს სამყოფელი.

(ნეტავ საიდან მეცნაურები?)

როსა უ რ ა

(სასწაულს ახდენს ზოგჯერ ბუნება.)

სეხისმუნდო

(ეს ტურფა სახე გარკვევით მახსოვს!)

როსა უ რ ა

(ნუთუ ეს არის ბრწყინვალე ასლი

ბედკრულ ტუსალის... რა ღრმა მზერაა,

რა სიღიადე!)

სეხისმუნდო

(ბედისწერაა...)

ქალო, — ამ სიტყვას ვერაფრით შევცვლი,

მოქმედებს, როგორც ტყვია და ცეცხლი —

ვინა ხარ? ვიდრე დაგინახავდი,
შენი ტყვე ვიყავ, ზღაპრად გსახავდი;
თითქოს მსგაესი რამ აღრეც მიგრძენია,
მაგრამ სად? როდის? ვერ შემიგნია!
სთქვი რა ჯადო გაქვს, რა ანდამატი?

როსაურა

(არ უნდა მიცნოს!) აქ ჩემს ქალბატონს,
ჩემს ბედის ვარსკვლავს — ესტრელას ვვლი.

სეხისმუნდო

არა, შენ მზე ხარ, ის კი — სანთელი!
შენ ხარ შუქურა აღმოსავლეთის,
შენგან სესხულობს შუქს ვარსკვლავეთი;
როგორც ყვავილთა უნაზეს ჯარში,
სურნელებათა ტკბილ ნიავექარში
წოსვას აბრუებს ვარდი ქებული
ყვავილთა მეფედ სახელდებული;
როგორც ძვირფასი თვლების კრებული
აღმასით არის დამშვენებული
და ბრილიანტი — იმპერატორი
გამოირჩევა სპეკალთა შორის;
როგორც ზეციურ სამფლობელოში,
მთრთოლვარე სხივთა საკანდელოში,
ყველა ვარსკვლავზე უფრო ცხოველი,
მეფობს მნათობი სივრცის მპყრობელი,
ციურ სხეულთა სული და გული
მეცხრე ცაზეა ის აზიდული
და არ დაცხრება ერთი წამითაც,
დაუშრეტელი დასაბამიდან —
შენ იმის მხლებლად არ იხსენები,
ვინც იფერფლება შენი მშვენებით!
თუკი სპეკალიც, ყვავილ-მნათობიც
სხვადასხვაგვარად ათინათობენ,
შენ სილამაზით სხვაზე კარგი ხარ:
მზე ხარ, ვარდი ხარ, ბრილიანტი ხარ.
(შემოდის კლოტაღდო.)

კლოტალდო

ჩემს მეტი მაგას ვინ დაამწვიდებს...
მაგრამ, რას ვხედავ! რა ხდება კიდევ?!

როსაურა

მადლობას გწირავ ღრმა მოკრძალებით,
დამუწვებული ზღვა მოწყალებით:
როდესაც გული განსაცდელშია,
| დუმილი - ოქრო, სიტყვა - ვერცხლია.

სეხისმუნდო

თვალთმაქცობ, მაგრამ ვერ გამაცურებ.
უკანასკნელად გკითხავ კაცურად:
რა პასუხს მაძლევ, რას მეუბნები?

როსაურა

მორჩილად ვითხოვ წასვლის უფლებას.

სეხისმუნდო

მთხოვნელს კი არაა, ყაჩაღს მაგონებ,
შენი ურჩობით ისე მალონებ.

როსაურა

ვიცი, ნებით რომ არ გამატარებ.

სეხისმუნდო

ლოიალობა მომბეზრდა, კმარა.
შენი ჭიუტი კმაყოფილება
შხამივით ალღობს ჩემს მოთმინებას.

როსაურა

შენ რა გეტყობა ქკუაზე მყოფის,
გააგებულო შხამით და ცოფით.
გინდ მოთმინება ახლავ გასწირე -
მე ვერ გამთელავ, ვერ დამამცირებ.

სახისმუნდო

ხომ არ გგონია, შენზე ვილოცებ -
აგაჰიკჰიკებ სულ სხვა კილოზე:

თავი რომ მოაქვთ მაღალ უფლებით,
მათი ჭაერი მჭირს განსაკუთრებით;
ჭერ ერთი შემხვდა ასეთი მხოლოდ
და აივნიდან ქვევით ვისროლე!
შენს ღირსებასაც ამას დავმართებ:
ფანჯრიდან ვისვრი, როგორც კამათელს.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

(ეს რას ედება აქ ღობე-წორეს.
ღმერთო მაღალო, უკვე მეორედ,
რალაც მზაკვრული გაფაციცებით
გულს იგრილებენ ჩემი ღირსებით.)

რ ო ს ა უ რ ა

აჰა, აღსრულდა ვარსკვლავთა წყველა:
ხალხს მოევლინე სიკვდილის მძევლად.
მოგაქვს ღალატი, შფოთი და ვნება,
დანაშაული, რისხვა-წამება.
თუმცა, რას ველი, შენი მნახველი,
რა შეგრჩა კაცის? მარტო სახელი...
"გულბოროტი" ხარ, "შეუსმენელი",
ტირანი, გვარის შემარცხვენილი!
ნადირთა შორის აკი იყავი?

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

აქამდე თავი რომ შეიკავე,
მეც ღირსეულად დაგზვდი თავაზით,
მაგრამ ზრდილობა ვერ დააფასე:
აზრი არა აქვს უკვე მასკარადს
და რაც გულში მაქვს, აღარ დავფარავ.
— მარტო დაგვტოვეთ, ჩაკეტეთ კარი,
ნურეინ შემოვა.
(კლარინი და მსახურნი გადიან.)

რ ო ს ა უ რ ა

(ცოცხლად მკვდარი ვარ.)
მაგრამ, იცოდე...

სეხისმუნდო

მე ჭალათი ვარ,
თხოვნა და ცრემლი აქ არ გაგივა.

კლოტალდო

(რა სიძველეა! უნდა ავლაგმო,
გინდაც სიცოცხლეს გამომასალმოს.)
სენიორ, ყელაფერს ვხედავ და ვისმენ...

სეხისმუნდო

მეორედ არის, რომ გამარისხე,
სულწაწყმედილო ავო ბებერო!
ახლაც დაგზოგო და მოგეფერო?
აქ როგორ გაჩნდი, შე უბედურო?

კლოტალდო

კივილზე აქეთ გამოვეშურე.
შენს ქტევას თუ არ დაუკვირდები,
ისე მეფობა გაგიჭირდება,
მოწყალე აჟავ, დაინდე ერი,
სიზმრად არ გექცეს ეს ყელაფერი.

სეხისმუნდო

ოჰ, თუ კაცი ხარ, არ დამაფეთო!
სულ ჩამჩიჩინებ, სულ შხამს მაწვეთებ...
ხმა ჩაიკმინდე! წესს რომ აგიგებ,
ცხადსა და სიზმარს უკეთ გაიგებ.
(ხმალი უნდა იშიშვლოს. მაგრამ კლოტალდო ხელში ეცემა
და დაიჩოქებს.)

კლოტალდო

თუ არ დავუშლი, სიკვდილი მელის.

სეხისმუნდო

გასწიე-მეთქი ეგ ბილწი ხელი.

კლოტალდო

ვიდრე აქ ხალხი არ შეიყრება
და გულისწყრომა არ გაგიჭრება,
არ მოგცემ საშველს.

როსაურა

ღმერთო!

სეხისმუნდო

გამეცა,
მტარვალო, ბრიყვო, ბებერო მხეცო,
ტყუილად გდიხარ ასე კუტივით,
მაინც მიგახჩობ კატის კნუტივით.
(იბრძვიან.)

როსაურა

ღვთის გულისათვის, აქეთ წამოდით,
კლოტალდოს კლავენ.
(შემოდის ასტოლფო. კლოტალდო მას ფეხქვეშ ჩაუვარდება.
ასტოლფო გააშეელებს მათ.)

ასტოლფო

პრინცო, რა მოგლით,
ნუთუ ეს დაშნა, რაინდის ღირსი,
უნდა შეღებოთ დამზრალი სისხლით?
უმიზეზოა ეს ქარიშხალი:
ჩააგეთ თქვენი ელვარე ხმალი.

სეხისმუნდო

სწორედ მაგისი წუნკალი სისხლით
უნდო შევლებო.

ასტოლფო

თავის სიცოცხლე,
ამ უბედურმა, უხმოდ მომანდო...
კეთილმა ქარმა თუ გადმომავლო.

სეხისმუნდო

ცდები, სიკვდილის ქარმა მოგიხმო —
ქველი ცოდვები უნდა მოგკითხო.

ასტოლფო

მე თქვენს ღირსებას არ გავაწბილებ:
თავს არ წავაგებ, პრინცო, გაფრთხილებთ.
(იბრძვიან. შემოდიან მეფე ბასილიო და ესტრელა.)

კლოტალდო
შეჩერდით, სენიორ!

ბასილიო

ხმლით ვინ ნავარლობს?

ესტრელა

(ასტოლფო იბრძვის! რა გზას დაუადგე!)

ბასილიო

რა ამბავია? ასე რად ლელავთ?

ასტოლფო

ნამდვილად არ ღირს, სენიორ, სათქმელად.
(ხმლებს ქარქაშში ჩააგებენ.)

სეხისმუნდო

რაკი აქა ხარ, გეტყვი, ცხადია:
ამ ბებრუხუნას მოკვლა მწადია.

ბასილიო

ალარც ქალარამ მოგიღბო გული!

კლოტალდო

არაფერია სერიოზული,
წავეიკინკლავთ...

სეხისმუნდო

მწარედ ტყუევდები —
ქალარის ხათრით არ გავჩუმდები;
იქნებ ისეთი დღე დაგათიო,
თმითა და წვერით ლაფში გათრიო,
შურის ძიების ბოღმით ვივსები:
აქ სხვა სამართალს ვერ ველირსები.
(გადის.)

ბასილიო

სულ ტყუილია შენი ქადილი:
არ აგინდება ცუდი წადილი!

გაგელვიძება და ეს ცხოვრება
ლანდად და სიზმრად გემახსოვრება.
(მეფე და კლოტალდო გადიან. რჩებიან ესტრელა და ასტოლოფო).

ასტოლოფო

ბედის ვარსკვლავი არასდროს ცდება,
უბედურებას როცა გვაუწყებს —
ჭეშმარიტებად მოაქცევს წყვილას
და აღთქმულ ჭილდოს არ გაიმეტებს!
მარტო წუხილის მაცნე რომ იყოს,
ასტროლოგიას ჰედს მოეუხრიდი:
ღვთის რისხვას ვერსად გავეკცეოდით,
გამართლდებოდა ყველა ნიშანი!
ჩვენი ამბავი ავიღოთ თუნდაც —
სოფლის სიმუხთლემ, ჩემო ესტრელა,
მეც დამამარცხა და სეხისმუნდოც...
ბედმა ორივე მშრალზე დაგვტოვა.
იმას სასტიკი ხვედრი აღუთქვა:
უბედურება, შფოთი, მკვლელობა,
და ასეც მოხდა — რაც დაებედა,
სუყველაფერი ზუსტად აუხდა;
ციურ განგებამ მე მომივლინა
ცეცხლისმფრქვეველი წყვილი მნათობი,
რომელთა შუქით მზე იბინდება,
ჩრდილი აღგება დღის ელვარებას, —
ბედმა აღმითქვა გამარჯვებები,
ძალაუფლება, ლალი ცხოვრება,
შეცდა: თავის წესს არ უღალატა;
გაწაფულია ამგვარ თამაშში:
ჭერ მოწყალებით დამაიმედა,
მერე კი ისევ ზიზლით დამცინა!

ესტრელა

ჭეშმარიტებას ღალადებთ, პრინცო!
უმჯობესია, თქვენი ნაღველი
იმ უცნობ ასულს გაუზიაროთ,
რომლის სურათსაც გულზე ატარებთ.
— ეს ჩვეულება მაშინ შეგნიშნეთ,
ჩემს სანახავად როცა მოხვედით —

და ეგ ბრტყელ-ბრტყელი ქათინაურიც
იმ ქალის ყურებს უნდა ასმინოთ.
ჩემგან შენდობას ნულარ მოელით:
გულის სამსჯავროს ვერ დაარწმუნებს
ფიცის მგმობელის ყალბი საბუთი.
ჩვენ მათი ხობტა არა გეკვირდება,
თავგადაკლული ვინც ემონება
უცხო მეფეს და უცხო ასულებს.
(შემოდის როსაურა, მაგრამ შეუშინეველი რჩება.)

როსაურა

(მადლობა უფალს! ასე მგონია,
დღეს დასრულდება ჩემი წამება...
თუ ეს სიმწარე გადავიტანე,
განკითხვის დღესაც არ გავაოცებ!)

ასტოლფო

ამ ჩვეულებას შენ შემოგწირავ,
ამიერიდან მკერდს დამიმშვენებს
ანგელოსური შენი ხატება;
შუქურგარსკვლავი მწუხრს ინაცვალებს
და მზის ნათელი გაცრეცილ ვარსკვლავს.
ახლავე წავალ, სურათს მოვიტან.
(გთხოვ, როსაურა, ცოდვა შემინდო;
ასე უფილა ვაკიც და ქალიც:
როდესაც თვალი თვალს მოშორდება,
მოგონებები ფერფლად იქცევა.)
(გადის.)

როსაურა

(რა უთხრა, კარგად ვერ გავიგონე...
რაც მთავარია ვერ დამინახა.)

ესტრელა

ასტრეა!

როსაურა

გისმენ, ჩემო სენიორა!

ეს ტ რ ე ლ ა

ალარაფერზე აღარ ვიდარდებ,
ჩემს სანუგეშოდ რაკი გამოჩნდი;
შენ ერთს გაგიმხელ ჩემს საიდუმლოს,
სხვას ვერ ვენდობი.

რ ო ს ა უ რ ა

დაე სიწრფელეს
პატიოსნება ჰყავდეს მეგზურად.

ეს ტ რ ე ლ ა

საოცარია... სულ არ გიცნობდი,
ახლათა გნახე, ჩემო ასტრეა,
და სულის კლიტე უკვე მომტაცე;
თანაც გაქებენ გვარიშვილობით,
ამიტომ ვბედავ გაგიზიარო
ის საიდუმლო, საკუთარ თავსაც
რომ დაეუმალე.

რ ო ს ა უ რ ა

მონად მიგულე.

ეს ტ რ ე ლ ა

მოკლედ გიამბობ ჩემს უბედობას:
ასტოლფო, ჩემი დეიდაშვილი –
სხვაგვარად არ მსურს შინსი ხსენება,
რადგან ზოგი რამ მიმძიმს სათქმელად
და საიდუმლოდ გულში ვინახავ, –
ჩემზე აპირებს დაქორწინებას;
ჩვენებ განგებამ ამ ერთადერთი
კეთილი საქმის დაგვირგვინებით
ჭირთა სიმრავლე დაგვაძლევინოს.
სხვა რამ მიწამლავს გრძნობა-გუნებას:
მოღალატეა... გულზე ფარულად
უცხო ასულის სურათს ატარებს;
ვთხოვე, ის ხატი ჩემთვის დაეთმო,
პირობა მომცა, არ გამაწბილა.
საცაა მოვა; უხერხულია,
აქ რომ დაეუხვდე... შენ დაელოდე

და გამოართვი. აღარას გეტყვი;
მშვენიერი ხარ, სულითაც სათნო
და ეს ისარი არ აგშორდება.
(გადის.)

როსაურა

ნეტავი, სმენა დამიწებოდა.
გკითხავ, უფალო, ვინ იქნებოდა
ისე ბრძენი და წინდახედული
ასეთი ელდა რომ დაეთმინა
და ღირსეულად გამკლაგებოდა!
ვინ გაუწირავს უგულო ზეცას
ასე უღვთოდ და შეუბრალებლად,
ვის შეხვედრია ამდენი მარცხი,
ამხელა რისხვა ვის დატყდომია?
ჟერ გამიგია რა მოვისაზრო,
რა გავარკვიო ამ ჯოჯოხეთში,
ვერც სანუგეშო გზა მიპოვია,
ველარც ნუგეში გზისგამკვალავი.
ერთხელ თუ გძლია უბედურებამ,
კარს ვერ გასცდები, ბიჯსაც ვერ წადგამ,
ისევ ხიფათში, რომ არ გაება,
ჭირი ჭირს ერთვის, დაუსრულებლად
ენაცვლებიან ერთიმეორეს,
მარადიული ფენიქსის მსგავსად,
ერთ არსებობას არ სჯერდებიან —
ვიდრე სამარხში მათი კოცონის
მხურვალე ფერფლი გაიფანტება,
სიკვდილისაგან ჰქმნიან სიცოცხლეს...
ბრძენკაცისაგან გამიგონია:
მხდალი არისო უბედურება,
კენტად არავის მიუხტებაო;
არა, მედგარი ყოფილა ჭირი —
სულ წინ მოიწევს მისი ლაშქარი,
ჯერ არ შინახავს ზერგშეკეული.
ვისაც ასეთი მეგზური ანლავს,
ის აღარათერს არ შეუღრკება:
შიში ვერ იხსნის —
ცაც რომ შებრაუნდეს,

ჰირს და სიაფეს ვერ გაეცლება.
 სხვა რა მინახავს... რაც თავი მახსოვს,
 ცრემლი და დარდი არ დამკლებია,
 ფეხდაფეხ მდევდა უბედურება,
 არც ერთი წუთით არ მომასვენა,
 ვიდრე ბედისგან მოძულეებული,
 სიკვდილის აჩრდილს არ გადამკიდა.
 მე რა ვიღონო, თავს რა ვუშველო,
 როგორ გავუძლო ასეთ გამოცდას?
 თუ გავამქლავნე ჩემი სახელი,
 ვიცი, კლოტალდო დამემდურება;
 იმას ვუმაღლი ჩემს გადარჩენას,
 სასახლის პატივს, უზრუნველობას...
 დავიპირდი, ვიდრე გამომიხსნიდა,
 ჩემს ბედს უსიტყვოდ დავლოდებოდი.
 არაეინ იცის ეს საიდუმლო...
 მაგრამ, ასტოლფოს როცა შეეხვებები,
 ტყუილი ფიცი აღარ გამივა:
 თვალებს დავივსებ, წარბს არ შევიხრაი,
 ხმასა და იერს სულ გამოვიცვლი,
 მაგრამ ვშიშობ, რომ სული გამამხებელს,
 როგორ მოვიქცე? წინასწარ ვიცი,
 ასთანაირად რომ ჩავუყვირდე,
 ბევრიც ვიფრთხილო, მოვუხზო სიბრძნეს,
 ყოველი სიტყვა აეწონ-დაეწონო,
 წყუული წამი როცა დადგება,
 უბედურება, რასაც ჩამძახებს,
 იმას ავირჩევ! ვის შეუძლია,
 საკუთარ მარცხზე ხელი აღმართოს...
 სულის სიმტკიცე გამომეცალა
 და აღარ მყოფნის გამბედაობა;
 უკეთესია — ბოღმამ დამახრჩოს,
 გადამიტანოს ამ სატანჯველმა,
 ფრთა გამოისხას უბედურებამ,
 დღესვე გამიქრეს ეჭვიც, იმედიც
 და ვიდრე ხვედრი ამიტხადღება,
 ღმერთმა ისმინოს ჩემი ვედრება!
 (გამოდის ასტოლფო სურათით ხელში.)

ასტოლოფო
თქვენ ჩაგაბარებთ ამ ხატს, სენიორა...
სასწაულია!

როსაურა

რამ გაგაოცათ,
რას ხედავთ, თქვენო უმაღლესობავ?

ასტოლოფო

მე როსაურას ხილვა მოცეხს.

როსაურა

ჩვენს გარდა მე აქ ვერავის ვხედავ!
არ მესმის, თქვენო უმაღლესობავ,
სხვა მანდილოსანს რად მიმამსგავსეთ...
მე ასტრეა ვარ, არავინ შიცნობს,
არ ვიმსახურებ თქვენს ყურადღებას,
ასეთ პატივზე არც მიფიქრია.

ასტოლოფო

მე ვთხოვ, სიყალბეს თავი ანებო,
სულს არაფერი დაემალება,
გონდაც ასტრეად გამოვეცხადო,
ის როსაურას არ დაივიწყებს.

როსაურა

რა გიპასუხოთ... ვერ გამიგია,
რა გნებავთ, თქვენო უმაღლესობავ...
იმას ვასრულებ, რაც დამავალეს;
ეს დამიბარა ჩემმა ვარსკვლავმა,
ესტრელამ – თითქოს ვენერა იყოს –
აქ დაელოდე პერცოგის მოსვლას,
სურათს მოგცემსო. იმის წოდებას
ასეთი ქცევა უფრო შეჰფერის.
თვითონ მივეუტან, ასე აჯობებს.
რაკი ესტრელამ ასე ინება,
მომწონს თუ არა, არავინ მკითხავს,
შეუვალა მისი ბრძანება –
რაც ვარსკვლავს უნდა, კიდევ მოხდება.

ასტოლფო

ძალიან გინდა, რომ დავიჭერო,
მაგრამ თამაში არ გეხერხება!
თვალებს უბრძანე: სულის ღალადი
ყალბ აღსარებას დაუმორჩილონ,
ფუჟად იღვრება შენი სათქმელი:
სიმებაშლილი საკრავის მსგავსად
გლალატობს ეგ ხმა. ალბათ სჭირდება
მომართვა, სიმთა მოწესრიგება...
აუწყობელი სიტყვა-პასუხი
ქემმარიტ გრძობას ვერ გაუძლვება.

როსაურა

მე ისევ სურათს დაველოდები.

ასტოლფო

რადგან სიცრუე ასე გიტაცებს
და ეგ სიკერპე აღარ გეთმობა,
შესაფერისი ნიღბით დაგხვდები.
ეს გადაეცი ინფანტას ჩემგან:
ვერ გავაწბილებ იმის ღირსებას,
მცირე სამსახურს არ დავჭერდები.
თუმცა სურათის ხილვა ეწადა,
რომ დაუშმტკიცო, რარიგ ვალმერთებ,
მის სახელს როგორ ვეთაყვანები,
ცოცხალი ხატი უნდა მიგვგვარო;
შენთვის სამძიმო არ უნდა იყოს
მისი ტარება; მუდამ თან გახლავს
და სადაც წახვალ, იქ გამოგვყვება.

როსაურა

საშური საქმე თუ დაგვავალეს
და გაისარჯე კეთილ: მიზნისთვის
ხალისით, რწმენით, მტკიცე იმედით,
ასჯერ მაღალი სიამოვნებაც
რომ შეგთავაზონ — მოვალეობა
არ უნდა დათმო, უხეირობა
რომ არ დაგწამონ; სურათისათვის
გამომავზავნეს, ცოცხალი განძი

რაში სჭირდებათ? ვერ გადავიტან
ამ დამცირებას; მე გთხოვთ, მიბოძოთ
სურათი, თქვენო უმაღლესობავ.
ხელცარიელი ვერ გავბრუნდები.

ასტოლფო

ვთქვით და არ გაძლევ, როგორ მიუტან?

როსაურა

ახლა გაიგებ. ხელი გაუშვი.
(ცდილობს ხელიდან წაგლიჯოს სურათი.)

ასტოლფო

ამოდ ცხარობ.

როსაურა

გამჩენს ვუმადლი,
უცხო ქალის თვალს რომ გადაურჩა.

ასტოლფო

გადარეულო.

როსაურა

ფიცის გამტეხო.

ასტოლფო

კმარა, ვეღარ ვცნობ ჩემს როსაურას.

როსაურა

„ჩემს როსაურას“ მძულს ეს სიცრუე.
(შემოდის ესტრედა.)

ესტრელა

ასტრეა, პრინცი, რა გემართებათ?

ასტოლფო

(ესტრელა აკლდა აქაურობას.)

როსაურა

(თუ რამ მზაკერობა შესწევს სიყვარულს,
ვთხოვ: ის სურათი ხელში ჩამიგდოს.)
თუ გსურს იცოდე, რაზე ვდაობდით,
გეტყვი, სენიორა.

ასტოლფო

რა მოგელანდა?

როსაურა

მე აქ ვიციდი, როგორც მიბრძანე,
ვიდრე ასტოლფო გამოჩნდებოდა,
შენი სურათი რომ გადამეცა.
მარტო დარჩენილს, ჩემს უნებურად,
ათასი აზრი ამეკვიატა,
სურათზე ფიქრმა არ მომასვენა...
რატომღაც იმ წუთს ჩემი სურათი
წარმოვიდგინე — დღესაც თან მქონდა:
სახსოვარია, სამაჯით მუღამ
თან დავატარებ: — შექცევის მიზნით,
თვალის შევლება მოვიწადინე:
მზერაში გართულს, ასტოლფო უცებ
იმ ქალის ხატით თავზე დამადგა;
შეჯვრთი სურათი ძირს დამივარდა:
პრინცმა აიღო და გადაწყვიტა,
ორივე ხატი შენ შემოგწიროს,
რადგან შენს სურვილს ბრმად ემონება.
მიისაკუთრა ჩემი სურათი,
არც თხოვნამ გაჭრა, არც შეგონებამ.
მომთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი:
გავცეცხლდი, მაგრამ ვერ გამოვტაცე;
ხელთ რომ უპყრია, ჩემი ხატია,
თუ გვექვება, კარგად შეხედე
და თვით განსაჯე — მე თუ არა მგავს.

ესტრელა

მიბოძეთ ხატი, ასტოლფო...
(სურათს ხელიდან გამოსტაცებს.)
თითქოს, ფუნჯი ბუნების სარკედ ქცეულა.

როსა ურა
მე ვარ თუ არა?

ესტრელა

კონ გელაგება?

როსა ურა

დაპირებული - შენ ჩაგაბაროს.

ესტრელა

შენი წაიღე... ახლა დაგვტოვე.

როსა ურა

(ჩემი სურათი ხომ დავიბრუნე;
რაც უნდა შემხედეს, აღარ დავუძებ.)
(გადის.)

ესტრელა

დაპირებული ხატი მიბოძეთ:
ამიერიდან ვეღარ მიხილავთ,
მაგრამ კიდევ მაქვს ერთი სათქმელი:
მე ჩემს სათხოვარს ვერ შევეღვვი;
ნეტავი, თხოვნა არ დამცდენოდა,
ავჩქარდი, მაგრამ გვიანდა არის,
უკან დახევას არ ვარ ჩვეული.

ასტოლფო (თაყისთაყის.)

(ო, რა მახეში ვყავარ გაბმული.)

(ესტრელას.)

შენ გემონები, ჩემო ღეთაებავ,
და შენს სამსახურს სად გავუქცევი...
მაგრამ ის ხატი ვერ მოგიძღვენი.
მქონდა მიზეზი...

ესტრელა

რა სულმდაბალი

და რა ვერაგი სატრფო მყოლია!
გქონდეს სურათი; რომ მოგეკტანა,
ახალი დარდი გამიჩნდებოდა:
ცამ დამიფაროს შენი ვალისგან.
(გადის.)

ასტოლო

ჯერ მომისმინე, დამიგდე ყური...
უფლის რისხვა ხარ, შენ. როსაურა!
ბედის ყვილმა თუ არ მოგიხმო,
აქ, პოლონეთში რამ მოგიყვანა,
დამლუპე მე და თავიც გაწირე!
(გადის.)

(კოშკი. უფლისწულის საკანი. სეხისმუნდო მიწაზეა გართხმული.
ისევ მხეცის ტყავი აცვია და ჯაჭვით არის შეკრული; მასთან
არიან კლოტალდო, ორი მსახური და კლარინი.)

კლოტალდო

ეს აქ დატოვეთ, ველურ ავაზას
არ უწერია დიდხანს მეფობა:
სადაც აღზევდა, იქ დაემხოდა...

პირველი მსახური

ვიდრე ძილშია, ჯაჭვით დავაბამ.

კლარინი

ამ ჯადო-წამალს გაუდის ვადა;
მე არასოდეს გავიღვიძებდი —
ცვალებადია წყული ბედი:
გაქრა დიდება, ჩემო ძმობილო,
თურმე სიცოცხლე — ჩრდილი ყოფილა
და სიკვდილია შარავანდელი.

კლოტალდო

სიბრძნის მადანი სულ დააფრქვიე?
სათქმელი ისე შეალამაზე,
მზად ვარ, დაგიტმო ციხე-დარბაზი
და რაც გაშფოთებს, იქ გაარკვიე.
ჩქარა გაკოჭეთ და დაამწყვდიეთ
ცალკე საკანში.

კლარინი

ციხეში მაგლებთ?

კლოტალდო

ხელისუფლებას უნდა ჩაბარდე,
ტოროლასავით რომ დანაწარდობ,
კლარნეტი ვარო, სულ რომ გაპყვირი,
ახლავე გინდა ლაგამ-აღვირი...

კლარინი

ვის ვაწყენინე, ვინ დავამცირე?
პკუის სწავლება ვერ მოვითმინე,
თუ იკაროსი ზღვაში ვიფრინე?
მშობელი მამა არ გამიწირავს,
თქვენი სიზმრების არა ვიცი რა..
რა სამართალი მოკვითხო უფალს?

კლოტალდო

კლარნეტი რომ ხარ, ამან დაგლუპა.

კლარინი

პირობას გაძლევ, თუ გადამარჩენ,
კორნეტისაგან ველარ გამარჩევ:
ხრინწიან პირში წყალს დავიგუებ.
(კლარინი გაპყავთ. შემოდის ბასილიო. სახეზე მოსასხამი აქვს
აფარებულო.)

ბასილიო

კლოტალდო!

კლოტალდო

აქ ხართ, ჩემო ბატონო?
მაინც მოხვედით?

ბასილიო

ვკარგავ მხნეობას...
შემომეჩვია სულმოკლეობა;
მე სეხისმუნდოს ბედი მალონებს,
ნეტაჟი, მისი ხმა გამაგონა...
ვერ შევიკავე, კლოტალდო, თავი

კლოტალდო

ნახეთ, ხელმწიფევე, ეს საცოდავი
ველარ გასცილდა ამ საპყრობილეს.

ბასილიო

არ გაუწირავს ასე მოკვდავი
ციურ განგებას... ტანჯულო შვილო,
გრძნობა რომ გქონდეს, რამეს იტყვი,
თითქოს წინ მედოს უსულო გვამი:
ჯერ არ დამცხრალა წყული შხამი...

კლოტალდო

ეს უბედური ძილშიაც ბოდავს:
ჩვენ გვემუქრება.

ბასილიო

მინდა ვიცოდე,
რა სიზმრით არის ის შეპყრობილი.

სეხისმუნდო

(ბოდავს.)

ხალხის მონაა — ტახტის მფლობელი;
სიკვდილი — ტირანს, ყველას დაეამბობ:
ფლიდი კლოტალდო უნდა დაეახრჩო,
ფეხზე შემთხვიოს ჩემი მშობელი.

კლოტალდო

ხომ გესმის, როგორ სიკვდილს მპირდება.

ბასილიო

ნებავე ვეახლო, როგორც ვასალი.

კლოტალდო

სიცოცხლეს უნდა გამომასალმოს.

ბასილიო

დაჩოქილს — მუხლით მიმასპინძლდება.

სეხისმუნდო

(ბოდავს.)

მსოფლიო ნახავს და გაკვირდება
შურისძიების ველური ხმებით —
როგორ ვიმპლავრე სააკსელი ნებით,
დაემხო მეფე მემკვიდრის ფერხთით,
მე, სეხისმუნდომ, ხელთ ვიგდე კვერთხი
და ახლა ვტყებები თავისუფლებით.
მაგრამ, რაღა ვარ აქ დამარხული?
(იღვიძებს.)

ბასილიო

აქვე, კარს უკან დავიმალები.
შენ უკეთ იცი, რაც გვეალება;
თქვენკენ მექნება თვალი და ყური.
(გადის.)

სეხისმუნდო

ნუთუ ეს მე ვარ? ბნელში გართხმული,
სევდით და კმუნვით გულშემოყრილი.
დატყვევებული და შებორკილი?
როგორ მეცნობა შავი ჯურღმული,
მხეცის ტყავით ვარ კვლავ შესუდრული...
ვოი, რომ გაქრა სიზმარი ტყბილი!

კლოტალდო

(ვიდრე გონებით ჩაწვდება მიზეზს,
სჯობს გავუფანტო ბნელი ფიქრები.)

სეხისმუნდო

ძალიან ადრე გამოვიღვიძე?

კლოტალდო

კარგია თუკი გამოფხიზლდები.
მაგრამ, არ მესმის, ღმერთს გეფიცები,
ძილქუშმა ასე როგორ წაგიღო;
რა დაგესიზმრა? დილით არ იყო,
ცას რომ ეუმზერდით და ამ ხაროდან
გაფრენილ არწივს რომ შეჰხაროდი?
მას აქეთ წევხარ?

სეხისმუნდო

ასე გამოდის.

ჭერაც არა ვარ გალუიებული;
თვით სინამდვილემ დამიდასტურა
ზმანება ცხადი და უსასრულო –
ღრმად ვარ ამაში დარწმუნებული.
სიზმარმა ისე გამითბო გული,
ისე ამავსო ზალასი გრძნობით, –
ამ ყალბ სიცხადეს ველარ ვენდობი.
სულაც არ არის ეს საოცარი,
მარტო სიზმარში რომ ვარ ცოცხალი
და ზმანებებში ცოცხლად ვეფლობი.

კლოტალდო

მითხარი, ერთი, რა მოგელანდა.

სეხისმუნდო

ვერ გეტყვი, ძილში რა მომეჩვენა,
იქნებ, არც ღირდეს ამის მოსმენა...
ცხადში რაც ვნახე იმას გაგანდობ,
გამომეღვიძა... და იმას ვღარდობ,
ცხადად რომ დავრჩი გაწბილებული:
სარეცელს ვიყავ მისვენებული;
ჩემი საწოლი ყვეილნარს ჰგავდა,
თვითონ გაზაფხულს ამოექარგა
გრძნეული ფუნჯით ის ყვეილწული,
გარს მებჯოდნენ დიდებულები,
მმოსავდნენ ფარჩით, თვალ-შარგალიტით,
პრინცს მიწოდებდნენ... უსიტყო რიდით
ელოდნენ ახალ განკარგულებებს,
შენც მომეახლე ღრმა ერთგულებით,
ჩემი წარსული არ გაიოცე,
მამაშვილურად გზა დამილოცე,
იმედის სხივი გადმომაყარე,
მეფის ძე ხარო – ეს მომახარე.

კლოტალდო

სამახარობლოც ხომ არ მიბოძე?

სეხისმუნდო

პირიქით მოხდა; ტახტის ორგულად
გამოვაცხადე. რისხვით აღესილი,
ორჯერ ვიწვევდი შენზე მახვილით.

კლოტალდო

ეს გულისწყრომა რით გაიძულე?

სეხისმუნდო

რაკი საშეფო ჰქმად ვიგულე,
შურისძიების წყურვილი მწვევდა:
და მახსოვს, ერთი ქალი მიყვარდა..
ახლაც მატყუვებს ის სინამდვილე.
სხვა დანარჩენი უქმად ჩავლილა
და ყოველივე წარსულს ჩაბარდა.
(ხელმწიფე მიდის.)

კლოტალდო

(მოაღბო მეფე ამ აღსარებამ
და გაგვეცალა ქმუნვით აღესილი.)
მე რომ გასმინე არწივის ქება,
მას აქეთ გძინავს მეფური ძილით —
ოცნება იყო შენი ზმანება;
მაგრამ, ძილშიაც ნუ გავიწყდება:
ვისაც უშადლი კაცურ ღირსებას,
იმისი მცნება უნდა გიყვარდეს —
თვით სიზმარშიაც სიკეთე გწამდეს,
სიკეთე — მუდამ სიკეთედ არჩება.
(გადის.)

სეხისმუნდო

ქეშმარიტია; სჯობს გონს ვეწიოთ,
დროზე ავლაგმოთ ჩვენი სიფიცხე.
სიამაფს ოუ გადავივიწყებო,
სიზმარი იქნებ კიდევ გვეწვიოს!
ქვეყნის თილისმას რომ შეეჩვიოთ,
(რაც გიწერია, ისეც მოხდება.)
დღეიდან მტკიცედ გვემახსოვრება:
გამოთვლილია სიცოცხლის ეამი,

მოლანდებაა ყოველი წამი.

და სიზმარია ~~ყველას ცხოვრება~~.

სიზმარში მეფე ჭეჭუნას მწრთავს,
განკარგულებას ძუნწად იმეტებს,
ებლაუქება ფუჟი იმედებს,

ასე ჰგონია, აცხობს სამართალს.

სიკვდილის ქროლვა მყის გაუფანტავს
გულზვიადობას (ესაა ბედი!),

ფერფლია ტახტი, ქარში ნახვეტი...

სიზმრად თუ მეფობ, ცხადში ხარ მონა...

სიკვდილთან ზიარ გვირგვინის ქონას

ვინ მოისურვებს, სულელის მეტი?

მდიდარს აოცებს ყოფის ზღაპარი:

სიზმარში ოქროს ვალერსება,

ლატაკი - ძილში ბოლმით ივსება

და ვერ უხილავს თავშესაფარი;

ყველა საკუთარ ჭიას ახარებს:

სიზმარში გინდა ვინმე დაჩრდილე,

გინდ დაამცირე, გინდ გააწბილე!

მყუდრო ძილშია მთელი კრებული

და ელანდებათ არარსებული...

გამოთხიზლებას არაეინ ცდილობს.

ჩემი სიზმრები ვინ განიკითხოს,

საყანში ვწევარ ბორკილგაყრილი!

ამ ცოტა ხნის წინ, სიზმარში თითქოს

მაზიარებდნენ სხვა სინამდვილეს.

მაშ, ეს სიცოცხლე - არის შეშლილი

სამყაროს ბოღვა, ამაოება:

აზრის და გრძნობის უთანხმოება;

რად გინდა გახდე ჭეჭუნის მპყრობელი,

თუ გელანდება წუთისოფელი

და სიზმარია მთელი ცხოვრება.

საკანი

კლარინი

(მარტო.)

თუ რამ ვიცოდი, არ მაპატიეს
და ჯაღო-კოშკში გამომამწყდიეს.
 ცოდნისთვის მკლავენ, და რაც არ ვიცი,
 იმისთვის ჭილღას სომ არ მომცემენ?
 მადა კარგი მაქვს.. მაშ, ზეზეურად
 შიმშილით სული რად უნდა გამძვრეს?
 ვაი შენ, ჩემო საბრალო თავო...
 „კარგად გვესმისო“, მერე იტყვიან;
 რალა თქმა უნდა, გასაგებია,
 რომ ეს სიჩუმე მეუცხოება,
 რადგან „კლარინი“ — ჩემი სახელი,
 სულ არ შეპფერის ამ მყუდროებას.
 მაგრამ მსმენელი არც აქ მაკლია:
 თავგი ბევრია... ყველა კუთხეში
 თითო ობობა ჩასაფრებულა...
 ჩიტბატონებად ესენი მყანან!
 რა საშინელი სიზმარი ვნახე —
 ახლაც თავი მაქვს გაბრუებული
 ათასნაირი სალამურების
 და საყვირების გაბმულ წივილით —
 პროცესიები, ჯვრებით, ნიღბებით...
 მათრახს და მჭიდებს იცემდნენ მკერდში,
 ფეხზე დგებოდა ზოგი წვალეებით,
 სხვა — ეცემოდა, ამ სისხლიანი
 სანახაობით გულშემოჭრილი:
 მე კი — სიმართლეს თუ დავიმოწმებ —
 შიმშილისაგან მუხლი მექრება;
 ღრმა აზრებში ვარ დღისით ჩაფლული,
 ფილოსოფოსნი გარს მახვევიან
 და გინდ მეძინოს, სულ მეღანდება
 ნიკეის ბრძენთა წმიდა კრებული.
 თუკი სიწმიდეს ნიშნავს ღუმილი,
 ახალ წმიდანად უნდა ჩამრიცხონ,

მით უფრო, მარხვა თუ დავითმინე:
ახია ჩემზე, მეტიც მეკუთვნის:
მსახურმა ენა თუ დაიმოკლა
და საიდუმლო მტკიცედ დაფარა,
თვით ვკლესიაც კი შეაჩვენებს.
(სცენის სიღრმიდან დაუღაფის ხმა და ხალხის
ყვირილი მოისმის.)

პირველი ჯარისკაცი (სცენის მიღმა.)
კოშკში ჰყოლიათ დატყვევებული,
დილეგის კარი გამომტერიეთ;
უკან მომყვით!

კლარინი
ღმერთო, მაღალო!
ციხეში ჰყავთო გადამალული...
ჩემზე ამბობენ, სხვა ვინ იქნება?
რას მიპირებენ?
(შემოსდიან ჯარისკაცები.)

პირველი ჯარისკაცი
შემოდით ჯედა.

მეორე ჯარისკაცი
აქ არის.

კლარინი
ის აქ არ არის.

ყველანი
სენიორ...

კლარინი
(ზომაზე მეტი დაუღევიათ!)

მეორე ჯარისკაცი
გავიგეთ, ჩვენი პრინცი ყოფილხარ:
კანონიერი მემკვიდრის გარდა,
ჩვენზე ვერავენ ვერ იბატონებს;
არ გვინდა უცხო ხელისუფალი.
ნება გვიბოძე, ფეხზე გემთხვიოთ.

ყველანი
დღეგრძელი იყავ უკუნისამდე!

კლარინი

ესენი მართლაც აღარ ხუმრობენ!
ამ სამეფოში ასე სცოდნიათ:
ტახტის მემკვიდრედ დღეში თითო ტყვეს
შეიგულებენ: სტაცებენ ხელს და
ჯერ სასახლისკენ გააქროლებენ,
შემდეგ კოშკშივე დააბრუნებენ.
მეც ვითამაშებ ხელმწიფობანას.

ყველანი

ფეხი გვიბოძე, უნდა გემთხვიოთ.

კლარინი

არ შემძლია... თვითონ მჭირდება.
უფეხო პრინცი ვის ეყვარება?

მეორე ჯარისკაცი

მამაშენს უკვე გამოვუცხადეთ
ჩენი სურვილი: ხალხი შენ გიხმობს.
მოსკოვიიდან გადმოხვეწილი
პრინცი არ გვინდა.

კლარინი

მაშ, მამაჩემის

პატივისცემა არა გქონიათ
შავ დღეს დაგაყრიით, ნაძირალებო...

პირველი ჯარისკაცი

არ აფასებენ ჩვენს ერთგულებას.

კლარინი

თუ ერთგულნი ხართ, მეც შეგიწყალებთ.

მეორე ჯარისკაცი

ვთხოვთ, დაიბრუნო ძალაუფლება.
სეხისმუნდოს მზე ახლა ამოდის.

ყველანი

ვაშა, დიდება პრინც სეხისმუნდოს.

კლარინი

სეხისმუნდო, ასე არა სთქვამს?

გასაგებია: ყალბ უფლისწულებს

აქაურები ასე ნათლავენ.

(გამოდის სეხისმუნდო.)

სეხისმუნდო

აქ სეხისმუნდოს ვინ ახსენებდა?

კლარინი

(რა უდღეური პრინცი ვყოფილვარ!)

მეორე ჯარისკაცი

მაშ, რომელია მემკვიდრე?

სეხისმუნდო

მე ვარ.

მეორე ჯარისკაცი

ეს ვილა არის? თუ სეხისმუნდო

არა ხარ, ბრიყვო, რას გვატყუებდი?

კლარინი

რის სეხისმუნდო? ჭირმა წაგიღოთ.

თვითონ არ გამასეხისმუნდოვეთ?

ერთი უყურე, ეს ავაზაკი

აქეთ რომ მლანძღავს: ბრიყვის ხმა მესმის!

პირველი ჯარისკაცი

ბრწყინვალე პრინცი, გთხოვთ მოგვისმინო

— მირონცხებულის ჩანხარ იერით,

ჩვენც გულის კარნახს უფრო ვენდობით

და ვით უფლისწულს, ისე მოგმართავთ —

დიდმა ხელმწიფემ, შენმა მშობელმა,

ცის განაჩენით დამწუხრებულმა,

მოვალეობა უღვთოდ გაწირა

და რომ მემკვიდრეს არ გაეთელა
მისი ღირსება, თავისი ტახტი
მოსკოვის პრინცს გადაულოცა;
მოწვეული ჰყავს უკვე დარბაზი...
ყველამ გაიგო მეფის განზრახვა
და ტყუილასავით გავრცელდა ხალხში
კანონიერი პრინცის ამბავი:
არავის უნდა, ჩვენს მიწა-წყალზე
გადამთიელმა რომ იბატონოს.
აჭანყდა ერი კეთილშობილი
და ცის განაჩენს ზიზლით დასცინის.
რადას უყურებ: დატოვე კოშკი,
მიენდე ხალხის ძალმოსილებას,
კვლავ აღიდგინე მემკვიდრეობა
და გამოსტაცე ტირანს გვირგვინი.
შენს დასაცავად ამ უდაბნოში
ურიცხვი ჭარი შემოკრებილა;
ამბოხებულნი და უქონელნი
ნიშანს ელიან; თავისუფლება
კარზე მოგადგა; გესმის მისი ხმა?

ს ც ე ნ ი ს მ ი ღ მ ა
ვაშა, დიდება პრინც სეხისმუნდოს!

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ცამ დამიფაროს! რად მაიძულებთ
ავყვე ცდუნებას და ყალბ დიდებას
სიზმართან ერთად გამოვესალმო?
ხელახლა გინდათ, რომ მომალანდოთ
თვალისმომკრელი უცხო სამყარო
და წამში ისევ ნისლად აქციოთ?
აღარ მიზიდავს ეს უგემური,
ხიფათით სავსე ძალაუფლება,
წამის მოგება პირმოთნეობით,
თავაზიანი ნიღბის ტარება...
არა! მქორყდ კუდარ ავიტან;
დაე აღსრულდეს, რაც მიწერია;
ცხოვრება ჩემთვის ამიერიდან
კერპია, ლანდი, ფუჭი ზმანება;

ამაოდ ცდილობთ, მოკლული გული
გამოგონილი სიტყვით და საქმით
გამიცხოველოთ; თქვენ კეშმარიტი
ხმა და სხეული არ გაგაჩნიათ.
ვილას სჭირდება ეს სიღიადე,
მძლეეთამძლეობის შარავანდელი
და ეს ბრკვეიალა სანახაობა,
თუ უნაზესი სიოს შერხვეით
სუფელაფერი ფერფლად იქცევა?
ნუშის ყვაელიც ასე გილიმის
განთიადისას; მაგრამ, ვაი რომ
მოულოდნელად გაიცრიცება,
კარგავს სინორჩის მომზიბველეობას:
ხვერდის ბუტკო კენება და კვდება.
გიცნობთ, აჩრდილნო, თვალს ვერ ამიხვევთ:
თქვენ მხოლოდ იმას მიეახლებით,
ვინც ღრმა ძილშია; მაგრამ გაფრთხილებთ;
ჩემზე არ გაჭრის ეს ჯადოჭრობა:
ერთხელ მოვტყუვდი და უკვე მივხვდი,
რომ სიზმარია მთელი ცხოვრება.

მეორე ჯარისკაცი
ჩემმა ნათქვამმა თუ დაგაეჭვა,
იმ ქედს გახედე... მთების კალთები
მოფენილია ხალხის რაზმებით...
იქ მოგელიან ჩვენი მოძმენი,
რომ მორჩილება გამოგიცხადონ.

სეხისმუნდო
ეს ყველაფერი სადღაც მინახავს,
ისე გარკვევით და ისე ნათლად,
როგორც ამ სურათს ვუცქერი ახლა;
მაგრამ სიზმარი გამოდგა ბოლოს...

მეორე ჯარისკაცი
ნათელმზილველნი აღრევე სცნობენ
დიად საქმეთა მოახლოებას
და ეგ სიზმარიც ღვთისაგან არის.

სეხისმუნდო

რა კარგადა სთქვი: ნათელხილვაა

და უსათუოდ ამისრულდება.

მეტად მოკლეა წუთისოფელი,

მაშ, სულო ჩემო, კვლავ მივიძინოთ;

ოდონდ, ამჭერად განსჯას მოვუხმოთ:

სიფრთხილე გემართებს, რადგან ყოველ წამს

გამოღვიძებას უნდა ველოდეთ;

ვენდოთ საკუთარ გამოცდილებას

და ქვეყნის ბრუნვას ნუ გავიოცებთ,

რა განსაცდელიც არ უნდა შეგვხედეს,

ჩვენვე დაეცინოთ უბედურებას.

თუკი წინასწარ გვეცოდინება,

ვალად რომ გვადევს ამქვეყნიური

ყველა სიყვითე და რომ სანაცვლოს

მოელის მადლის მომნიჭებელი,

ოთხივე კუთხით გზა გაგვეხსნება.

— ჩემო ვასალნო, მადლობას გწირავთ

ერთგულებისთვის. მე ვაქეცობას

არ დაგზარდებით, თავს არ დაეზოგავ,

გადაშთივლის მონობისაგან

რომ გამოგიხსნათ... საქმეს მივხედოთ.

მსურს მამაჩემზე აღვმართო ხმალი

და სამართალი მოვკითხო ზეცას,

მაღე იხილავთ იმას ჩემს ფერხით...
(ნეტავი, ადრე არ გამეღვიძოს

და ეს ქადილი სიტყვად არ დარჩეს.)

ყველანი

ვაშა, დიდება პრინც სეხისმუნდოს!

(შემოდის კლოტალდო.)

კლოტალდო

რა ფირილია, რა უნდა ამ ხალხს?

სეხისმუნდო

კლოტალდო!

კლოტალდო

სენიორ!

(თავისთვის.)

ჩემზე აპირებს

ჯერის ამოყრას.

კლარინი

(შეეწირება...

ცხელ გულზე ხევი გადაუძახებს.)

(გადის.)

კლოტალდო

შენს დიად ფერხთა უღირსი მტვერი,
გნებდები, სიკვდილს არ გავექცევი.

სეხისმუნდო

აღსდგე, მშობელო, გზა დამილოცე,
შენ ხარ ვარსკვლავი მანათობელი,
ქლევით შემოსე ჩემი საქმენი,
გადამეხვიე, ჩემი საბრალო
ყრმობის ნუგეშო...

კლოტალდო

რაო, რას ამბობ?

სეხისმუნდო

ძილმა შემიპყრო... და მინდა ძილშიც
სიკეთე მწამდეს, რადგან სიკეთე
თვით სიზმარშიაც სიკეთედ რჩება.

კლოტალდო

თუ სიკეთეა შენი ალაში,
ნურც მე შემრისხავ კეთილ ზრახვისთვის,
სცან სამართალი და შემიწყნარე.
მამაშენს ომი გამოუცხადე!
მე ჩემს ხელმწიფეს ვერ ვუღალატებ,
საქმით და რჩევით ვერ შეგეწევი.
გთხოვ, მოწყალება გამოიმეტო;
აქვე მომკალი.

სეხისმუნდო

გამცემო, ფლილო!

მაინც არ იშლი მუხანათობას...

(სიღარბაისლე თუ არ მოვიხმე,
სიზმარი ისევ გამიფრინდება.)

შესაშურია, კლოტალდო თქვენი

შეუპოვრობა. წადით მეფესთან.

ბრძოლის ქარცეცხლში კვლავ შევიყრებით.

ამბოხებულნო, შეიარაღდით.

კლოტალდო

ათი ათასჯერ მუხლზე გემთხვევი.

(გადის.)

სეხისმუნდო

აჰა, მეფობას ვეწიეთ, ბედო;

ნუ გამაღვიძებ, თუ სიზმარია,

თუ სინამდვილე — ძილი დამიფრთხე.

ერთი ფასი აქვს ცხადსა და სიზმარს...

~~ცხადში სიყალბეს ნუ გამოვიჩინო.~~

სიკეთით ვძლიოთ ამაოვბას;

და თუ დიდება სიზმარს გადაჰყა,

ერთგულთა შორის გამოვიღვიძოთ.

(ეყუქვანს გადისან. მოისმის დაფდაფის ხმა. შემოდინან მეფე
ბასილიო და ასტოლფო.)

ბასილიო

ჩემო ასტოლფო! მე ეს არ მჯერა:

სიბრძნეს არ შესწევს ისეთი ძალა,

წინ რომ აღუდგეს უბელო მერანს,

ან კლდის მდინარეს ფერი უცვალოს.

მოვარდნილ მეწყერს რა შეაჩერებს?

მაგრამ სტიქია უფრო უწყალო

თვითონ ხალხია — წარბშეუხრელი,

შეუსმენელი და გაუწვრთნელი.

ორად გაიყო სამეფო მთელი:

ნახევარ ლაშქარს ასტოლფო უნდა,

სხვანი აქებენ პრინც სეხისმუნდოს...

გუგუნებს მთა და ბანს აძლევს ველი.

ცუდად ჩაივლის ეს საშინელი
წყველა-მუქარა; ლამის დაერწმუნდე,
რომ ისტორიას წაშლის წყდობადი,
მცირე დრო დარჩა ტრაგედიაში.

ასტოლფო

ღრმა მწუხარებამ გადააბიჯა
მომავლის ნუგეშს; კვარგავ დიდებას,
კურთხეულ ნებით რომ მომანიჭე...
მაგრამ, მახვილით ვინც დამიხვდება,
მზეს დაეუბნელებ და დაეამიწებ —
სისხლით მოვიმკი შეფურ ღირსებას;
მომგვარონ ცხენი; მედგარი ხელით
ელვას გავტყორცნი მეხთამტრქვეველი.

ბასილიო

ბედზე დანდობილს ხშირად იმეტებს
განგების ძალა, სვე უღმობელი:
რაც ავირიდე, ის მერგო ბედად,
ჭირთა თქმით გაეხდი ჭირთა მფლობელი.
აი, უცილი კანონთა სვეტი!
შიშია ბრძენთა დამამხობელი:
დავლუპე, რისი ხსნაც დავაპირე,
ჩემი მამული მევე გავწირე.
(შემოდის ესტრელა.)

ესტრელა

ჩქარა აღსდექი ზვიადი რისხვით,
ღროზე მოიხმე ხელმწიფევე, ჭარი,
თორემ სამეტოს გათელავს ზიზლით
ამბოხებულთა შმაგი ლაშქარი.
მოედნებს, ქუჩებს წალეკავს სისხლი,
ჰა, მეწამული სჩქეტს ნიაღვარი
და ეს მორევი აღუბლისფერი
სასაკლაოა მშობელი ერის.
იავარქმნილი ქვეყანა გოდებს,
უბედურება ქარზე ჩქარია,
ყველა სახლიდან ზარი გამოდის,
მზეს გათენება არ უხარია;

სამარის ქეაა ყოველი ლოდი,
ყოველი ბუჩქი მგლოვიარეა,
ყველა თალია — საფლავის კარი,
ეოცხალი ჩონჩხი — ყველა მხედარი.
(შემოდის კლოტალდო.)

კლოტალდო
მეფეო, სულზე გამოვასწარი.

ბასილიო
სთქვი, სეხისმუნდომ რა გადაწყვიტა?

კლოტალდო
ხალხი მძვინვარე და უმეცარი,
კოშკში შეიჭრა და იმ საკნიდან
დაიხსნა პრინცი. ზეიმით მთვრალი,
ურიცხვი რაზმით ეშვება მთიდან;
პირისპირ შებმას არ ერიდება:
ჩემკენ არისო კეშმარიტება.

ბასილიო
მომგვარეთ ცხენი, ჩემივე ხელით
უნდა დაგსაჯო ძე უკეთური;
ქვეყნას სიბრძნით ვერაფერს ვშველი
და სამართალი ფოლადს შეჰყურებს.
(გადის.)

ესტრელა
მზესთან ვიქნები მე განუყრელი,
როგორც ბელონა, მარსის მეგზური;
არ ჩამოვრჩები თეხმარდ პალადას,
გწამდეს მეფეო, არ გილალატებ!
(გადის. გაისმის დაფდაფის ხმა.
შემოდის როსაურა და კლოტალდოს გზას გადაუდობავს.)

როსაურა
მხარე ქცეულა საომარ ლელოდ,
ქვეყნის მოზარე არ სჩანს არავინ —
ვიცი, გინთია გულში ვარამი

და მაინც შენგან მოველი შევლას.
დამცირებული და უბედური,
აქ ვეძიებდი მწარე სიმართლეს,
შენ სასოებით გზა გამინათე,
სიტყვად აქციე საქმე მეფური.
ნუ შკითხავ, დღემდე როგორ გაეძელი:
მუდამ მახსოვდა, რაც დამავალე,
ძველი იერი გამოვიცვალე,
ღრმად დავიმარხე ძველი ნაღველი.
ასტოლოფომ მნახა... არ ვებრალები,
ჩემი ღირსება ფეხქვეშ გათელა —
შებინდებისას ელის ესტრელას
სასახლის ბაღში; გემუდარები,
აგჳაცობაზე აღმართე ხელი;
ამ გასალებით გახსენ ჭიშკარი,
შენ დაუბნელე ორგულს ცისკარი
და მომაშორე ეს სატანჯველი.
თავს დაატეხე უწყალო ნება,
ნუ გაცუდლება შენი მარჯვენა,
დღეს აღასრულე შურისძიება
ჩემი სახელის გადასარჩენად.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

მე მაგონდება ტანჯული წამი,
როცა შინიდან გამოქცეული
ჭირს გამოგტაცე, ბედით ძლეული —
შენი ცრემლია ამის მოწამე.
მე შეგიჩიე მოკაზმულობა,
ვაუურად ჩაცმას გადაგაჩიე:
თავს მოგახვედნენ ადრე თუ გვიან
მსუბუქ საქციელს და უგულობას.
რა გზა, რა ხერხი არ მოვიგონე,
რომ აღმედგინა შენი სახელი;
თუმცა სიბერემ დამრია ხელი
და ჭაბუკურად არ მერჩის ღონე,
ასტოლოფოს მოკვლა მეწადა გულით,
სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავდი,
ცხადია, ამას ვერ გავებდავდი,
მეფე რომ იყოს მირონცხებული.

განზრახვას კიდევ ავასრულებდი,
მაგრამ განგებას სხვაგვარად სურდა:
როცა გამწირა მე სეხისმუნდომ,
ასტოლფომ მიხსნა ღრმა ერთგულებით.
უზრო სიკვდილს არ შეუშინდა,
პრინცს გადაუღვა ხმალამოწვდილი.
თავს არ ზოგავდა ის დალოცვილი,
თითქოს სიციცხლე ჩალად უღირდა.
საიქიოდან გამომაბრუნა,
სულზე მომისწრო მე იმ სიკეთემ...
სიკვდილისათვის ვერ გავიმეტებ,
ვინც მე სიციცხლე შემინარჩუნა.
ორ ცეცხლს შუა ვარ, გონდაბნეული,
და აღარ ვიცი, რა მოვისახრო:
მე მოგანიჭე სიციცხლე, მაგრამ
სხვისი წყალობით მიღგია სული.
რა საჭციელი შემეტყრება?

იმას ვუძაღლი, შენ მებრალეები.

შენკენ მეწევა გულმოწყალება

და იმისაკენ — მაღლიერება.

ისე აეწეა გარემოება,

ვერ გავუსწორე თვალი მოყვარეს,

სიკეთის ნერგი ვერ გავახარე,

თვითონ დამეხშო მე სასოება.

როსაურა

ვისაც ღირსება უდგას თავდებად

და სიამაყს არის ჩვეული,

სიბრძნით, სიუხვით გამორჩეული —

სხვის მოწყალებას არ დახარბდება.

თუ ამ საზომით განსჯი ცხოვრებას,

მაღლიერება ვერ განუგეშებს,

რადგან წყალობა — სულს აუხეშებს

და რასაც გასცემ, ის მოგგვრის შეებას.

დიდსულოვნება, ვერ დაგიმოწმებს,

ვინც შენი ხვედრი გაინაწილა —

თვითონ ამალდა, შენ დაგამცირა!

მე შევავედრე ჩემი სიციცხლე,

სიმდაბლისაგან მე დაგიფარე —

ნულარ მისტირი იმის სიქველეს,
ვინც შემოგწირა მოწყალე ხელით,
მე რომ მიბოძე, ის საჩუქარი.
გმირს არ შეშვენის სამადლობელი:
შურისგებისთვის გაიღე მსხვერპლი,
მადლიერება აქციე ფერფლად,
იყავი გულუხვი და უღმობელი.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

სიმაღლით უფალს თუ შეედრება,
ვისაც უპყრია სიუხვის თასი;
მაგრამ ვინც იცის სიკეთის ფასი,
უმადურობას არ დასჯერდება.
არ გავექვევიათ ხელგაშლილობას,
კეთილშობილი მიტომ მიწოდეს,
მადლის მიგებაც დროზე ვიცოდი,
ვით ეკადრება ჩემს გაზრდილობას.
სხვათა სიქველე შენთვის ფარია,
თუ განსაცდელი მოგეძალება;
ვალის გადახდაც, გულმოწყალეობაც
სიუხვესავით საქებარია.

რ ო ს ა უ რ ა

თუმცა სიცოცხლე შენ მიწყალობე
და მომანიქე კეთილდღეობა,
არაფრად მიღირს ეგ შემწეობა —
მკვდარია ჩემი ყმაწვილქალობა.
რა დაგიმადლო, ისიც არ ვიცი,
ასეთ სიცოცხლეს სიკვდილს ადრიაან...
თუკი ღირსება არ გამაჩნია,
რის მაქნისია სიცოცხლის ნიჭი?
თუმც იმის მადლი დაუთესია,
ასტოლფოს ვალი ნუ დაგაღონებს;
სიცოცხლესა გთხოვ და მოგაგონებ:
სიუხვე — ასჯერ უკეთესია!
ვიდრე ცოცხალი არ გეგულები,
მოვალეობა ჭერ დათმინე:
დიდსულოვნება გამოიჩინე,
მით ეზიარე დიდებულებას.

კლოტალდო

გონივრულია შენი მსჯელობა
და რომ ეგ სიტყვა არ დაგრჩეს უკმად,
დღესვე გთავაზობ მამულს საჩუქრად...
რომ არ დასცინონ შენს გულწრფელობას,
სჯობს, გაერიდო ამ არემარეს –
მონასტერს სთხოვე თავშესაფარი,
მყუდრო სენაკში დაასამარე
და დაივიწყე ცოდვის ზღაპარი.
შინაურ ომით, შფოთით, ცილობით
განწირულია დღეს პოლონეთი
და ვინ იქნება ისე უღმერთო,
რომ გაადრმავოს მისი ქრილობა.
მმართველს მეფის და ტახტის მონება;
ეს გზალა მიიანს მე საიმედო:
არ დაუჯარგო პერცოგს სიკეთე,
შენ – გიანდერძო ჩემი ქონება.
ეს არჩევანი აწონ-დაწონე,
დათმე ავი და დასაგმობელი:
მამაც რომ ვიყო, ღვიძლი მშობელი,
უკეთეს ნაბიჯს ვერ ჩაგაგონებ.

როსაურა

მამა რომ იყო, დამცირებული,
ასეთ წყალობას რისხვად ჩავთვლიდი:
მაგრამ უცხო ხარ და ეს მამშვიდებს.

კლოტალდო

მითხარი, რა გაქვს ჩაფიქრებული?

როსაურა

პერცოგის მოკვლა.

კლოტალდო

ნუ გავიწყდება,
ვის ემუქრები! ნატრული მამის
სად დაეჩვიე ამ სითამამეს,
რამ აგირია გონი?

როსა ურა

ღირსებამ!

კლოტალდო

ხვალ-ზეგ ასტოლოფო მეფე გახდება...

როსა ურა

გამწირა, ცოცხლად დამასამარა.

კლოტალდო

...შენი ხელმწიფე, ესტრელას ქმარი.

როსა ურა

შურისძიება თავს დაატყდება!

კლოტალდო

ეს სიგიჟეა.

როსა ურა

თვითონაც ვიცი.

კლოტალდო

ქკუას მოუხბე.

როსა ურა

არ შემძლია.

კლოტალდო

დაიღუპები, ადრე თუ გვიან.

როსა ურა

მაინც ერთგული დავრჩები ფიცის.

კლოტალდო

სთქვი, რა გწადია, რას ეძებ?

როსა ურა

სიკვდილს.

კლოტალდო
ულმერთობაა.

როსაურა

ცოდვის განკითხვა.

კლოტალდო
უაზრობაა.

როსაურა

განგების რისხვა.

კლოტალდო
ვერას გახდები.

როსაურა

აეცდები სირცხვილს.

კლოტალდო
ნუთუ საშველი არ გამოჩნდება?
ჟამი დააცხრობს ბრმა გახელებას.

როსაურა

ალარაფერი არ ეშველება.

კლოტალდო
შემწედ ვის უხმობ?

როსაურა

საკუთარ ნებას.

კლოტალდო
კიდევ იფიქრე: იქნება სძლიო...

როსაურა

რა შეიცვლება ფუჭი სიფრთხილით..
(გადის.)

კლოტალდო

ერთად მოგვედებით. შეჩერდი შეილო!
შენს გვერდით მინდა სული დავლიო.
(გადის.)

(მთები. დაფდაყუების ხმა ისმის. საბრძოლო მარშით შემოდინან
ჯარისკაცები. მათ მოსდევს კლარინი. სცენაზე გამოჩნდება
სეხისმუნდო. ნადირის ტყავი აკვია.)

სეხისმუნდო

ბრწყინვალე რომი განცვიფრდებოდა,
ჩვენს სილიადეს რომ შესწრებოდა —
გაოდებოდა ძველი თაობა
ამ უჩვეულო სანახობით:
ამბოხებული ლეგიონები
ვილაც ტყურის სიტყვას მონებენ,
ალარ არსებობს მისთვის სამანი
და ქუდად უჩანს ზეცის თავანი!
იყუჩე, სულო, დაიცხრე უინი,
ალფრთოვანების გრგვინვა-ყუჩინი
ნუ გაგაბრუებს ყალბი დიდებით:
ჩამოკრავს ზარი გამოღვიძების,
მოგაგონდება დრო გარდასული,
გლოვად გექცევა ტბილი წარსული;
ვინც გამოსცადა სოფლის სიავე,
არ შეინანებს გამჭრალ სიამეს.
(საყვირის ხმა ისმის.)

კლარინი

ქარაშოტივით მოქრის მერანი...
ო, რა ცხენია ეს სავერანე —
თეთრ ფორაჯებით მიმოქარგული,
თითქოს რუკა აქვს ფერდზე აკრული,
ლეგა მიწაა მისი სხეული,
სული — ლადარში გამომწყდებული
ცეცხლის ალია, ტალღაა — ქათვი
და ეს ქაოსი აქვთ ისწრაფის:
სხეული, სუნთქვა, ქათვი და სული,
ნიავეთ, მიწით, ზღვით დაღდასმული;
რუხია, როგორც დღე ღრუბლიანი,
ქედათოვლილი, ხალებიანი,

საომარ ველზე არის გაწვრთნილი,
დეზების ცემით ფერგადაცლილი;
ცხენს მოაგელვებს ველურ ქენებით
ქალი...

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

მაბრმავეებს მე ეს მშვენება.

კ ლ ა რ ი ნ ი

როსაურაა მგზავრი ეული!

(გადის.)

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

ზეცის მაღლია აქ ჩარეული.

(შემოდის მწყემსად გადაცმული როსაურა; შეიარაღებულია
დაშნითა და მახვილით.)

რ ო ს ა უ რ ა

დიდებულო სეხისმუნდო,

ბნელი ღამე დათმინე

და გმირული სიდიადით

ღვაწლით ცისკრად აღმობრწყინდი;

ცის მნათობად ხელდასხმული,

მეწამული გარიჟრაჟის

ღვთიურ შუქით ასაზრდოებ

მოზეიმე ვარდ-ჟაჟილებს;

შენი სხივით განბანილი

ზღვა და კლდენი გმორჩილებენ,

მირონცხებულ გვირგვინოსანს

თავს გიხრიან მწვერვალები

და ზვიროები იცინიან:

პოლონეთის ნათლის სვეტო,

უბედობით განაწამებ

ტანჯულ ქალსაც შეეწიე:

საბრალოა ქალის ხვედრი,

ზედ დამერთო სხვა ნაღველიც

და ორმაგად ევალება

რჩეულ მოყმეს ჩემი შველა:

ერთი ჭირიც მეყოფოდა

სატირლად და სავალალოდ.

ბედმა სამჯერ შეგვახვედრა:
სამჯერ მნახე, უცნაური
სამოსელით მოკაზმული,
და სამჯერვე, გულშეძრულმა
გაოცება ვერ დამალე.
ჩერ იყო და კვლურ კოშკში
მწირ ჰაბუკად მოგველინე:
ცის წყალობად მომეჩვენა
მაშინ ჩემი სატკივარი.
გახსოვს? ძღვეით ფრთაშესხმული
უცხო ასულს წაეკიდე...
ის დღე ჰგავდა სიზმრისა და
ფანტაზიის გაელეებას.
აწ მოვსულვარ შმაგ ურჩხულად,
ორი ზნის და ორ ბუნების
მატარებლად: ვით მოლაშქრეს,
ღიაცს ხმალი ამიღია.
მთარველობას გეაჩები:
მუხლმოდრეკით შეგავედრებ
სვედაწყველილ არსებობას,
ნუგეში რომ გამოგწირო:
მოსკოვია არის ჩემი
ღვიძლი მხარე; დედაჩემი
მაღალი წრის ასულია;
სილამაზეს ოდიშგანვე
მწუხარება დაებედა —
მან მშვენებით დაატყვევა
მოლალატის ხარბი თვალი.
მამის ჩრდილიც არ მინახავს,
მაგრამ ჭირში მუდამ მახლავს
ვაჟკაცური შემართება,
რადგან მშობლის ცოცხალ ხატად
შევუქმნივარ მე ბუნებას.
წარმართი რომ ვყოფილიყავ,
ზღაპრის გმირად დაესაჩივლი
ვირწმუნებდი იმ ღვთაებად,
ოქროს წვიმად, ხარად, გედად
რომ ეწვია ნორჩ დანაეს,
ვერობას და წარმტაც ლედას.

მაგრამ არ ღირს გატაცება
მიწიერი მოგონებით;
მოკლედ გეტყვი, დედაჩემი
ვით დასჯერდა უცხო კაცის
გულმხურვალე დაპირებას
და ქალთაგან უტურფესი
დაიჩაგრა, ვით მრავალი.
თავმომწონე დანიშნულმა
აღთქმითა და ყალბი ფიცით
სანთელივით ჩამოაღწო,
დღესაც იმის გზას გაჰყურებს;
სისასტიკით ერთობოდა,
ვით ტროელი ენეასი,
დაშნაც მისცა სამახსოვროდ:
ჯერ ქარქაშში იმალება,
ვინდრე სათქმელს დავასრულებ
და შემდეგ კი გაიელვებს.
მე სიცოცხლე მომანიჭა
იმ ხანმოკლე შეუღლებამ,
უიღბლოდ რომ მოსწყდა შვებას
(არც კი ვიცი, რა დავარქვა,
ცოლ-ქმრობა თუ შეცოდება);
დედას ისე დავემსგავსე,
ვით სურათი ხორცშესხმული,
ან მწუხარე ორეული,
სიღამაზით — მისი ჩრდილი:
ულმობელმა ბედის ძალამ
სიხარული არ მაღირსა,
მხოლოდ სეედას მაზიარა.
ერთ ამბავსაც გაგიცხადებ:
ასტოლფოა ჩემი განძის,
დაფერფლილი სიამაყის
უსინდისო მომხვეჭელი...
გვრანობ, აღმუჩრი წამეკიდა —
გული სიმწრით შემომკვნესის,
მოსისხლედ რომ ვაღიარებ.
ასტოლფოა ის მძარცველი,
სიღიადე ვინც გათელა
(სიყვარული როცა ჰკნება,

კედება ნაზი მოგონება(ც);
პოლონეთში ქორწინდება
ჟესო ფრინველს გაჰკრა ბრეჟული;
ესტრელაა, ის საბედო,
ის ვარსკვლავი — ჩემი მწუხრის
სხივგამჭრალი ჩირაღდანო.
ვარსკვლავეთის წესი არის
შეაერთოს ორი გული —
სიყვარულის მესაფლავეს
მე ვარსკვლავად ვერ ვიგულებ...
უქომაგოდ გასრესილი,
შეშლილი და დაზაფრული,
მარტოობას შევეჩვიე,
თავი ცოცხლად დავიმარხე,
ჯოჯოხეთურ ტკივილისგან
ბაბილონის გოდოლივით
ირყოდა ჩემი სული;
იმ ვარამმა დამამუნჯა:
ზოგჯერ ჭირთა საამბობლად
უძლურია კაცის ენა
და ლაღადებს მდუმარება;
მაგრამ ერთხელ დედაჩემი,
საცოდავი ვიოლანტე,
ჩემს საკანში შემოიჭრა
და მკერდიდან აღმომსკდარი
ბობოქარი ოხვრა-გმინვა
ყელში გუნდად მომებჯინა.
უწყობანოდ გავუშეღავნე
კაეშანი — ნათქვამია,
შეცოდება ვინც იტვირთა,
სხვის ცოდვაშიც უძევს წილი;
თითქოს ჩემი აღსარებით
შენდობას და ხსნას ეწია:
ზოგჯერ ცუდი მაგალითიც
უნებლივით მოგგვრის შეებას.
თანაგრძნობით მომისმინა,
დამიყვავა, დამამშვიდა
ღმობიერი შეგონებით:
მსაჯულს ბრალი თუ ამძიმებს,

არ გამადლის მიტევებას,
~~საყუთარი მარცხი - სწავდა:~~
შეეგუა უქმად ყოფნას,
ფუჭი ჟამის მდინარებას,
სასწოდელი არ ეძია,
ველარც ჩემთვის გაისარჩა:
ესლა მითხრა: „სამარემდე
მიჰყევიო იმ მოვალეს,
ბრძნული ხერხით შეიტკებო,
ვინც ღირსება გამოგწირა.“;
მეც ვირწმუნე განგების ხმა
და ჭაბუკის სამოსელში
ბედს მივენდე, ძველისძველი
ხმალი წალზე შემოვირტყო
– სადაც არის, ქარქაშიდან
დაიწივლებს ეს მახელი: –
საკიდიდან რომ ჩამოხსნა,
დედაჩემმა ხმლის ზარნიში
სასიკეთოდ ამოიცნო;
პოლონეთში გამოგზავნა:
რომელიმე დიდებულნი
იარაღით გამოგარჩევს,
მოხედავსო შენს ვაებას
და სიმწარეს აგარიდებს...
ამ განზრახვით წამოვედი;
სიტყვას აღარ გაეაგრძელებ:
კარგად იცი, ჩემმა ცხენმა
აიწყიტა სადავენი –
ულრან ტყეში შენს საკანთან
გავჩნდი როგორც მთვარეული,
იქ კლოტალდომ ალაღბედზე
სიკვილისგან გამომიხსნა,
თვით ხელმწიფეს შემავედრა
და შენდობაც გამოსთხოვა.
ვინაობა გავუძღვალენე:
ესტრელასთან მომიძებნა
შესატერი სამსახური:
შევიცვალე კვლავ იერი...
დრო ვიხელთე: დანიშნულებს

სიყვარული გაეუფანტე.
 გაუცუდდათ ჯვარისწერა;
 მაშინ მნახე ხელმეორედ:
 ის სამოსი გეუცხვო
 და ორივე ჩემი ხატი
 ერთმანეთში აგერია:
 მოკლედ ვეტყვი: კლოტალდოსი
 ჯვრაფერი გამიგია:
 სურს ასტოლფო ესტრელასთან
 შეაუღლოს, შეკრას ფიცით
 და გვირგვინიც მიულოცოს;
 მე — სიტყვის თქმაც ამიკრძალა,
 ცეცხლზე ცეცხლი მომიმატა.
 შურისგებით ანთებულხარ,
 ვით კლდის ვეფხვი უშიშარი,
 რომ დაღეწო უფლის ნების
 ეს პირქუში საპყრობილე,
 ის საკანი, სადაც გული
 გაგიმხეცდა მარტოობით
 და წამებამ გაგაქვავა, —
 მამაზე და სამშობლოზე
 ამხედრებულს, მინდა შეველა
 შეგთავაზო; ამისათვის
 მე დიანას გამოვთხოვე
 სამშვენიისი და პალადას
 ჯაჭვ-ჯავშანი გადავიცვი:
 აბჯარი და ტყავი არის
 ჩემი ძვირი სამკაული.
 მსურს გაუწყო მამაც ბელადს —
 საერთო გვაქვს დღეს მიზანი:
 წინ აღვუდგეთ ქორწინებას,
 შეთქმულები გავაწბილოთ.
 სხვა მეუღლეს ნულარ ეძებს,
 ვინც მე საქმროდ მეგულება:
 ღმერთმა ნუ ქნას, სამეფონი
 იმპერიად შეაერთონ
 და ორკეცი ძალისხმევით
 განსაცდელი გაგიმრავლონ.
 დიაკურად მოგიწოდებ:

სამართალი გამიჩინე!
გვირგვინისთვის თუ იბრძოლებ -
მხარს დაგიქერ ვაჟკაცურად.
შენს წინაშე დამხობილი,
ღიაცურად ავტირდები,
და საომრად თუ მიახლებ,
ვაჟკაცივით გიერთგულე.
მაგრამ თუკი დაკნინებულს,
უარესად დამამცირებ,
ღირსეულად დაგიხვდები,
ვით ვაჟკაცთა წესი არის.
მაშ, უფრთხილდი ძალადობას,
უღონოა ქალი, მაგრამ
შეუძლია სანჯლისთვის
თავი დასდოს ვაჟკაცურად

ს ე ხ ი ს მ უ ნ დ ო

(ციურნო ძალნო, თუ ისევ მძინავს,
მეხსიერებას ნუ გამომწირავთ -
რალა არ ხდება: მოჩვენებათა
რია-რიია ამ გრძელ სიზმარში!
| უფალმა უწყის გამოსავალი:
რა გზით დავრთგუნო მე ეს ხილვები,
მღელვარე ფიქრი როგორ დავიცხორო!
ნუთუ მესიზმრა ეს აღზევება...
მაგრამ ამ ქალმა ცხადი ნიშნებით
დამისურათა ჩემი წარსული.
მაშასადამე, სინამდვილეა;
და თუ ასეა - მე ეს ამბავი
არანაკლებად მიმღვრევს გონებას, -
ვერ გამიგია, ჩემმა სიციცხლემ
რატომ შეარქვა ამას სიზმარი!
თუმცა სიზმარს ჰგავს დიდებულება,
ზღლო სიყალბე - ჭეშმარიტებას,
ფრიად სარწმუნოს - გამონაგონი...
ოითქოს სხვაობა ბეწვის ხილია,
გონებისათვის შეუცნობელი;
კაცმა არ იცის, ცხოველ სამყაროს,
თუ უსხეულო ლანდებს შეჰხარის.

ყველა საგანი ექვს ბადებს, რადგან
ასლი დედნისგან არ განირჩევა:
თუკი ოდესმე უნდა მოინარას
ჩემი მეობა, განქარდნენ სპანი,
ბოლო მოელოს მეფურ ზეობას,
ძალაუფლებას და სიდიადეს, —
რაღა ვირწმუნო? რად არ ვისმინო
ეს უეტარი ბედის ყვილი?
ვინც სიზმარშია, დაე დასჯერდეს
ის სიზმარეულ ბედნიერებას.
ჩემგან მოელის მსჯავრს როსაურა,
გრძნულ თილისმით ვინც დამიმონა,
ნდობას მიცხადებს მუხლმოდრეკილი.
ვფიცავ, ხელიდან ვერ დამისხლტება:
სიყვარულს ბევრჯერ დაუმსხვრევია
ღირსებისა და ნდობის კანონი.
უბედურების ლანდი თუ ახლავს
ყოველ ზმანებას, რა დაშავდება,
ჯერ სინარული რომ მომელანდოს.
საკუთარ განსჯას არ ვეთანხმები,
სულ სხვას ჩამძახის გრძნობა — გონება!
ეს ბაქიბუქი თუ სიზმარია,
მოკვდავთ ზეობას ვინ ანაცვალებს
ღვთაებრივ, უქნობ დიდებულებას?
წამია სიზმრის გამონათებაც...
ვინ არ დამტკბარა ბრძოლის ყუინით?
მაგრამ წარსულზე დაფიქრებული
მსცოვანი გმირიც ამასვე იტყვის:
სიზმრად ვნახეო მე ეს დიდება.
ამაოდ ველი მიწიერ შვებას,
რადგან, ვიცი რომ ჩემი გულისთქმა
თვალისმომჭრელი ცეცხლის აღია
და მიმოაბნევს იმას ნიავი,
ოდეს კვარივით ჩაიფერფლებ...
მარადისობავ, კვალში მოგყვები!
შენ ხარ სიქველე გაუხუნარი,
სხივგაუმჭრალი შარავანდელი
და სიდიადე დაუთრგუნველი.
ღირსებას ითხოვ შენ, როსაურა;

უპირველესად პრინცს ვეალებათ
დაიცვას ქალის პატიოსნება.
განგებას ვფიცავ, არ მელირება
თავი სამეფოდ, ვიდრე შენს სახელს
დამცილებიდან არ გამოვიხსნის.
რაგინდ იმძლავროს, ვერ დამამარცხებს
მე ეს წადილი.) – დაფდაფს დაჰკარით,
განზრახული მაქვს საომრად დავძრა
ჩემი ლაშქარი, ვიდრე წყდიალი
ოქროვან სხივებს დაასამარებს
მწვანეჭავლიან გიშრის ტალღებში.

როსაურა

ბატონო ჩემო! ასე დამტოვებ?
ნუთუ სიტყვასაც არ გაიმეტებ?
ზურგს თუ შემაქცევ, ვის გავუმხილო
ჩემი წუხილი, ვინ მანუგეშებს?
საკვირველია ყურსაც არ მიგდებ,
თითქოს, ვერც მამჩნევ; აშკარად გატყობ,
მუხანათურად სახეს მარიდებ!

სეხისმუნდო

ამას მოითხოვს შენი ღირსება;
ჯერ სისასტიკე უნდა მოვიხმო,
გზა რომ გაეხსნას გულმოწყალებას.
ჩემმა სინდისმა გაგცეს პასუხი;
რაკილა ენას არ ძალუძს შევლა,
ჩაეიკლავ სათქმელს.... უკეთესია,
ჩემი საქმენი ავამეტყველო;
როდესაც გიმზერ, უფრო ღრმადდება
გულის ჰრილობა, რადგან ცხადია:
ველარ ვიხილავ შენს სათნობას,
თუ შენს სიტუარფეს არ შეველევი.
(გადის.)

როსაურა

სულ დამაბნია.... რა ენადღებთ!
რამდენი ღამე განვლე უძილოდ,
ბნელი ექვები ვერ მოვიცილე.

ნეტავ რას ნიშნავს ეს ქარაგმები?
(შემოდის კლარინი.)

კლარინი
ჩემო სენიორა! ნუთუ შენა ხარ?

როსა ურა
კლარინ! ამდენ ხანს სად ბრძანდებოდი?

კლარინი
სიკვდილთან ბანქოს შევექცეოდი
მტვრიან დიღვგში: უნდა გენახა,
ის ყომარბაზი როგორ ვაწვალე –
ყურებზე ხახვიც ვერ დამათალა,
გავასულელე ეშმას მსახური:
მივართვი პრასა და ნიახური!
ბეწვზე გადავრჩი ცოცხალი...

როსა ურა
რისთვის?

კლარინი
რომ არ წამომცდეს... კლოტალდო დარდობს,
სხვა დიდებულებს რომ არ გაევანდო
შენი ამბავი... თოფის ხმა ისმის!

როსა ურა
იქნებ გაგეგო რა ხმაურია?

კლარინი
სასახლეს უტევს მემკვიდრის ჭარი,
მეფის მხედრობაც აქეთ იჩქარის,
სეზისმუნდოსთან შებმა სწყურიათ –
განწირულია ზვიადი პრინცი.

როსა ურა
თუ საფრთხეშია, რას ველოდები?
ვის შევეწევი ლაჩრულ გოდებით?
წავალ, ქვეყანას გადავწვავ სიმწრით!

უთუოდ წარღვნა თუ გვემუქრება:
არც კანონია, არც სამართალი...
(გადის.)

ხ მ ე ბ ი

(სცენის სიღრმიდან.)

უძლეველია მეფის სარდალი!

ს ხ ვ ა ხ მ ე ბ ი

ვაშა. დიდება თავისუფლებას!

კ ლ ა რ ი ნ ი

დამილოცნიხართ ერიც და ბერიც:

ორივეს ერთად ჭვარი გწერიათ;

გავძლებ უთქვენოდ, არაფერია;

თანაც ვეცდები, რომ შესაფერი

მყუდრო ადგილი გამოვარჩიო:

იქ დავბრძანდები, როგორც ნერონი —

არ დამკლებია ჭერ ისე გონი,

უცნობ ცხედარზე ცრემლი ვაფრქვიო;

(რა უნდა სხვისი ჭირის მოთმენას.

ამ საფარიდან მშვენივრად ვხედავ

არტილერიას, ცხენსა და მხედარს,

ვინ დასწრებია მსგავს წარმოდგენას!

აბეზარ სიკვდილს ცოტას ვადროვებ,

ვიდრე ჭიუხში დაუღამდება:

კოვზი ნაცარში ჩაუვარდება —

ვიცი, რომ ისევ მშრალზე დაეტოვებ.

(იმალდება.)

(მოისმის დაფდაფის ხმა და იარაღის ჭდარუნნი. დამარცხებული ბასილიო, კლოტალდო და ასტოლფო გარბიან.)

ბ ა ს ი ლ ი ო

იხილეთ მეფე, ბედით ძლეული,

ძისაგან უღვთოდ გაძევებული.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

ლაშქარი, მტრისგან დამარცხებული,

გაფანტულია და დაბნეული.

ასტოლფო

უპართლებს ორგულს! დრონი მეფობენ...

ბასილიო

ომის კანონში ასე სწერია:

დამარცხებული — ხალხის მტურია,

პატიოსნება მძლეველს შეჰფერის.

აქეთ, კლოტალდო, დროზე გავიქცეთ.

არ შეგვიწყალებს მამის მგმობელი

ძე განუსჯელი და ულმობელი.

(სრაოლის ხმაა. დაჭრილი კლარინი კლდის
ფერდობს მოსწყდება.)

კლარინი

მიშველეთ!

ასტოლფო

კვდება ეს ჯარისკაცი;

ნეტავ რა ჰქვია? მეცნობა, ვგონებ...

ჩემს ფერხთით გდია სისხლში მოსვრილი,

ტკივილისაგან გულშემოყრილი.

კლარინი

ერთი ეული და უთვისტომო

კაცი ვარ; ასჯერ მეცვალა მხარი.

სიკვდილს ვერსაით ვერ გავეჭეცი,

კვალში მდია და წინ შემეფეთა!

ამაოდ ვძებნე თავშესაფარი.

არც ჯადო გიხსნის და არც სამალი,

სულთამხუთავი თუ დაგაცხრება,

საკუთარ ქობში ჩაგისაფრდება,

ქვეყნის კიდეზე დაგასამარებს.

ხიფათი ყველგან თანასწორია,

დაბრუნდით, ლაშქარს ნუ მიატოვებთ:

მთის ბილიკებზე უფრო სანდოა

ტყვიის ცეცხლი და სისხლის მორევი.

ნულარ გექნებათ ამ კლდის იმედი;

გამომივლია ქირი მრავალი,

ფუჭეა ყველა გამოსავალი,

ბედის მწერალმა თუ გაგიმეტა.
რაც გიწერიათ, ის არ აგცდებათ,
უფლის ხელშია ადამის შვილი:

11 თუ სიკვდილი გაქვთ გადაწყვეტილი,
ნუ ეურჩებით განგების ნებას.
(სცენის სიღრმეში ვარდება.)

ბ ა ს ი ლ ი ო

თუ სიკვდილი გაქვთ გადაწყვეტილი,
ნუ ეურჩებით განგების ნებას!
ბრძნული აზრია! უსულო გეამმა
დაადასტურა ჩემი ექვების
უსაფუძვლობა; ვაგლახ, რომ მართლაც
შორს არის ჩვენგან უზენაესი ჭეშმარიტება;
დაჭრილის ბაგეთ სიმწრის ღიმღმა
სიმართლისაკენ გზა გაუკვლია,
დროზე გვაუწყა სისხლმდინარ ენით
ჩვენი წადილის ამაოება:
უძღურიაო კაცის ზრახვანი
უღიადესი ფიქრის წინაშე!
მშვიდობა მსურდა, ვერიდებოდი
შფოთს და კაცის კვლას; რა არ ვილონე
ჩემი სამეფოს გადასარჩენად,
მაგრამ პირიქით მოხდა ყოველი.

კ ლ ო ტ ა ლ დ ო

ბატონო ჩემო, განგების ეტლმა
აშკარად უწყის თავისი საქმე,
მიუვალ კლდეზეც მიაგნებს დევნილს;
მაგრამ ქრისტეანს როგორღა ძალუძს
იმის მტკიცება, თითქოს კაცთათვის
აღარსად არის თავშესაფარი.
გამოსავალი მუდამ არსებობს:
ძვირად აფასებს ოაზის სიციცხლეს
ვაჟკაცი, ომში დაბრძენებული.
უმძიმეს მარცხსაც არ შეუდრკება,
განსაცდელს ხერხით გაუმკლავდება.

ასტოლფო

ბატონო ჩემო, კლოტალდოს რჩევას
ვერ დაუწუნებ: ისე განსაჯა,
ვით დარბაისელ ქარმაგს შეჰფერის;
შიში არ ვიცი: კაბუკურ სათქმელს
ახლავ გაგანდობ; ამ კლდის ფერდობზე
უსიერ ტვერში ცხენი დაგხვდება:
ქორ-შაგარდენიც ვერ მიეწევა,
ნიაჟპარია მისი მშობელი:
გაჰქუსლე, მღევარს მე შევაყოვნებ.

ბასილიო

თუ აღსასრული ახლავ მომელის,
სიკვდილი თუ მაქვს გადაწყვეტილი,
საღლა წავიდე? უმჯობესია,
წინ შევეგებო! მე მზად გახლავარ.
(დაფდაფის ხმა ისმის.)
(შემოდინან სეხისმუნდო, ესტრელა, როსაურა და ჯარისკაცები.)

სეხისმუნდო

ტყს შეათარა ხელმწიფემ თავი,
სადმე ძეძენარში თუ იმალება –
გაჩხრიკეთ ეს მთა! ყველგან მოძებნეთ!
კარგად დაზვერეთ ყოველი ბორცვი,
კუნძი არ დაგრჩეთ შეუნიშნავი,
ყველა ბუჩქი და ტოტი გასინჯეთ.

კლოტალდო

აჩქარდი, სენიორ!

ბასილიო

რისთვის?

ასტოლფო

რას უცდი?

ბასილიო

ჩამომეცალე, ასტოლფო.

ბასილიო

დამნაშავე ვარ შვილთან, კლოტალდო;
გამოვისყიდი ჩემს შეცოდებას.
 (ხეჩისმუნდოს.)

ნულარ დამეძებ, აქა ვარ, პრინციო!
 პატიებას გთხოვ მუხლმოდრეკილი:
 ფეხქვეშ გაგიფენ ამ ჩემს ჭაღარას
 სპეტაკ ხალიჩად: რაღას უდგებარ?
 ქუსლი დამადგი ქედზე და თავზე
 გადამამსხერიე ოქროს გვირგვინი;
 გააცამტვერე ჩემი ღიღება,
 დაამხე ჩემი ძალმოსილება,
 ნულარ მიხედავ მეფურ ღირსებას,
 ტყვედ წამიყვანე ბორკილგაყრილი;
 დაე აღსრულდეს ცის განაჩენი,
 აღსრულდეს ბედის შურისძიება.

სეხისმუნდო

ბრწყინვალე შვილნო პოლონეთისა,
 გასაოცარი ეამის მხილველნო,
 პრინცი საჯაროდ ამას გაუწყობთ;
 ზეცის კანონით რაც გადაწყდება,
 რაც უფლის ხელით დაიწერება
 ლაქვარდზე ოქროს ნიშან-ხატებად —
 სარწმუნოც არის და შეუცვლელიც.
 ყალბი ის არის, ვინც შეეცდება
 სიავით ხელყოს ქეშმარიტება
 და ღვთის განაჩენს გზა გაუმრუდოს.
 აქ არის ჩემი მშობელი მამა,
 ვინც მე ტყუურად, მხეცად მაქცია —
 სტიქიის რისხვას ეკრძალებოდა
 ბედის მუქართ შეშფოთებული:
 რაც უნდა იყოს მეც წმინდა სისხლის
 ღიღებული ვარ, კეთილშობილი
 სამეფო გვარის შთამომავალი;
 თუნდ მამა-პაპის ღინჯი სიქველე,

თვინიერება გამომყოლოდა,
 ასეთი აღზრდა ზნეობის ბეჭედს
 მაინც წაშლიდა: თვით სათნოებას
 ააწანყმნდა, ქარს გაპყვებოდა
 თანდაყოლილი ყველა სიკეთე.
 ვის გაუწვრთნია ასე სიშმაგე!
 მავანი კაცი რომ გააფრთხილონ:
 მთვლემარე ურჩხულს ნუ გაახელებ,
 სულს ამოგხდისო შენ ეგ ცხოველი, —
 ვინ დააჩქარებს თავის აღსასრულს,
 თავის სულთამხდელს ვინ გააღვიძებს?
 თქვენთვის რომ ეთქვათ: წელს რომ გარტყა
 ბასრი მახვილი, სიცოცხლეს შენვე
 დაგიბნელებსო. — ნუთუ სიცოცხლის
 გადასარჩენად უმაღ ვადაზე
 ხელს იტაცებდით და იმ მახვილზე
 შიშველი მკერდით აეგებოდიო?
 ვისი ცხოვრებაც განგების ნების
 ოკეანეში უნდა დასრულდეს,
 ვინც წყალს იგულებს ვერცხლის სამარედ,
 მღელვარე ზღვაში თუ გადახტება,
 როცა თოვლისფრად აქაფებული
 ქოჩორა ტალღა ტალღას აწყდება,
 ზვირთი იფშენება ბროლის შხეფებად?
 მამაჩემს სწორედ ეს დაემართა:
 დაუფიქრებლად გამოაღვიძა
 მხეცი, რომელიც შთანთქმას უქადდა,
 არ ენდო ქარქაშს და გააშიშვლა
 საბედისწერო ბასრი მახვილი;
 აბობოქრებულ ზღვას მისცა თავი;
 თვითონ განსაჭეთ, რას გახდებოდა
 უსამართლობით მიძინებული
 მხეცი თუ იყო ჩემი ზვაობა,
 სიფიცხე — ხმალი, ომში უწვრთნელი,
 ავკაცობა კი — უქარო ზღვაზე
 ზვირთი, საავდროდ გამზადებული?
 სიკერპით საქმე სულ გაამწვავა!
 ბრმა სისასტიკით ბედის ძალაზე
 ვერ იზვიამებ; ის გაიმარჯვებს,

ვინც მოთმინებას სიბრძნით გახედნის.
სანამ ხიფათი მოგეწოდეს,
თავს უშველეო — ბევრიც გირჩიონ,
გინდაც ირწმუნო საშიშროება,
განსაცდელს ვერსად დაემალები;
მიუსაუღეთშიც რომ გაიხიზნო,
იქნება კირმა იქაც მოგაგნოს,
გამოგაცალოს ყველა საყრდენი
და ოთხივ კუთხით გზები დაგიხშოს.
სამაგალითო იქნება თქვენთვის
ეს წარმოდგენა, ეს უცნაური
და საზარელი სანახაობა —
ან კი ამაზე გასაოცარი

რა უნდა იყოს: ქვეყანა შეძრა
ჩემმა მშობელმა და საბოლოოდ
შეწყალებას მთხოვეს გულქვა მონარქი,
დამცირებული და გათელილი...

ზეციურია ეს განაჩენი:

თვითონ ხელმწიფემ ვერ აირიდა
ცის სამართალი: მე რაღა მიხსნის?
სად შეიკედრები მეფეს სიქველით,
ქაღარა წვერით, განსწავლულობით?
ბატონო ჩემო, ფეხზე წამოდექ,
მომეცი ხელი... თუ გაგიმტყუნა
ზეცამ იმედი, იკმარე მარცხი:
ძნელი არ არის დღეს ამ შეცდომის

გამოსწორება; გემორჩილები,
მდაბლად ქედს გიხრი და დავემხობი
ახლავ შენს ფერხთით, ვით ძეს შეშენის.

ბ ა ს ი ლ ი ო

ჩემო ვაჟკაცო, — დიდსულოვნებით
მოინადირე ღვიძლი მშობელი;
ვით პრინცს შეშენის, ისე იქცევი,
ხოტბის ღირსი ხარ, დაიმსახურე
დაფნის გვირგვინი: ზეიმი გმართებს:
საკვირველია შენი საქმენი.

ყველანი

ვაშა, დიდება პრინც სეხისმუნდოს!

სეხისმუნდო

რაკილა დადგა სულის ზეობის

ღიადი წამი, საკუთარ თავზე

გამარჯვებაა უპირველესი

ჩემი მიზანი; რად არ გაუწვდით

ხელს როსაურას, ასტოლფო? ვიცი,

ვალად რომ გადევთ ქალის ღირსება;

მსურს აღუადგინო მისი სახელი.

ასტოლფო

ვალი მამძიმებს, ცხადია, მაგრამ

ნუ გავიწყდებათ, ერთი უგვარო

და უთვისტომო ქალი რომ არის!

მე ვერ ჩავიდენ ასეთ სიმდაბლეს,

ეს სამარცხვინო ქორწინება ხომ...

კლოტალდო

შესდექ, ასტოლფო, ნუ აჩქარდები;

ვერ დაიწუნებ შენ როსაურას,

შეგეფერება გვარიშვილობით!

დაშნით დავიცავ მე ამ სიმართლეს;

ჩემი სისხლია, ჩემი ასული!

ასტოლფო

რას ამბობ?

კლოტალდო

სანამ არ გავათხოვებ,

ვით მაღალი წრის ასულს შექვეყრის,

არ გავამჟღავნებ ამ საიდუმლოს.

თან საამბობლად მეტად გრძელია;

შვილია—მესაქი, აკი გითხარი.

ასტოლფო

კეთილი, მაშინ აღარ გადავალ

პირობას.

სეხისმუნდო

რადგან გულსევდიანი
დარჩა ესტრელა — მან ხომ დაჰკარგა
კეთილშობილი, მამაცი პრინცი —
მე მას ღირსეულ საქმროს ვთავაზობ:
თუ ვერ დაჩრდილავს პირველ დანიშნულს
ხარისხითა და ძალაუფლებით
არ ჩამორჩება, ხელი მომეცი.

ესტრელა

ასეთ იღბალზე არც მიფიქრია.

სეხისმუნდო

ჩემო კლოტალდო! გულში ჩაგიკრავ
მადლიერებით, რადგან მამაჩემს
ერთგულ სამსახურს უწეედი მუდამ;
არ დავიშურებ შენთვის წყალობას.

ერთ-ერთი ჯარისკაცი

იმ კაცს თუ სწყალობ, ვინც სამსახურზე
უარი გითხრა, მე რას მიბოძებ?
მთელი სამეფო შევაწრიალე,
პატიმრობიდან ძლივს დაგიხსენი,
გამოგიყვანე წყულ კოშკიდან...

სეხისმუნდო

შენთვის ის კოშკი მიბოძებია
და საიმედო გუმანგი მცველად,
რომ სიკვდილამდე ვერ გამოხვიდე:
როცა ღალატი უკვე დასრულდა,
მოდლატენი ვილას სპირდება?

ბასილიო

შენი გონება ყველას გვანციფრებს.

ასტოლფო

არ შეესწრებივარ ასეთ ცვლილებას.

როსა ურა

ო, რა სიბრძნეა, რა სათნოება!

სეხისმუნდო

რამ გაგაოცათ, ნეტავ რა გიკვირთ,

სიზმარი იყო ჩემი მოძღვარი:

შიში დამჩემდა, ვერ მოვიშორე

მძიმე ნალველი: არ მინდა ისევ

ნაცნობ დილეგში გამოვიღვიძო...

ცხადში თუ არა, სიზმარში მაინც

ხომ შეიძლება ჩემი საკანი

რომ მომელანდოს? მივხვდი, რომ კაცის

ბედნიერება ზმანებასა ჰგავს

და სიზმარივით მალე გაქრება;

ამიტომ ჩემი კუთვნილი უამი

უნდა დავზოგო, რომ შეწყალება

ვითხოვო თქვენგან: შემინდეთ ჩემი

შეცოდებანი; მიტევება ხომ

ღვთიური ზნეა მადლით ცხებულთა

დასასრული

ავუსტ ვილქელმ შლეგელის ლექციებში დრამატული ხელოვნების შესახებ, რომელიც მან ჟნაში წააკითხა 1808 წელს, გამოიწვევია ის თვალსაზრისი, რომ კალდერონის სიდიადე გამელაუნდა მისი შემოქმედების ქრისტიანულ სულისკვეთებაში, ზნეობრივ ღირებულებათა დამკვიდრებაში და „სიკვიდილ-სიცოცხლის საიდუმლოების ამოხსნაში“. ამ თვალსაზრისს იზიარებს XVI-XVII საუკუნეების ესპანური ლიტერატურის უბაძლიო მკოდნე მენენდეს — პელაიო, რომელიც გატაცებული იყო კალდერონის და ლოპე დე ვეგას თბულებათა შედარებითი ანალიზით ეს ორი შემოქმედი სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდა — ლოპე დე ვეგა ის-ის იყო სამწერლო ასარებს ტოვებდა, როდესაც კალდერონი (1600 - 1681) თავის პირველ პოეტურ შედევრებს ქმნიდა.

ლოპე დე ვეგას შემოქმედებით იწყება ეროვნული დრამატული თეატრის აღზევების ბრწყინვალე, თითქმის ასწლიანი პერიოდი, რომელიც კალდერონის დრამატურგიით დაგვირგვინდა. ნაციონალური დრამატული თეატრის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს აგრეთვე რუის დე ალარკონმა, ტარსო დე მოლინამ და სხვა ესპანელმა დრამატურგებმა.

XVII საუკუნის დასაწყისში ესპანეთი ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან კი თავი იჩინა აბსოლუტიზმის კრიზისმა, რომელსაც საფუძველი შეუტყდა ფავორიტიზმმა და კორუფციამ კალდერონის თანამედროვე ესპანეთისათვის უკვე ნიშანდობლივია გარებებული შეგნება, და იდეალისკენ ლტოლვა სკეპტიციზმით არის გაჭერებული. ბაროკოს ეპოქისათვის დამახასიათებელ ამ ტრაგიკულ ანტიზომიას, რომელიც ასე საცნაურია კალდერონის დრამებში, სერვანტესის (1547-1616) სახელს უკავშირებენ. სწორედ სერვანტესის შემოქმედებამ აზიარა კალდერონი რენესანსის ჰუმანისტურ ტრადიციებს და სინამდვილის იდეალთან შეუსაბამობის ანტითეზაც მისგან მიიღო შემკვიდრებით.

დონ პედრო კალდერონ დე ლა ბარკა ენაო დე ლა ბარერა — რიანო — დაიბადა 1600 წლის 17 იანვარს მადრიდში, მეფის ხაზინდარის მდივნის დონ დიეგო კალდერონის ოჯახში. დრამატურგის დედა, ფლანდრიელი ჯალი, ანა მარია დე ენაო, სრულიად აბლაგაზრდა გარდაიცვალა, როდესაც პედრო ჯერ კიდევ ათი წლის იყო. რვა წლის ასაკში კალდერონი იეზუიტთა კოლეჯში მიაბარეს. მეუღლის გარდაცვალებით შემდეგ დონ დიეგოს კვსი ბავშვის აღზრდაზე უნდა ეზრუნა. იგი მეორედ დაქორწინდა, ერთი წლის შემდეგ კი ისიც მიიცვალა და ოჯახში უთანხმოება ჩამოყარდა

1 M. Menendez -y- Pelayo, "Calderón y su teatro", 1881

2 Н.Б. Томашевский, "Театр Кальдерона", წიგნში: Педро Кальдерон. Пь есы, перевод с Испанского, том 1. Москва, 1961, გვ 6)

მემკვიდრეობის გამო. კოლეჯის დაშორების შემდეგ პედრო კალდერონმა სალამანკის უნივერსიტეტი დაამთავრა და ის-ის იყო, სასულიერო კარიერისთვის სამზადისს უნდა შეეღებოდა, რომ ოქტობერში გარემოებამ აიძულა მადრიდში დაბრუნებულიყო და საბჭედრო სარბიულზე ეცადა ბედი

პირველი კომედია კალდერონმა ცამეტა წლის ასაკში დაწერა. 1620 წელს კი წმიდა ისიდორეს დღესასწაულზე მან საცუსთარი საინტეჩი წაიკითხა და ლოპე დე ვეგას შექება დაიმსახურა.

როგორც კალდერონის ბიოგრაფები გარაუდობენ, 1623-1625 წლებში კალდერონმა იმოგზაურა ჩრდილოეთ იტალიაში და ეწვია ფლანდრიასაც. კალდერონის ორ პიესაში ("ბრედის ალფა" და "სიფარული სიკვდილის შემდეგ") აღწერილია სამხედრო ყოფა და მხედრული ზნე-ჩვეულებანი, რაც საფუძველს გააძლევს დავასკვნათ, რომ ამ ამბების გადმოცემის დროს პიეტს პირადად გამოცდილებამ შეუწყო ხელი. კალდერონის მონაწილეობა ფლანდრიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში მით უფრო საინტერესოა ბიოგრაფებისათვის, რომ ამ ქვეყანაში ყოფნის დროს მწერალს საშუალება ეჩვენოდა გასცნობოდა შექსპირის შემოქმედებას.

1625 წელს, მადრიდში დაბრუნების შემდეგ, კალდერონი დიდ დროს უთმობს თეატრს და ლიტერატურას. მისი პიესების უმრავლესობა იდგმება სამეფო თეატრის სცენაზე. 1636 წელს კალდერონის ძმამ, ხოსე კალდერონმა გამოსცა პედრო კალდერონის კომედიების პირველი ტომი. კალდერონის ლიტერატურული დიდება დაემთხვა მის წარმატებულ პირად კარიერას. 1637 წელს იგი სანტ-იაგოს ორდენის რაინდად აყურთხეს, რაზედაც დიდიხანა ოცნებობდა.

1638 წელს ესპანეთში შეიჭრა საყრანგეთის გარის ნაწილები პრინც კონდეის მეთაურობით. ფრანგებმა ალფა შემოიარტყეს ბილაოსის მახლობლად მდებარე ფუენტერაბიას ციხე-სიმაგრეს. ალფაში მოქცეულთა დასახმარებლად დაიძრა ლაშქარი კასტილიის დიდი ადმირალის ხუან ალონსო ენრიკეს დე კაბრერას სარდლობით. კალდერონი თავს ანებებს ყველგვარ საქმიანობას და თავის ძმასთან ხოსესთან ერთად ესპანელ პატრიოტებს უერთდება საომარ ველზე სამი წლის შემდეგ კი სანტ-იაგოს ორდენის სწვა რაინდებთან ერთად ის მონაწილეობას იღებს კატალონიის ამბოხის ჩასაქრობად მოწყობილ ექსპედიციაში. კალდერონის მხედრული ღვაწლი აღწერილია მისი უფროსის ალვარო დე კინიონესის რელაციებში.

ყველა ამ წარმატების მიუხედავად, 40-იან წლებში კალდერონს მრავალი ჰირ-ჰარამი ვადახდა. 1645 წელს ბრძოლის ველზე დაეცა მისი უმცროსი ძმა ხოსე, ერთი წლის შემდეგ დაიღუპა უფროსი ძმა დიეგო, 1648 წელს გარდაიცვალა კალდერონის სატრფო, რამდენიმე წლის შემდეგ კი მათი მცირეწლოვანი ვაჟი. ამის გარდა, XVII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ესპანეთში ისე განვითარდა მოვლენები რომ კალდერონის მატერიალურ კეთილდღეობას და მის

ლიტერატურულ ბედსაც საფრთხე დაემუქრა. ამის მიზეზი იყო ესპანეთის სახელმწიფოებრიობის კრიზისი, -სამეფო კარზე დამკვიდრებული ფარისევლობა და საეკლესიო პირთა თავგასულობა. შეიცვალა თეატრის მიმართ დამოკიდებულებაც. ინფანტების - ბალტასარის და ფერდინანდის, აგრეთვე დედოფალ იზაბელას გარდაცვალების გამო ფილიპე IV ის კარზე პირაქუში განწყობილება სუფევდა.

სამეფოში შექმნილმა ვითარებამ დააჩქარა კალდერონის გადაწყვეტილება სასულეთში პირი გამხდარიყო. 1651 წლის 18 სექტემბერს იგი მღვდლად კურთხა. 1653 წელს კალდერონს მიენიჭა ტოლედოს ახალ მეფეთა ტაძრის წინამძღვრის წოდება. სულ მალე კალდერონი მადრიდის წმიდა პეტრეს ტაძრის წინამძღვრად ინიშნება და თავისუფალ დროს თხზავს აუტოებს მადრიდის, ტოლედოს, სევილიის და გრანადის თეატრებისათვის.

კალდერონი გარდაიცვალა 1681 წლის 25 მაისს. ამ დღეს ესპანეთის მთავარ ქალაქებში მის მიერ შეთხზული საკრალური დრამები იღვმებოდა.

თავად კალდერონის მიერ შედგენილი სიის თანახმად მან შეთხზა 111 კომედია და 70 აუტო, ანუ საკრალური დრამა. მაგრამ მოგვიანებით არქივებში ჩატარებულ მუშაობის შედეგად გაიჩვენა, რომ ეს სია სრული არ იყო. უახლესი მონაცემების მიხედვით კალდერონი სხვადასხვა ეპოქის სულ 220 პიესის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლირიკული ლექსები. ორი პოემა ("ანა აქსტრიელოს ზეიმით შემობრძანება" და "შროფლიო წარცვნა"), ფერწერის პრობლემატიკის მიძღვნილი გამოკვლევა და ტრაქტიკი „კომედიის აპოლოგია“, რომელიც, სამწუხაროდ, დაიკარგა კალდერონის თხზულებათა სრული კრებული პირველად მისი შემოქმედების თავანისმკემელმა ხუან დე ვერა ტასის — ვილიაროელმა გამოსცა 1682 —1691 წლებში. კალდერონმა ხელოვნება შესაქმნეს გაუთანაბრა, რაზედაც მიუთითებს მისი ერთ-ერთი აუტოს სახელწოდება: "სამყაროს დიდი თეატრი" (El gran teatro del mundo).

მიღებულია კალდერონის შემოქმედების დაყოფა ორ პერიოდად: 1651 წლამდე და 1651 წლის შემდეგ. პირველ პერიოდში კალდერონი უმთავრესად საერო პიესებს თხზავდა, წმინდა დრამებს კი (autos sacramentales) — ნაკლებად. თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში ის მხოლოდ წმიდა დრამებს ქმნის, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

კალდერონის შემოქმედების ეპიკური ელასიფიკაცია ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. საერთოდ კი მისი დრამატურგია სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: დრამები, კომედიები და წმიდა აუტოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუტოს გააჩნია ჩამოყალიბებული ეპიკური ნიშნები, პირველი ორი კატეგორია კი ამ მიმართებით არ არის მკაფიოდ გამოკვლეული. ახალგაზრდა ლოპე დე ვეგა და მისი მიმდევარნი სიტყვა "კომედია" ფორმალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამ ეპიკურს აკუთვნებდნენ პოლემიკური შინაარსის ყველა ხაწარმოებს, რაც გადაჭრით ეწინააღმდეგება არისტოტელეს თეორიაზე და სენეკას

და ტერენციუსის რომაული თეატრის გამოკიდობაზე დაფუძნებულ მეცნიერულ-კლასიციტურ გაგებას. ასე რომ იმ ეპოქაში ჭერ კიდევ არ იყო დასრულებული „ქართული კრისტალიზაციის“ (რამონ მენენდეს პიდალის გამოთქმით) ცოცხალი პროცესი.

ტრადიციულად კალდერონის დრამებს შორის განასხვავებენ ისტორიულ, ფილოსოფიურ, რელიგიურ, ბიბლიურ, მითოსურ და „ლირსების დრამებს“, თუმცა დრამის ამ სახეობებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება შეუძლებელია. კალდერონის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „ლირსების დრამები“: „ქედუბრელი უფლისწული“ (*El principe constante*), „ლუის პერესი გალისიიდან“ (*Luis Pérez el Gallego*) „სიყვარული სიკვდილის შემდეგ“ (*Amor después la muerte*), „თავისი თავის დარაჯი“ (*El alcaide de si mismo*). და „სალამელი ალკალდი“ (*El alcalde de Zalamea*). ეს დრამები წარმოდგენას გვიქმნიან იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კალდერონის თანაბმად XVII საუკუნის იდეალური ესპანელი. ესპანურ დრამაში ლირსება უპირველეს ყოვლისა მოქალაქის სულიერი ატრიბუტია და ის უმაღლეს განსჯას ექვემდებარება. მაგალითად, თუ გმირის ლირსება მსხვერპლად მოითხოვს სამეფო პირზე შურისძიებას, შეურაცხყოფილმა გმირმა უნდა დაითმინოს დამკიცრება, რადგან ლირსების ესპანური კოდექსის მიხედვით სამეფო გვარის წარმომადგენელზე ხელის აღმართვა დაუშვებელია.

„ქედუბრელ უფლისწულში“ კალდერონმა ბორცი შეასბა დიად და გასაოცარ ჩანაფიქრს. იგი იმდენად მრავალფეროვან პრობლემატიკას მოიცავს, რომ ძნელი გადასაწყვეტია, რომელ დრამატულ ეპარს შეესაბამება ეს ნაწარმოები, რომელშიც დაბეჭდილი სიუჟეტი ოსტატურად ერწყმის გრანდიოზულ პოეტურ წარმოსახვას. მენენდეს — პელაიო „ქედუბრელ უფლისწულს“ პაგიოგრაფიულ თბზულებათა რიცხვს მიაკუთვნებს. სტეები მას რელიგიურ-ფილოსოფიურ დრამად თვლიან, რომელშიც უსაზღვრო რწმენას ადამიანი მიჰყავს უკვდავებასთან; მკვლევართა ერთი ნაწილი „ქედუბრელ უფლისწულს“ ლირსების დრამად მიიჩნევს; კეშმარიტება კი ის არის, რომ ამ ნაწარმოების გმირი, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთავრებული“, უფლის რჩეულია აღნიშნულ დრამაში ორი წაშფანნი თემა დომინირებს: სულიერი თავისუფლების და ლირსების თემა პიესაში კალდერონის ქრისტიანული იდეალების მატარებელია პორტუგალიის პრინცი დონ ფერნანდო.

ფეცის მეფე დონ ფერნანდოს თავისუფლებას ჰპირდება იმ შემთხვევაში, თუ პორტუგალია უარს იტყვის აფრიკაში ქრისტიანობის უკანასკნელ დასაყრდენზე — სეუტის ციხე-სიმაგრეზე. ფერნანდოს ძმა

ენრიკე დატყვევებულ უფლისწულს გადასცემს პორტუგალიის მეფის ბრძანებას: მეფის სურვილია, რომ უფლისწული დათანხმდეს ამ გარიგებაზე, მაგრამ უფლისწული არ ასრულებს მეფის ბრძანებას და მოწამებობრივი სიკვდილით აღესრულება. პრინციის გადაწყვეტილება მართებულია, რადგან ხელმწიფის ბრძანება ამ შემთხვევაში სასჯელმწიფობრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. დრამის მეორეხარისხოვან თემებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სიყვარულის თემაა. ფეციის ხელმწიფის ასულს ფენიქსს უყვარს მხედართმთავარი მული, მაგრამ მეფეს განზრახული აქვს ფენიქსი მოკავშირე პრინცს — ტარუდანტს მიათხოვოს. ხელმწიფის ამ გეგმას აღსრულება არ უწერია და ბოლოს და ბოლოს სიყვარული გამარჯვებას ზეიმობს.

ფილოსოფიური დრამა „ცხოვრება სიზმარია“ არა მხოლოდ კალდერონის შემოქმედების, არამედ მთელი ბაროკოს ხელოვნების მწვერვალად ითვლება. ბაროკოს სტილის მიმდევარი მხატვრები და მოაზროვნეები ხშირად მიმართავენ მიწიერი ყოფის წარმავლობის იდეას, რომელსაც უპირისპირებდნენ მარადისობას და სულის უცვლადებას. პიესის ფერც ერთი გმირი ფერც აღწევს მიწიერ ბედნიერებას. სეხისმუნდოს დაქორწინება ესტრელაზე სახელმწიფო ინტერესებით არის განპირობებული, როსაურას და ასტოლოფოს შეუღლება კი მხოლოდ როსაურას პატიოსანი სახელის აღდგენას ისახავს მიზნად, რადგან მას უკვე აღარ უყვარს და კიდევაც სძულს თავისი შეურაცხმყოფელი პეტროგო. მეტიველი ფილოსოფოსი ოქტავია პასი² სეხისმუნდოს მიერ განვლილ გზას ასე ახასიათებს: „...როცა სეხისმუნდო საკუთარ გულის ხმას ისმენს, ის ვარსკვლავების, ანუ საკუთარი კლასური ბუჩქების ტყვეა. და ხსნას მაშინღა ეწევა, როცა საკუთარ თავზე ამალღდება და ვნებაზე გაიმარჯვებს“³.

დრამაში „ცხოვრება სიზმარია“ ერთმანეთს უპირისპირდება ორი სამყარო — ბუნება, რომლის სიმბოლო კლდეზე აღმართული საპყრობილეა და ცივილიზებული საზოგადოება, რომელიც სასახლით არის წარმოდგენილი. პირველ სამყაროში ადამიანი ინსტინქტის მონად რჩება, როგორც ეს ფრინველებს, თევზებს და მხეცებს სჩვევიათ. მას არ გააჩნია „თავისუფალი ნება“ (el libre albedrio), ღვთისგან მიანიჭებული უნარი კეთილის და ბოროტის განსხვავებისა. ვიდრე ადამიანი ბუნების ნაწილია, ის ცხოველისგან არ განირჩევა. ამიტომ პირველ მოქმედებაში სეხისმუნდო ნადიარის ტყვეთა არის შემოსილი.

ვარსკვლავები და სხვა ასტრონომიული ხატები კალდერონის დრამაში ბუნების იდუმალ ძალებს განასახიერებენ. რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის მიდრეკილებებზე, მისი ტემპერამენტის

1 С. Н. Еремина. Великий театр Педро Кальдерона. წიგნში: Calderón De La Barca. Tres Dramas y Una Comedia. Moscú 1981, გვ. 8.)

2 Octavio Paz; დაიბადა 1914წ.

3 M. Durán y R. Gonzalez Echevarria Calderón y la critica: Historia y antologia. Madrid, 1976, t.1, გვ. 122-123.)

ჩამოყალიბებაზე და ამდენად, მის ბედობდალსაც განაპირობებენ. პიესის მთავარი თემა ექვსური უფლისწულის პრინცად ქცევა, მისი გაზიჯება კლდოვანი სამყაროს და ვარსკვლავითი ტყეობიდან ცივილიზებულ სამყაროში, სადაც ის ბუნებრივ ინსტიტუტებს ურთიერს კარსაძს და სოციალურ პირობითობას დაუჭემდებარებს.

როსაურა, რომლის სახელიც (Roza + Auro) დაკავშირებულია ვარდის და ნათლის სიმბოლიკასთან, განასახიერებს იმ სილამაზეს, რომელიც ყოფიერების უზუნესი სიკეთის წვდომისაკენ უბიძგებს ადამიანს. ცივილიზაციის სამყაროდან განდევნილი, დამცილებული როსაურა ტყივლის და ქაოსის იმავ გაჭაყვებულ, კლდოვან სამყაროში აღმოჩნდება, რომელშიც ჩაკვებით შემორკილი სეხისმუნდო იტანჭება. იგი სხვადასხვა ნიღბების მორგებით (მამაკაცად ან სეფე-ქლად გადაკმული) ცდილობს ცივილიზაციის სამყაროში დაბრუნებას. პრინცად ქცეული სეხისმუნდო ხელს უწყობს როსაურას და ასტროლოგის შეუღლებას, რადგან სურს, რომ როსაურამ დაიბრუნოს ღირსება და სამეფო კარზე მაღალი ადგილი დაიმკვიდროს. თვითონ კი, ქვეყნის კეთილდღეობის გასამტკიცებლად, სამეფო კარის ვარსკვლავზე-ესტრელაზე ჭარჩინდება, თუმცა გულის სიღრმეში როსაურას ავლავ ქლოთამზედ სახავს.

XVIII საუკუნის ესპანელი დრამატურგები (და მათ რიცხვში კალდერონი) ტრაგედიის, დრამა, ან კომედიის შეთხზვის დროს ხშირად იმეორებენ რომელიმე კომპლუარულ საუკუნის ამის მიზნად სიცოცხლის ამოუწურავი მრავალფეროვნება და ხასიათების განუმეორებლობა. ზოგ შემთხვევაში ტრაგიკული სიტუეტი დრამატული დამუშავების შემდეგ ფარსის სახეს ღებულობს. კომედიაში „თავისი თავის დარაჯი“, რომელიც „ცხოვრება სიზმარია“-ს თემაზე ავებული ერთგვარი პაროდიაა, კალდერონი მაღალი დრამატული სიტუაციის დაბალ კომიკურ რეგისტრში გადაყანის ხერხს მიმართავს. თუ პოლონეთის მეფე ბასილიო საკუთარ ძეს მსხვირპლად სწირავს პოლონეთის კეთილდღეობას, ნეაპოლის მეფე, ზემოხსენებული კომედიის გმირი, მზად არის თავისი ასულის ბედნიერებისათვის დათმოს საკუთარი ღირსება და თვით ქვეყნის სიმშვიდეც კი. კომედიის მთავარი გმირი ფედერიკოა, რომელიც თავის უიღბლო ორეულს უთვალთვლებს. მაგრამ ეს პარადოქსული სიტუაცია ავლენს საგანთა ნამდვილ ბუნებას: გრძნობებს აყოლილი ფედერიკო მართლაც საკუთარი თავის ტყეა, რადგან არ ძალუძს ელენეს მამულიდან გაჭკევა, სადაც ყოველ წამს შეიძლება გამელავნდეს მისი ვინაობა.

ა ვალბუნა ბრიანესის თანახმად, კალდერონის ყველა კომედია „დაბმულ“, ან „ლია“ სივრცეს ასახავს. ზოგიერთ კომედიაში მოჭედება ერთ ოთახში, ერთ სახლში შეიძინარეობს (მაგალითად, ასეთი კომედიაა „უჩინძაინი ბანუანი“; La dama diuende) და კედლების ლაბირინთებში მომწყვდეულ გმირებს სული ეხუთებათ; სხვა კომედიებში კი მოწყვდება გაშლილ სივრცეში, ბუნების წილში, მინდორში, ან ტყეში ვითარდება „თავისი თავის დარაჯი“ კომედიათა ამ უკანასკნელ ტაშს განეკუთვნება.

საქირაო, რომ სხვებმა მძიმე მსხვერპლი გაიღონ. ამითაც განსხვავდება ბაროკოს ეპოქის კომედიები აღორძინების ეპოქის კომედიებისაგან, სადაც შესაძლებელია უცლა გმირისთვის თანაბრად ყველილი დასასრული.

საგულისხმოა, რომ დრამაში „თავისი თავის დარაჯი“ ორჯერ არის ხასხსეები დემონი. ამასთან ისეთ კონტექსტში, რომ ცხადი ხდება, XVII საუკუნის ესპანელითვის „ემპაი“ – რეალური ცნებაა არც ის არის შემთავებით, რომ დემონი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია კალდერონის დრამისა „მძლეოთამძლე მაგი“ (*El magio prodigioso*, 1637), რომელიც წმინდა კვირიანე კართაგენელის ცხოვრებას ეძღვნება. ამ დრამაში ფაუსტური თემა კულმინაციას აღწევს – სტუდენტი სიპრიანო ემპაის მოწაფე ხდება, რომელიც აიძულებს მას მოჩვენება რეალობად მიიღოს, წრდილი-ბნობილად. სავნის ანარკლითვით ამ სავნად, ნილაბი-ნამდვილ სახედ სიპრიანოს მეგობარი დემონი მხოლოდ შენიღბულად მოქმედებს და მას არც შეუძლია სხვაგვარად მოქცევა ის ხან მაღალი წოდების ქაბუცი მოეზურია, ხან მეკობრე, რომლის გემი ზღვამ იმსხვერპლა, ხანაც შვე მაგიაში განსწავლული ბრძენი, რომელიც სწავლის საფასურად სიპრიანოს სულს ითხოვს. დემონის ერთ-ერთი იარაღი – ცილისწამება. ის ბნელ ღამეში მოსახამში გახვეული ხუსტინას აიზნიდან ეშვება, რათა წმიდა ასულს ჰირქი მოსცხოს თავახისმცემლებ-ის და მიული ჭლატის თვალში; დრამის ფინალში კი ის უკანასკნელად გაიღვლებს მოედანზე, სადაც ჭრისტეს რწმენისათვის თავმოკვეთილთა გვაშები ასენია, ხან გველის და ხან გრიგალის სახით. ემპაი ვერ ურიგდება საკუთარ მარცხს და მუდამ თავიდან იწყებს თამაშს. მისი სიტყვები ორაზროვანია, და მაინც ბოლომდე ვერც ერთ ნილაბს ვერ ირგებს. დემონი მარცხდება სიპრიანოსთან კამათში ყოველი არსის პირველიზე ზის შესახებ, მაგრამ ადვილად ახერხებს ადგილიდან დაძრას მთა, წარმოსახოს ზღვა, ან მოუხმოს მძვინვარე ჭარიშხალს, მას შეუძლია შექმნას ხუსტინას ფანტომი. იგი ადვილად განაგებს ცხოველურ საწყისს. ადამიანი ენებას ჭეშმარიტ სიყვარულად მიიხნეის, რადგან ენება-წამებით იზომება, ნამდვილი სიყვარული კი – მარადისობით. მაგრამ დემონს არ ძალუქს ადამიანის თავისუფალი ნების დამარცხება. მოწამებრივი აღსასრული ხუსტინას და სიპრიანოს მარადიულ სატრფოებად აქცევს. ეშაფორტზე ისინი თითქოს ჭორწინდებიან. „მძლეოთამძლე მაგი“ მთა ამპარტავენების სიმბოლოა, ზღვა კი სიკვდილის (დემონი სიპრიანოს სწორედ ზღვიდან მოველინება), ხოლო მზე – სიკეთის, ჭეშმარიტების და სილამაზის; იგი ზღვაში ეფლობა, როგორც საკუთარ სამარხში.

როგორც ცნობილია, კალდერონი სასულიერო წოდების მიღების შემდეგაც განაგრძობდა დრამატურგიულ შრომას. 1653 წელს ის ქმნის ორნაწილიან ტრაგედიას „პერის ასული“ (*La hija del aire*, 1653), ფილოსოფიურ ღრმას „ცხოვრება თავიდან ბოლომდე სიყვალზე და თავიდან ბოლომდე ჭეშმარიტება“ (*En esta vida todo es verdad y todo mentira*, 1658-1659) და ლირიკულ-მითოლოგიურ პასტორალს „ეპო და

თავიდან ბოლომდე ჰეშმარიტება“ (*En esta vida todo es verdad y toda mentira, 1658 -1659*) და ლირიკულ-მითოლოგიურ პასტორალს „ეჭო და ნარციისი“ (*Eco y Narciso, 1661*). უფრო გვიან კი ის ობზაკს მითოლოგიურ დრამებს „ღვთაებრივი ორფეოსი“ (*El divino Orfeo, 1663*) და „პრომეთეს ქანდაკება“ (*La Estatua de Prometeo, 1669-1674*), რაიმლეზმატ, ა. ვალბუენა პრატის აზრით, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს XX საუკუნის ინტელექტუალური დრამის განვითარებაზე.

ცივილიზაციის და ბუნების დაპირისპირების თემას კალდერონი კვლავ უბრაუნდება დრამაში „პრომეთეს ქანდაკება“. სცენური სივრცე, რომელსაც ამ დრამებში გვთავაზობს ავტორი, სავსებით შეესაბამება „ცხოვრება სიზმარია“-ს დეკორაციებს (ოლონდ მეფე ბასილიოს სასახლე ოლიმპით არის შეცვლილი). კავკასიის მკვიდრი პასტორალურ სამოსში გადაცმული მწყემსები არიან, მათი ყოფა ქაოსურია და მათთვის უცხოა ცხოვრების რაიმე თანმიმდევრული წესი. მათი უხეში საკრავიერი ინსტრუმენტები ვერ ქმნიან ბგერათა ჰარმონიას. პრომეთეს უკვე გადაწურული აქვს ყელა იმედი და აღარ ცდილობს, რომ ეს ველური ტომი სამყაროს კანონზომიერებას აზიაროს, მაგრამ მას სურს კავკასიის მკვიდრთა შორის დანერგოს თუნდაც „საკრალური რიტუალები“ პრომეთე სწავლული და შემოქმედი, მისი ძმა და ტყუპის ცალი ეპიმეთე კი-შეომარი. დრამაში ის აზრია ჩაქსოვილი, რომ აუცილებელია, თუნდაც ნებისმიერი მსხვერპლის ფასად, ჰარმონიის მიღწევა.

კალდერონის შემოქმედების უნიველსალური მნიშვნელობა განპირობებულია მისი ნააზრევის ფილოსოფიური სიღრმით, მისი მორალურ-რელიგიური იდეოლოგიის ჰუმანისტური ხასიათით. კალდერონის დრამის პროტაგონისტი მითოსური არქეტიპი, ან ქრისტეანული თქმულების გმირია; იგი იმდენად არის შესაქმეს მონაწილე, რამდენადაც არ გაურბის კოსმოსურ პასუხისმგებლობას და იბრძვის იერარქიზმის, პოლიფონიური ჰარმონიის დამკვიდრებისთვის.

და ლ ი ნ ს კ ი რ ვ ე ლ ი .

რედაქტორ-ოპერატორი თ. შურაშვილი
ტექ. რედაქტორი თ. თათოშვილი

შეკვ. № 64

ფასი სახელშეკრულებო

შპს „მერანი - 3“-ის სტამბა, თბილისი, რესთავულის პრ
ტელ.: (+995 32) 92 29 92; (+995 32) 93 53 96
E-mail: merani3 @ gco.nct.ge